

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

2/2022

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წეტელის სახელთბის
სახელმწიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი

2/2022

შვედური-გერმანული სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz



თინათინ წერეთლის სახელობის
სახელმწიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2022

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022

© ავტორები, 2022

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge, www.lawjournal.ge, www.isl.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე

ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

ზოგიერთი მოსაზრება ნოტარიატის მომავალზე <i>რიხარდ ბოკი</i>	7
ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის ამერიკული მოდელი <i>არკადიუმ ვუდარსკი</i>	8
მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი რეკლამა (საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში) <i>დავით გვენეტაძე</i>	33

ნეკროლოგი

პროფესორი პეტერ მანკოვსკი - ჩემი მასწავლებელი და მეგობარი (1966 წლის 11 ოქტომბერი – 2022 წლის 10 თებერვალი) <i>არკადიუმ ვუდარსკი</i>	40
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

სასამართლო პრაქტიკა

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გაჟღერებული განცხადების აზრად მიჩნევა (ბერულავა)	46
შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ (ბერულავა)	47

გზომიერთი მოსაზრება ნოტარიატის მომავალზე

რიხარდ ბოკი

იუსტიციის მრჩეველი, ნოტარიუსი

გერმანიის ფედერალური სანოტარო პალატის გენერალური რწმუნებული საერთაშორისო ურთიერთობებში

ნოტარიუსის პროფესიის მომავალზე ფიქრი ნოტარიუსთა ეროვნული პალატებისა და ნოტარიუსების საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეთა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. რამდენიმე წლის წინ ნოტარიუსთა პროფესიულ სამართალში, სანოტარო სამართლის რელევანტურ მატერიალურ კერძო სამართალსა და სანოტარო დამონებების სამართალში ცვლილებები ძირითადად ინიცირებული იყო გარედან: კანონმდებელმა, ისევე, როგორც ზოგადმა ტექნიკურმა პროგრესმა, აიძულა ნოტარიუსები გადაეხედათ თავიანთი ადგილისთვის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში და მორგებოდნენ პროფესიულ სამართალსა და პროცედურებს. ასე რომ ისინი რეაგირებდნენ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ პროფესიულ მდგომარეობასთან მიმართებით გარედან იყო ნაკარნახევი.

ეს რეაქციული მიდგომა ხშირად არ იყო სასურველი მოცულობით წარმატებული. ამიტომ ეროვნული პალატები დღეის მდგომარეობით უფრო და უფრო ცდილობენ აქტიური წვლილი შეიტანონ სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცედურებში. ეს ყოველთვის არ გამოდის ხარვეზების გარეშე და ასეთი სიახლეები მართლმსაჯულების სისტემაში ერთ ღამეში არ იწერება. მაგრამ პალატებს შეუძლიათ, თავის მხრივ, წვლილი შეიტანონ იმაში, რომ შეინარჩუნონ მჭიდრო კონტაქტი იუსტიციის სამინისტროს იერარქიის ყველა დონის ადმინისტრაციასთან და მათთან ერთად იმუშაონ. გარდა ამისა, ნოტარიუსთა ფედერალურ პალატაში, მრავალი წელია, ხორ-

ციელდება ნორმების პერმანენტული შემოწმება იმ მიზნით, რომ ყველამ დროულად მიიღოს ცოდნა შესაბამისი კანონპროექტების შესახებ და გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ნოტარიუსები თავისუფალ პრაქტიკაში ყოველთვის არ შეიძლება დაეყრდნონ იმას, რომ კანონმდებელი მუდმივად და ოპერატიულად დგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც ზოგადი ტექნიკური და საზოგადოებრივი განვითარების გათვალისწინებით სანოტარო პროცედურების მოდერნიზებისა და ადაპტაციისთვისაა საჭირო. ამიტომ, პროგრესული და მომავალზე ორიენტირებული პროფესიული პალატები სულ უფრო მეტად იღებენ ამ ამოცანას საკუთარ თავზე. ეს განსაკუთრებით ეხება სანოტარო მომსახურების დიგიტალიზაციას.

ამრიგად, ამ ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება მოკლე მიმოხილვა დიგიტალიზაციის სფეროში ჩვენი მიმდინარე პროექტების შესახებ და შემდეგ თვალს გადავაავლებთ ნოტარიუსთა პროფესიულ სამართალში აუცილებელი ცვლილებების საკითხს.

I. დიგიტალიზაცია

1. ტექნიკური აღჭურვილობა

იმისათვის, რომ წარმატებით დაიგეგმოს და განხორციელდეს IT-პროექტები, საჭიროა შესაბამისი ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი თანა-

მშრომლები. აქ შესაძლებელია თვალი მოვაკლოთ პროგრამული უზრუნველყოფის დანესებულებების ბაზარს და ამ გარე დანესებულებებისთვის მოხდეს შეკვეთების მიცემა. შესაძლებელია ასევე პალატის შიგნით საკუთარი IT - განყოფილების შექმნა, სადაც ყოველთვის იქნება ზოგიერთი კომპონენტის გარედან მიღების ან სპეციალურად შექმნის შესაძლებლობა.

პროექტის დანებისთვის სწორი კონცეფციის არჩევა ადვილი არ არის, თუმცა ეს გადამწყვეტია. ამასთან ეს არ ეხება მხოლოდ ძირითადი პროექტის უბრალოდ შემუშავებას. პროექტი მისი დანების მომენტიდან ასევე იწვევს ხარჯებს და სამუშაოებს. შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი დამატებითი ასპექტები არ შეიძლება იყოს უგულვებლყოფილი:

1.1. პროექტის შემუშავების შემდეგ ამ პროცესში მონაწილე თანამშრომელთა დიდი ნაწილი რჩება პროექტის საქმიანობაში. ნოტარიუსთა ფედერალურ პალატაში ეს საშუალოდ 50%-ია. მათ ამოცანებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ხარვეზების აღმოფხვრა და ზოგადი სერვისის მიწოდება პროექტში ჩართული ნოტარიუსებისთვის, ისევე, როგორც პროექტის შემდგომი ხაზოვანი განვითარება.

1.2. უმეტეს შემთხვევაში, პროექტის პირველი აქტივაციის შემდეგ, სხვა ფუნქციების დამატების საჭიროებაც ჩნდება, რომლებიც, მართალია, უკვე სისტემაშია ჩადებული, მაგრამ თავიდან უნდა მოხდეს მისი შემუშავება და, როგორც ამას ტექნიკურ ჟარგონად მოიხსენიებენ, „ჩამორჩენების“ („backlogs“) ბოლომდე აღმოფხვრა. ამისთვის ასევე საჭიროა შესაბამისი პერსონალი.

პროექტის შემდგომი ხარჯები, შესაბამისად, შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად დიდი და უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება გაანგარიშებაში. ეს ამავე დროს პასუხობს კითხვას, შეეძლო თუ არა პირს წინასწარ ევარაუდა, რომ სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებული იუსტიციის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაში არსებული IT პროექტის პირველადი შემუშავების შემდეგ წარმოშობილი შემდგომი ხარჯებიც უწყვეტად იქნებოდა დაფარული. აქედან გამომდინარე, საჭირო ბიუჯეტირების პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე დამოკიდებულების გათ-

ვალისწინებით აღნიშნულის ხანგრძლივად გარანტირება ვერ მოხერხდებოდა.

შედეგად, ნოტარიუსთა ფედერალურმა პალატამ თავად დააფინანსა სრული დიგიტალიზაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მინის ნაკვეთთა რეესტრებში ჩანაწერების მიზნით ექსკლუზიური ელექტრონული წვდომის და სავაჭრო რეესტრის, ისევე, როგორც თვითადმინისტრირებადი რეესტრების, შექმნა, როგორებიცაა, მაგალითად, ანდერძის ეროვნული რეესტრი და საბუთების ელექტრონული არქივი. საბოლოო მიზანს წარმოადგენს ერთიანი პლატფორმის შექმნა და მისი შემდგომი მუდმივი გაფართოება, რომელშიც ნოტარიუსთა ფედერალური პალატის ყველა მანამდე არსებული და მომავალი ციფრული პროექტები პროგრამული უზრუნველყოფის პროტოტიპის განვითარების ჩათვლით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ინტეგრირდებიან.

შემდგომში წარმოდგენილი იქნება სამი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური პროექტი, რომლებიც ამჟამად განვითარების დასკვნით ფაზაშია.

2. დისტანციური დამონება

პირველი პროექტი ეხება დისტანციურ დამონებას. ეს არის დამონების ფორმა, რომლის დროსაც მონაწილეები არ მიდიან სანოტარო ბიუროში, არამედ ნოტარიუსს მხოლოდ ციფრულად უკავშირდებიან. შესაბამისად, ეს არ ეხება დამონებას სხვადასხვა ადგილას მყოფორ ნოტარიუსთან. ასეთი პროცედურა, როდესაც პირთა ყოფნის პროცესი გაყოფილია და რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში უკვე არსებობს, გერმანიაში არ არის გათვალისწინებული.

დისტანციური დამონების პროცესი მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ დასრულდება. აღნიშნული ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წელს. დისტანციური დამონება თავდაპირველად განხორციელდება მხოლოდ საკორპორაციო სამართალში და პრაქტიკაში გამოიყენება კომპანიების დაფუძნებისთვის. მიზანი მარტივი და ამავე დროს უსაფრთხო პროცედურის შექმნა იყო. მოქალაქეებს სჭირდებათ მხოლოდ

პირადობის მონომობა eID ფუნქციით - რომელიც ადამიანების უმეტესობას დღეს უკვე აქვს - სტანდარტული სმარტფონი NFC ტექნოლოგიით - როგორცაა, მაგალითად, საყიდლების დროს გადახდისას გამოყენებადი - და ლეპტოპი კამერთა და მიკროფონით.

მთელი პროცედურა ტარდება ნოტარიუსთა ფედერალური პალატის საკუთარი ციფრული პლატფორმის მეშვეობით. მონაწილეები რეგისტრირდებიან იქ და იღებენ QR კოდს, რომელსაც მობილური ტელეფონით ასკანერებენ. შემდეგ ეს აპლიკაცია იხსნება. მონაწილეები ადებენ პირადობის მონომობას სმარტფონს. აპლიკაცია კითხულობს eID-ს NFC ტექნოლოგიის გამოყენებით. ასე რომ, აქ არ გამოიყენება არასაიმედო ვიდეო იდენტიფიკაციის პროცედურა, არამედ იდენტიფიკაცია ხდება ექსკლუზიურად პირადობის მონომობაში შენახული მონაცემებით. შესაბამისად, ეს არის პირველი ნაბიჯი, რათა საიმედოდ განხორციელდეს იდენტიფიკაცია.

შემდეგ ეტაპზე დაგენერირდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ჩაანაცვლებს ჩვეულებრივ ხელმოწერას. იგი შეიძლება მოგვიანებით sms- PIN-ით დოკუმენტზე იქნეს გადმოტანილი.

ამის შემდეგ იწყება ელექტრონული წვდომა ნოტარიუსისთვის. მონაწილე მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნოტარიუსი კომპანიის ადგილსამყოფელის ან რამდენიმე მონაწილიდან ერთ-ერთის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ნოტარიუსი ჩართულ მხარეებს სატელეფონო ზარის ან ელექტრონული ფოსტით მიმოწერის შემდეგ გაუზავნის დოკუმენტის დრაფტს და შეათანხმებს შეხვედრის თარიღს დოკუმენტის დამონმებისთვის. დამონმება ხდება ვიდეო კონფერენციით BNotK პლატფორმის საშუალებით. მონაწილეები კვლავ იდენტიფიცირდებიან თავიანთი QR კოდით. პირადობის მონომობაში შენახული მონაცემებიდან კონფიგურირებული სურათი გამოჩნდება ეკრანზე. ნოტარიუსი ადარებს სურათს მონაწილე პირს, რომელსაც ეკრანზე ხედავს. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ არავინ შეძლოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება სხვისი პირადობის მონომობით. დამონმების დასასრულს ელექტრონულად მოეწერე-

ბა ხელი დოკუმენტს. ამისთვის მონაწილეები იყენებენ PIN-ს, რომელიც მათ ეგზავნებათ პროცესის მიმდინარეობისას მობილურ ტელეფონზე.

შედეგად, ხელმოწერების საშუალებით იქმნება ორიგინალი ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ინახება BnotK-ის დოკუმენტების არქივში და პარალელურად ელექტრონულად იგზავნება სავაჭრო რეესტრში კომპანიის რეგისტრაციის მიზნით.

ამ დროისთვის ეს ტექნოლოგია მხოლოდ კომპანიის დაფუძნებისთვის იქნება გამოყენებული. მაგრამ ეს ვარგისია დამონმების ყველა პროცესისთვის.

3. მინდობილობის რეგისტრაცია ბლოკჩეინში

როდესაც ნოტარიუსი ისმენს სიტყვას „ბლოკჩეინი“, ის ჩვეულებრივ უარყოფს მას. როგორ უნდა ჩაანაცვლოს შესაძლებელი მონყობილობამ, საიდანაც უპირატესად ორმაგი ინფორმაციის (სწორი/მცდარი; მოქმედი/არა მოქმედი) მოძიება შესაძლებელი, სახელმწიფო მარეგისტრირებელი ორგანოები? ამის მიუხედავად, საკითხის ნაკლებად მცოდნე IT სფეროების წარმომადგენლები სულ უფრო მეტად ზრდიან მოთხოვნას, უძრავი ქონების გადარიცხვები თითქოსდა მოძველებული და მოუხერხებელი მინის ნაკვეთთა რეესტრის ნაცვლად მარტივად და ეკონომიურად მომგებიანად ბლოკჩეინში დაარეგისტრირონ.

ეს, რა თქმა უნდა, არ მუშაობს. მაგრამ მაინც შეიძლება განვიხილოთ საკითხი, არსებობს თუ არა სფერო, სადაც შეიძლება ამ ტექნოლოგიის გამოყენება.

ნებისმიერ სანოტარო ბიუროში მინდობილობა ნოტარიულად მონმდება თითქმის ყოველდღე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მინდობილობის დროს კეთილსინდისიერი პირის დაცვა ერთგვარად არის უზრუნველყოფილი. თუ ვინმე აძლევს სხვას წერილობით ან სანოტარო წესით დამონმებულ მინდობილობას, ეს მინდობილობა ნებისმიერ კეთილსინდისიერ მესამე პირთან მიმართებით ითვლება მოქმედად

მანამ, სანამ უფლებამოსილ პირს დოკუმენტი ხელში უჭირავს. თუ აუქმებს მინდობილობის გამცემი მინდობილობას წარმომადგენლის მიმართ, ის რჩება მესამე პირებთან მიმართებით მოქმედად, სანამ მინდობილობის გამცემი არ მიიღებს დოკუმენტს უკან.

მინდობილობის გაუქმების შესახებ ინფორმაციის ზოგადად გასამჟღავნებლად, შეიძლება სასარგებლო იყოს ნოტარიული წესით დამონმებული მინდობილობის ბლოკჩეინში შენახვა. ბლოკჩეინი შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ამოცანისთვის, როგორც შენახვის მონყობილობა. აქ საკმარისია ორმაგი ფუნქციების შეზღუდვა. მინდობილობა არის ან მოქმედი, ან არა. მეტი ინფორმაცია არ არის საჭირო. და ეს არის უპირატესობა „ნორმალურ“ მარეგისტრირებულთან შედარებით: ბლოკჩეინი სწრაფად ხელმისაწვდომია ყველასთვის. ამით ნებისმიერ მსურველს შეუძლია რეალურ დროში შეიტყოს, ძალაშია თუ არა მისთვის წარდგენილი მინდობილობა. კეთილსინდისიერების ინსტიტუტით დაცვა აღარ იქნება საჭირო. მინდობილობის გამცემი უფლების ბოროტად გამოყენებისგან უკეთესად არის დაცული. და ნოტარიულად დამონმებული მინდობილობის უპირატესობები ჩვეულებრივი წერილობითი ფორმით შედგენილ მინდობილობასთან შედარებით აშკარაა.

პროექტი ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ დასკვნით ფაზაშია.

4. EUdoc

EUdoc არის ევროპული პროექტი, რომელიც ნოტარიუსთა ფედერალურმა პალატამ ესპანეთის ნოტარიუსთა პალატასთან ერთად განავითარა.

ევროპაში, ნევრ ქვეყნებს შორის მზარდი მჭიდრო კავშირების შედეგად, ჩნდება ნოტარიულად დამონმებული დოკუმენტების საზღვრებს გარეთ გამოყენების საჭიროება. EUdoc არის IT პლატფორმა, რომლითაც ეს წარმოდგენილი მიზანი უნდა განხორციელდეს. მას აქვს სამი ძირითადი ფუნქცია:

— უზრუნველყოფს უსაფრთხო ელექტრონულ გადაცემას VPN კავშირის საშუალებით;

— მონაწილე ნოტარიუსების ვერიფიკაციას ახდენს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების შემოწმების საშუალებით.

— ადასტურებს ტრანზაქციაში მონაწილე პირთა, როგორც აქტიური ნოტარიუსების სტატუსს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მასშტაბით ნოტარიუსის იდენტიფიკაციისთვის ძალიან განსხვავებული ტექნიკური გზები არსებობს.

პლატფორმის ინსტალაცია ხდება მონაწილე პალატების მეშვეობით, მაგრამ კომუნიკაცია პლატფორმაზე მიმდინარეობს პალატების ჩარევის გარეშე. EUdoc არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ერთი ფანჯრის გადაწყვეტა სანოტარო საზღვრებს მიღმა დოკუმენტბრუნვისა და ტრანზაქციებისთვის.

მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეები ხშირად საზღვარგარეთ იმყოფებიან, არსებობს ნოტარიულად დამონმებული დოკუმენტების გამარტივებული და უსაფრთხო ფორმით გაცვლის მზარდი საჭიროება, რომელიც შეიძლება გამოყენებული და აღიარებული იყოს შესაბამის სამიზნე ქვეყანაში შემდგომი ავთენტიფიკაციის გარეშე. ნოტარიუსები გახდებიან მიმზიდველი პარტნიორები, როდესაც საქმე ეხება საზღვრებს გარეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაგზავნას. EUdoc ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალში აპოსტილის გასაცემად. ამასთან, შეუძლებელია EUdoc-ის გამოყენება მთელ მსოფლიოში. მაგრამ შეზღუდული ტერიტორიებისთვის, სადაც მონაწილე ქვეყნების მართვადი რაოდენობაა, EUdoc შესანიშნავი გადაწყვეტაა სანოტარო აქტების ბრუნვისთვის.

II. პროფესიული სამართალი

სანოტარო პროფესიული სამართლის სამომავლო ასპექტების აღწერა ამ ნაშრომის ფარგლებში უნდა შემოიფარგლოს სამი მნიშვნელოვანი საკითხით.

1. Legal Tech

ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ წრეებში, მაგრამ ასევე სულ უფრო მზარდად ევროპაშიც, სამოქალაქო-სამართლებრივ პროცესში

მუშაობა მიმდინარეობს ე.წ. „LegalTech-ის“ დახმარებით. მაგალითად, დავები, რომლებიც წარმოიქმნება ნასყიდობის გამო ინტერნეტში, ხშირად აღარ ექვემდებარება სასამართლოს ზოგად იურისდიქციას. პირიქით, მყიდველი სულ უფრო ხშირად თანხმდება შეკვეთის დროს პირობას, რომ დავები შეიძლება წარმართოს და გადაწყდეს კომპანიის ციფრული დავების გადანყვეტის პლატფორმის მეშვეობით, ანუ ერთგვარი კერძო მართლმსაჯულების დაწესებულების მიერ.

დაინტერესებული მხარის მიერ - და ეს უკავშირდება ნოტარიატს - სამართლებრივი ურთიერთობების და უფლებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ყველა სახის შეთავაზების წარგდება ხდება, რომ მოხდეს სახელმწიფო რეესტრების, ანუ უძრავი ქონების და კომპანიების რეესტრების პრივატიზირება, ასევე კონტრაქტების და ყველა სახის განცხადებების შაბლონების კანონით განსაზღვრა.

ამ კონტექსტში ნოტარიატთან მიმართებით ჩნდება ორი კითხვა:

უპირველეს ყოვლისა, შეინარჩუნებს თუ არა სახელმწიფო გრძელვადიან პერსპექტივაში რეესტრაციების განხორციელებასთან დაკავშირებით თავის სუვერენულ ვალდებულებებს, თუ მათი გადაცემა მოხდება კერძო პლატფორმებზე, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან რეესტრაციასზე?

მაგალითად, ლიხტენშტეინში კანონი ციფრული სეკურიტიზაციის შესახებ გვაძლევს ამ სცენარის წინასწარ ნახვის შესაძლებლობას: ის ითვალისწინებს შესაძლებლობას, დაცული იყოს ციფრული მონეტების ფორმით გამოხატული საკუთრების უფლება, რომლებიც ბლოკ-ჩეინში გამოიყენება. არის თუ არა დღეს ის მდგომარეობა, რომ არსებული სამართლებრივი გარემო იქნეს შენარჩუნებული და პოლიტიკოსები იყვნენ დარწმუნებულები, რომ საჯარო რეესტრის სამსახური და ნოტარიუსი უკეთესია საკუთრების უფლების დასაცავად, ვიდრე ონლაინ პლატფორმის ნებისმიერი კერძო ოპერატორი?

მეორე: შესაძლებელია ხელშეკრულებების შედგენისა და ინდივიდუალური რჩევების შეთავაზების კომპეტენცია, შენარჩუნდეს ასევე

დიგიტალიზაციის პერიოდში? თუ კანონით გავალისწინებული ონლაინ შაბლონების მეშვეობით იქმნება სამართლებრივი სისტემის ზოგადი პრიმიტივიზაციის საფრთხე?

თუ მარეგულირებელი გარემო შეიცვლება, დასაფიქრებელია, რომ LegalTech-კომპანიები ან ინტერნეტ გიგანტები საკუთარ თავზე აიღებენ საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან იურიდიულ სფეროებს და ონლაინ შაბლონებს შემოგთავაზებენ. წარმოიდგინეთ, რომ Amazon და Google შაბლონების დახმარებით წინასწარ შეარჩევს ყველა სარჩელის თუ საჩივრის 90 %-ს, რომლებიც უნდა იქნან შეტანილი სახელმწიფო მარეგისტრირებელ ორგანოებში თუ სასამართლოებში. ამ შემთხვევაში არამხოლოდ ადვოკატურა და სანოტარო საქმიანობა, არამედ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებაც გაქრება.

რაც შეეხება ნოტარიატს, მის მუდმივ მოვალეობას, პროფესიულ-პოლიტიკური საქმიანობის საფუძველს მიეკუთვნება ინდივიდუალური რჩევისა და ინდივიდუალური ხელშეკრულების შემუშავების უნივერსალურობა და ამით დემონსტრირდება მისი მნიშვნელობა სამართლიანი სახელმწიფოს შენარჩუნებაში.

2. დერეგულაცია და კომერციალიზაცია

თუმცა, ეს დამაჯერებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს, თუ მოხდება საკუთარი ფუნდამენტური პრინციპების გააზრება და მათი წარმატებით დაცვა. კონტინენტური ევროპის ნოტარიუსის მთავარი მახასიათებელი მისი, როგორც სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელის, სტატუსია. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მისი დანიშვნა, სახელმწიფო რეგულირება და პროფესიის კონტროლი უზრუნველყოფს მის ობიექტურობას და ნეიტრალიტეტს. და მისი როგორც სახელმწიფო მოხელის, სტატუსი ამართლებს სანოტარო აქტების მტკიცებულების ძალასა და მათი აღსრულების პროცესს. მისი სტატუსი და, შესაბამისად, იურიდიული გარიგებების დამონმების ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება რისკის ქვეშ დადგებოდა, თუ ნოტარიუსის, როგორც დოკუმენტების დამმონმებელი საჯარო

პირის, სტატუსი, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

მეორე გრძელვადიანი დასაძლევია ამოცანა მომავალი პროფესიული სამართლის რეგულირებისას, გამონვეულია იმით, რომ სხვები ნოტარიუსის, როგორც დოკუმენტების დამმონმბელი სახელმწიფო მოხელის, სტატუსს ეჭვქვეშ დააყენებენ. აქ ორი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა ხელისხელჩაკიდებულები მუშაობენ კონკურენციის ხელშეწყობის და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მოჩვენებითი ძალისხმევით:

ერთი მხრივ, პროცედურების გამარტივებისა და კომპლექსურობის შემცირების უფრო დახვეწილი პროცედურების საბაზით ნოტარიატი კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული. მსოფლიო ბანკის **Doing-Business** ანგარიშში უკეთესი რეიტინგის მიღების ზენოლის გამო, რომელიც იმავდროულად ავტორიტეტული ადამიანების გავლენის ბოროტად გამოყენების გამო იქნა დანერგილი, ბევრმა ქვეყანამ ნოტარიუსების ძირითადი კომპეტენციები გააუქმა იურიდიული მომსახურების ბაზარზე სხვა მოთამაშეების სასარგებლოდ. ხშირ შემთხვევაში შემცირდა პროფესიაში შესვლის ხარისხობრივი მოთხოვნები. ამით ორმაგი ეფექტი იქნა მიღწეული: მას შემდეგ სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების სანოტარო მომსახურებები ნაწილობრივ საადვოკატო ბიუროებმა აიღეს თავის თავზე, რომლებიც დერეგულირებულ ბაზრებზე კონკურენციას უწევენ ნოტარიუსებს. ამავე დროს, უფრო ფართო ხდება ნოტარიატის მეშვეობით თანამდებობრივად გარანტირებული ზიანის პრევენციის მოქმედების რადიუსის შემცირება საადვოკატო ბიუროებისთვის.

მეორე მხრივ, სხვა საჯარო ორგანოები, სტრუქტურები ცდილობენ დერეგულირებას და კომერციალიზაციას იმ საბაზით, რომ სანოტარო სამართალი ზედმეტად არის რეგულირებული.

ნოტარიუსის პროფესიის დერეგულირებაზე ევროკომისია, წლებია, მუშაობს. სულ ბოლო მცდელობა, ევროპულ მარეგულირებელ ინდექსში ნოტარიუსი შეეყვანათ, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, გასულ

წელს გერმანიისა და საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით ჩაიშალა. ეს არ იქნება ბოლო მცდელობა.

OECD ასევე გულმოდგინედ მუშაობს სანოტარო კომპეტენციის შემცირებასა და პროფესიული სამართლის ლიბერალიზაციაზე. თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

3. ფულის გათეთრების პრევენცია და მომხმარებელთა დაცვა

დაბოლოს, ორი დადებითი ასპექტის განხილვაა საჭირო, რომლებიც ნოტარიატის მომავალს დიდი ალბათობით გარკვეული დროით განსაზღვრავენ, კერძოდ, ახალი ამოცანები ფულის გათეთრების პრევენციის ფარგლებში და მომხმარებელთა დაცვის კონტექსტში.

იურისტები და კანონმდებლები კორუფციისა და ფულის გათეთრების საკითხებთან მიმართებით ძირითადად სისხლის სამართლის ასპექტით არიან დაკავებულნი. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ნოტარიატი, როგორც კერძო სამართლის დავალებების შემსრულებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, ამ სფეროში მნიშვნელოვან, და არც თუ ისე იშვიათად, გადამწყვეტ როლს ასრულებს. უძრავი ქონების ტრანზაქციებში ან კორპორაციულ სამართალში მათი მონაწილეობით, ნოტარიუსებს აქვთ კარგი ცოდნა, განსაკუთრებით ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ სფეროებში. ევროკავშირის ფულის გათეთრების დირექტივები აკისრებენ ნოტარიუსებს ვრცელ თანამშრომლობის ვალდებულებებს, შესაბამისი სისხლის სამართლის დანაშაულების ხელშეშლისა და გამოვლენის მიზნით. მათი დავალება მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებლისთვის და საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის ცხადი გახადონ, რომ ფულის გათეთრების პრევენციისთვის ახალი სამსახურებრივი ვალდებულებების შესაბამისი შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს გარანტირებული, თუ ამ პროფესიას მიეცემა მოქმედებისთვის საკმარისი თავისუფალი სივრცე. ამასთან, მისი, როგორც სახელმწიფო მოხელის, როლი უნდა გაძლიერდეს პროფესიულ

დნმ-ს მიკუთვნებული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით.

და ბოლოს, ნოტარიატის დავალება იქნება, დაარწმუნოს კანონმდებელი მომხმარებელთა დაცვის ფუნქციების აღქმის სარგებელში. არსებობს კარგი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ უძრავი ქონების ტრანზაქციების გამარტივებისა და დაჩქარების გრძელვადიანი მიზანი მხოლოდ გარკვეულ ნერტილამდეა სასურველი - როგორც მომხმარებელთა დაცვის, ისე ქცევითი ეკონომიის თვალსაზრისით. საშუალო შესაძლებლობის მქონე მოქალაქემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ არა დროში ზენოლის ქვეშ, არამედ მხოლოდ ფრთხილი განხილვის შემდეგ და კომპეტენტური კონსულტანტების ჩართულობით. ეს არ ემსახურება არცერთი მომხმარებლის ინტერესს, როდესაც ის აფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას უძრავ ქონებაზე ონლაინ მოკლე დროში და, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში გამოუყენებელი ვადის გასვლის

შემდგომ აანალიზებს, თუ რა მინუსებითა და რისკებით ივაჭრა. უძრავი ქონება ყველა ეკონომიკის ერთ-ერთი ცენტრალური რესურსია და მოქალაქის ქონების არსებით ნაწილს წარმოადგენს. არავითარი სარგებლის მომტანი არაა, როდესაც მას წუთების ან წამების განმავლობაში შეუძლია ისევე ივაჭროს, როგორც ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე. უძრავი ქონების გარიგებისთვის საჭიროა სანდო, ნეიტრალური მესამე პირები, რომლებსაც აქვთ შესანიშნავი პროფესიული განათლება და თავიანთ პროფესიულ საქმიანობას პიროვნულად და ეკონომიკურად დამოუკიდებლად ახორციელებენ.

პროფესიული ორგანიზაციების პრიორიტეტულ ამოცანად რჩება სამომავლოდ, მუდმივი ცვლილებებით და სისტემატური გაუმჯობესების გზით შეინარჩუნონ წინაპირობები, რომლებიც ნოტარიატის მსოფლიო ინსტიტუციის უწყვეტობისთვის არის აუცილებელი.

ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის ამერიკული მოდელი*

არკადიუმ ვუდარსკი

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტისა და ზიელონაგორას უნივერსიტეტის პროფესორი

I. მნიშვნელობა და იმპლემენტაცია

ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის ნუსების აშშ-ში ჩამოყალიბება 2015 წელს მოდელური კანონის ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის შესახებ ნოველიზაციით მოხდა (*Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act – RUFADAA*)¹. ცვლილება მომხმარებლის სიკვდილის შემდეგ მისი თანხმობით საკუთარი ინტერნეტ ანგარიშების შინაარსების გამჟღავნებისა და მათი დაუცველობის შესახებ პრობლემას წყვეტდა. RUFADAA არის კანონთა უნიფიკაციის კომისიის მიერ შემოთავაზებული კომპრომისის შედეგი (*The Uniform Law Commission – ULC*)³. წინამორბედისგან (UFADAA⁴) განსხვავებით, მან დიდი აღიარება

მოიპოვა შტატების კანონმდებლებს შორის და იმპლემენტირებულ იქნა თითქმის ყველა შტატში. მასაჩუსეტსი, ოკლაჰომა და კოლუმბიის დისტრიქტი (ვოშინგტონი) არის საბოლოო მხარეები, სადაც ჯერ არ დასრულებულა RUFADAA-ს დანერგვა,⁵ თუმცა ეს მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენს. ამ სამართლებრივი მატერიის გაერთიანება რთულად შესაფასებელია, მისი მნიშვნელობა კი მხოლოდ ამერიკის იურისდიქციით არ შემოიფარგლება. აშშ-ში მიღებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებები საერთაშორისო დისკუსიის ბიძგი გახდა და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქვეყნებშიც საკანონმდებლო ცვლილებების დასაწყისი იქნება.

განხილული საკითხები გლობალური ხასიათისაა და ექვემდებარება არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ეკონომიკურ ანალიზსაც. განსაკუთრებული დაინტერესება ჩანს ევროკავშირში, სადაც ჯერჯერობით ე.წ. ციფრული მემკვიდრეობის პრობლემების ეროვნულ დონე-

* სტატია გამოქვეყნებულია: Arkadiusz Wudarski, Amerykański model dostępu powierniczego do zasobów cyfrowych, Forum Prawnicze, Nr 3(65) (2021), 19-36. პოლონური ენიდან თარგმნა ელენე ჩხიტაძემ.

¹ RUFADAA კომენტართან ერთად ხელმისაწვდომია: <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=112ab648-b257-97f2-48c2-61fe109a0b33&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

² RUFADAA პოლონურ ენაზე: A. Wudarski, „Forum Prawnicze” 2020 nr 5 (61), s. XXX.

³ მეტი ULC-ს შესახებ: A. Wudarski, ამერიკაში ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის ნუსების ჩამოყალიბება, „Forum Prawnicze” 2020 nr 1 (57), s. 10, przypis 75; www.uniformlaws.org/aboutulc/overview (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

⁴ Uniform Law Commission, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=6745a319->

[c0e5-6240-bdb5-336214d245c5&forceDialog=1](https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=c0e5-6240-bdb5-336214d245c5&forceDialog=1) (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

⁵ 2020 წლის ნოემბრის მონაცემებით. მიმდინარე ინფორმაცია RUFADAA-ს საკანონმდებლო პროცესზე: მასაჩუსეტსი (HB 3368/SD1147, sponsorzy: Livingstone/Finegold), Oklahoma (HB 3711, sponsor: Kannady), პენსილვანიაში (SB 320, sponsor: Killion) ასევე კოლუმბიის დისტრიქტში (23-0141, sponsor: Allen) na stronie:

<https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=f7237fc4-74c2-4728-81c6-b39a91ecdf22> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

ზე⁶ მოგვარებას ცდილობენ. მნიშვნელოვან როლს აქ სამართალწარმოება ასრულებს, რომელიც მოქმედი ეროვნული რეგულაციების ინტერპრეტაციით ცდილობს, გაუმკლავდეს არსებულ პრობლემებს.⁷ ფართო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები ჯერ არ არის მიღებული.⁸

ციფრულ აქტივებზე მინდობით წვდომის ამერიკული მოდელი არის კვლევითი ჯგუფის *Access to Digital Assets*⁹ ანალიზის საგანი. ჯგუფი მუშაობს ევროპის იურიდიულ ინსტიტუტში (*European Law Institute – ELI*),¹⁰ რომელსაც ხელმძღვანელობენ სჯეფ ვან ერპი და ჯოს უიტდეჰაგი. ამ ჯგუფის მუშაობის მიზანია ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის რეგულირების ევროპული მოდელის შემუშავება. შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა და სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2021 წლის სექტემბრისთვის.

ეს კვლევა წარმოადგენს, აანალიზებს და აფასებს ამერიკულ მოდელურ აქტში მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამონებს ევროპაში მათი გამოყენების შესაძლებლობებს. ამავე დროს

ის აშშ–ში ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის წესების შექმნის შესახებ წინა მოსაზრებების გაგრძელებას წარმოადგენს.¹¹

II. რეგულაციის ფარგლები

მოდელური აქტი არ არის ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტი. იგი შედგება მხოლოდ 21 მუხლისგან. მისი ძირითადი ნაწილი ეთმობა ციფრული აქტივების გამყდავენების პროცედურას (მუხლები 6–14), რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს ელექტრონული შეტყობინებების შინაარსისა და სხვა ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის წესებს. აქტი გთავაზობს ციფრული აქტივების მართვის ახალ online ინსტრუმენტს და შემოაქვს წვდომის უფლებების სამსაფეხურიანი იერარქია (მუხლი 4), ამავე დროს ზუსტად აღნიშნავს უფლებამოსილ პირებს (მუხლი 3). ის არ ცვლის ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის ფარგლებსა და მათი გამოყენების უფლებას, რომლებიც განსაზღვრულია მომსახურების ხელშეკრულებაში (მუხლი 5). აქტი განსაზღვრავს მინდობილის უფლებებსა და მოვალეობებს (მუხლი 15), ასევე განსაზღვრავს ადმინისტრატორის საქმიანობის სფეროს, გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას ქმედებების ან უმოქმედობებისათვის კეთილსინდისიერების ფარგლებში კანონის შესაბამისად (მუხლი 16). აშშ–ის სხვა მოდელური აქტების მსგავსად, RUFADAA განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვან ცნებებს (მუხ. 2). უფრო მეტიც, მისმა ავტორებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს მასსა და საერთაშორისო ვაჭრობაში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის ურთიერთმიმართების გარკვევა¹² (მუხლი 18). შემოთავაზებული რეგულაცია ასევე შეიცავს კანონის ერთგვაროვანი გამოყენებისა და ინტერპრეტაციის სახელმძღვანელო პრინციპებს

⁶ შერჩეული ევროპული იურისდიქციის ციფრული ქონების შესახებ რაპორტები გამოქვეყნებულ იქნა „Journal of European Consumer and Market Law“ (EuCML); იხ. შესავალი: K. Nemeth, J. Morais Carvalho, Digital Inheritance in the European Union, EuCML 2017, s. 253; Wielka Brytania: E. Harbinja, EuCML 2017, s. 253 i n.; Holandia: A. Berlee, EuCML 2017, s. 256 i n.; Belgia: B. Maeschaelck, EuCML 2018, s. 37 i n.; Niemcy: M. O. Mackenrodt, EuCML 2018, s. 41 i n.

⁷ იხ. გერმანიის უზენაესი სასამართლოს განაჩენი (*Bundesgerichtshof — BGH*) z 12 ივლისი 2018 წ., sygn. akt III ZR 183/17, „Neue Juristische Wochenschrift“ 2018, s. 3178 i n.

⁸ Zob. Deutscher Anwaltverein, *Stellungnahme des Deutschen Anwaltvereins durch die Ausschüsse Erbrecht, Informationsrecht und Verfassungsrecht zum Digitalen Nachlass*; *Stellungnahme* Nr. 34/2013, Berlin 2013; <https://anwaltverein.de/files/anwaltverein.de/downloads/newsroom/stellungnahmen/2013/SN-DAV34-13.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

⁹ <https://www.europeanlawinstitute.eu/projects-publications/current-projects-feasibility-studies-and-other-activities/current-projects/access-to-digital-assets/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹⁰ <https://www.europeanlawinstitute.eu/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹¹ A. Wudarski, *Kształtowanie*, s. 3–21.

¹² 30 ივნისის 2000 წ. კანონი *Electronic Signatures in Global and National Commerce Act* (ESIGN), Public Law 106–229, 114 U.S. Statutes at Large, vol. 114, s. 464–476; <https://www.govinfo.gov/content/pkg/PLAW-106publ229/pdf/PLAW-106publ229.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 31.08.2020).

(მუხლი 17), ასევე სალვატორულ დებულება-საც (მუხლი 19).

III. გამოყენების ფარგლები

მოდელური აქტი ვრცელდება როგორც მომხმარებლის გარდაცვალების, ასევე მისი ქმედუნარობის დროს. ამრიგად, იგი აკმაყოფილებს დოქტრინაში მოხსენიებულ პოსტულატებს¹³ და ასევე მოიცავს სიტუაციებს, როდესაც მომხმარებელმა დაკარგა ანგარიშის დამოუკიდებლად შენახვის უნარი ფსიქიკური დაავადების შედეგად, რომელიც იწვევს მისი ქცევის გაკონტროლების შეუძლებლობას. უნდა გვახსოვდეს, რომ მოდელურ აქტში მოცემული სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება სახელმწიფო კანონმდებლის კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო კანონი, რომელიც გამოიყენება ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის საკითხის გადაჭრის დროს, არის მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილის¹⁴ მიხედვით შტატის კანონი. მომხმარებლის შემთხვევაში, რომლისთვისაც მეურვეობა არის დადგენილი - მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გარდაცვლილი მომხმარებლისთვის - საცხოვრებელი ადგილი მისი გარდაცვალების დროს.

RUFADAA სხვადასხვა გზით უკავშირდება სამართლის მრავალ სფეროს, ამასთან, ეს არცვლის მის მიერ გამოყენებული იურიდიული ინსტიტუტების ძირითად წესებსა და ხასიათს.¹⁵ დებულება ვრცელდება ოთხი ტიპის სუ-

ბიექტზე: მინდობილი,¹⁶ სამკვიდროს მმართველი,¹⁷ მეურვე¹⁸ და მინდობილი.¹⁹ ისინი მომხმარებლის ინტერესებს ანდერძის, რწმუნებულობის, სასამართლოს ბრძანების ან მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენენ. შესაბამისად, უფლებამოსილი პირების წრე არ არის ოჯახის უშუალო წევრების ან მემკვიდრეების იდენტიური; მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ სარგებლობა, თუ ისინი აქტში მითითებულ სუბიექტთა ჯგუფებს მიეკუთვნებიან. თუმცა, RUFADAA-ს უფრო დეტალური ანალიზი ნათლად ცხადყოფს შეუსაბამობას. მინდობილის იურიდიული განმარტებიდან²⁰ პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ეს არის ზოგადი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ყველა სხვა დანარჩენ კატეგორიაში უფლებამოსილ პირებს, ასევე დამატებით აგენტსაც, როგორც ანგარიშის მომხმარებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ეს განმარტება თანმიმდევრულად უნდა იქნას გამოყენებული ყველა დებულებაში.²¹

მოდელური აქტი არ ითვალისწინებს შუალედურ შეზღუდვებს და ვრცელდება ავტორიზაციებზე, რომლებიც გაცემულია როგორც მისი ძალაში შესვლის თარიღამდე, ასევე მის შემდეგ. კურატორის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მეურვეობის დამყარების საქმის წარმოების დაწყების თარიღი. RUFADAA ისევე, როგორც UFADAA, არ ერევა ამ სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დებულებების ავტონომიაში. იგი ასევე არ ვრცელდება დამსაქმებლის ციფრულ აქტივზე, რომელსაც დასაქმებული იყენებს დამსაქმებლის ბიზნესის

¹³ M.D. Glennon, A Call to Action: Why the Connecticut Legislature Should Solve the Digital Asset Dilemma, „Quinnipiac Probate Law Journal” 2014, vol. 28, nr 1, s. 71.

¹⁴ Art. 3 (b) RUFADAA.

¹⁵ განსაკუთრებით შეეხება მემკვიდრეობით, ვალდებულებით, საავტორო, საბანკო, სისხლის სამართალს, ასევე საკუთრებას, მეურვეობას, მინდობილობას, მინდობით ურთიერთობასა თუ პირად ცხოვრებას. გამონაკლისს წარმოადგენს RUFADAA-დან გამომდინარე მინდობილის უფლებამოსილებები, ე.წ. გარდაცვლილი მომხმარებლის, დაცული პირის, მინდობილობის გამცემის, მიმნდობის აქტივებზე წვდომა ან მათი კოპირების შესაძლებლობა; National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act

with Prefatory Note and Comments, Williamsburg 2015 (dalej: NCCUSL, Revised Uniform Fiduciary Access...), prefatory note, art. 3 s. 9; <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=112ab648-b257-97f2-48c2-61fe109a0b33&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹⁶ Art. 3 (a) (1) RUFADAA.

¹⁷ Art. 3 (a) (2) RUFADAA.

¹⁸ Art. 3 (a) (3) RUFADAA.

¹⁹ Art. 3 (a) (4) RUFADAA.

²⁰ Art. 2 nr 14 RUFADAA.

²¹ Por. art. 2 nr 14 z art. 3 (a) RUFADAA.

ფარგლებში.²² ეს ეხება შიდა, არასაჯარო საკომუნიკაციო ქსელს, რომელსაც დამსაქმებელი იყენებს მხოლოდ პროფესიული მიზნებისთვის დასაქმებულთან დასაკავშირებლად. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი არ არის ქსელის ადმინისტრატორი, რომელზეც ვრცელდება RUFADAA დებულებები, ანუ პირი, რომელიც გადასცემს, აწარმოებს, ამუშავებს, იღებს ან ინახავს მომხმარებლის ციფრულ აქტივებს.²³ დამსაქმებელი არ აფორმებს დასაქმებულთან ამ სფეროში მომსახურების განვების შესახებ ხელშეკრულებას და კანონიდან გამომდინარე ამით არ უძღვება ანგარიშს.²⁴ თუმცა საქმე განსხვავებულადაა, თუ დამსაქმებელი საჯარო ელექტრონული კომუნიკაციების სერვისებს იყენებს. ამიტომ მნიშვნელოვანია დახურული შიდა ქსელისა და საჯარო ღია ქსელის²⁵ განსხვავება.

IV. ნორმატიული განმარტებები და საკანონმდებლო შენიშვნები

იურიდიული განმარტებების შექმნა არის საკანონმდებლო ტექნიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება ამერიკის სამართლის გამაერთიანებელი კომისიის მუშაობის დროს. შეერთებულ შტატებში, სადაც კანონმდებლობა არ არის ერთგვაროვანი და სახელმწიფო იურისდიქციებს შორის არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ენობრივი განსხვავებებიც არსებობს, ამ საკითხის გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. განმარტებების კატალოგი ხელს უწყობს შეუსაბამობების გადალახვასა და, ამავდროულად, დებულებების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. შტატების სამართლის სპეციფიკას კარგად ასახავს RUFADAA, რომელიც, მიუხედავად საკმაოდ მოკრძალებული მოცულობისა, შეიცავს 27 განმარტებას²⁶ და 8 საკანონმდებ-

ლო კომენტარს.²⁷ მასში გადმოცემული ბევრი განმარტება სხვა სამართლებრივი აქტებისა და მოდელური აქტების, კერძოდ, 2010 წლის ერთიანი მემკვიდრეობითი კოდექსის (*Uniform Probate Code – UPC*²⁸)²⁹ მიერ გამოყენებულ ტერმინებს ეფუძნება. ინფორმაციის განმარტება კი - ერთიანი ელექტრონული გარიგებების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მ-11 პუნქტს (*Uniform Electronic Transactions Act*).³⁰ პირდაპირი მითითება ფედერალურ სამართალში არსებულ განსაზღვრებებზე (*United States Code*³¹) ელექტრონულ კომუნიკაციას³² და მონაცემთა დისტანციური დამუშავების სერვისებს ეხება.³³

²⁷ საკანონმდებლო შენიშვნები RUFADAA-ში შემდეგ მუხლებშია მოცემული: 2, 3, 7, 8, 14, 15, 16 და 19.

²⁸ Uniform Law Commission, <https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=a539920d-c477-44b8-84fe-b0d7b1a4cca8> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²⁹ აგენტი (იხ. art. 2 nr 2 RUFADAA, art. 1–201(1) UPC), კურატორი (por. art. 2 nr 5 RUFADAA, art. 5-102(1) UPC), სასამართლო (por. art. 2 nr 7 RUFADAA, art. 1–201(8) UPC), ელექტრონული (იხ. art. 2 nr 11 RUFADAA, art. 5B–102(3) UPC), მინდობილი (por. art. 2 nr 14 RUFADAA, art. 1–201(15) UPC), osoba (por. art. 2 nr 17 RUFADAA, art. 5B–101(6) UPC), ქონების განმკარგველი (იხ. art. 2 nr 18 RUFADAA, art. 1–201(35) UPC), მინდობილობა (por. art. 2 nr 19 RUFADAA, art. 5B–102(7) UPC), უფლების მიმცემი (იხ. art. 2 nr 20 RUFADAA, art. 5B-102(9) UPC), დაცული პირი (por. art. 2 (21) RUFADAA, art. 5–102(8) UPC), ჩანაწერი (იხ. art. 2 nr 22 RUFADAA, art. 1-201(41) UPC) ასევე ანდერძი (por. art. 2 nr 27 RUFADAA, art. 1–201(57) UPC); NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, s. 6.

³⁰ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, s. 6.

³¹ <https://uscode.house.gov/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

³² Art. 2 nr 12 RUFADAA: „ელექტრონული შეტყობინება“ აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა მე-18 სათაურში art. 2510 pkt. 12 United States Code (U.S.C.) [ცვლილებებით].

³³ Art. 2 nr 23 RUFADAA: „მონაცემთა გადამუშავების დისტანციური მომსახურება“ ნიშნავს ადმინისტრატორს, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მონაცემთა კომპიუტერულ გადამუშავების მომსახურებას ან ციფრული აქტივების შენახვას ელექტრონული შეტყობინებების სისტემაში, მე-18 სათაურის, art. 2510 pkt. 14 U.S.C დეფინიციის მიხედვით [ცვლილებებით].

²² Art. 3 (c) RUFADAA; სამუშაოსთან დაკავშირებული ციფრული აქტივების გამორიცხვაზე საუბრობდა M.D. Glennon, *A Call*, s. 68.

²³ Por. art. 2 nr 8 RUFADAA.

²⁴ Por. ანგარიშის დეფინიცია w art. 2 nr 1 RUFADAA.

²⁵ Por. ანგარიშის დეფინიცია w art. 2 nr 1 RUFADAA.

²⁶ Art. 2 RUFADAA.

განმარტებების კატალოგი მრავალფეროვანია. იგი შეიცავს ტერმინებს, რომლებიც ცნობილია და ხშირად გამოიყენება როგორც იურიდიულ,³⁴ ასევე საყოველთაოდ, არაიურიდიულ ენაშიც;³⁵ იქ განმარტებულია ტექნიკური ტერმინების მნიშვნელობა³⁶ და - რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - შემოღებული და განმარტებული სრულიად ახალი ლექსიკა. ამ უკანასკნელთა შორის მთავარი უდავოდ არის ონლაინ ინსტრუმენტისა³⁷ და ციფრული აქტივის განმარტება³⁸ და განსხვავება კატალოგსა³⁹ და ელექტრონული წერილის⁴⁰ შინაარსს შორის.

დეფინიციის შექმნისას RUFADAA-ს შემქმნელები ყურადღებას ამახვილებდნენ ტექნოლოგიური ცვლილებების დინამიკაზე, რაც აისახა განმარტებების შინაარსში, რომლებიც ხშირად ფართო და ღია ხასიათისაა. ეს მიზნად ისახავს მათი უნივერსალური მნიშვნელობის შენარჩუნებასა და აგრეთვე, აქტუალურობის უზრუნველყოფას, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების გარეშე. თუმცა, აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხი იწვევს სიცხადის დაკარგვას და, შესაბამისად, ამან შეიძლება შეამციროს მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.

მოდელური რეგულაციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, საკანონმდებლო შენიშვნები მოიცავს სახელმძღვანელო მინიშნებებს (ტექნიკური) შტატების კანონმდებლებისთვის.

³⁴ ეხება ისეთ ცნებებს, როგორებიც არის art. 2 RUFADAA: აგენტი (nr 2), კურატორი (nr 5), მინდობის ხელშეკრულება (nr 14), ქონების განმკარგველი (nr 18), მინდობილობა (nr 19), უფლების მიმცემი (nr 20), მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (nr 24), მინდობილი (nr 25), ანდერძი (nr 27).

³⁵ იხ. art. 2 RUFADAA ცნებები როგორებიცაა: ანგარიში (nr 1), გაგზავნა (nr 3), ინფორმაცია (nr 15), პიროვნება (nr 17), მომხმარებელი (nr 26).

³⁶ იხ. დეფინიციები: ადმინისტრატორი (nr 8), მითითებული მიმღები (nr 9), ელექტრონული (nr 11), ელექტრონული შეტყობინება (nr 12), ელექტრონული შეტყობინებების მომსახურება (nr 13), ჩანაწერი (nr 22), მონაცემთა გადამუშავების დისტანციური მომსახურება (nr 23).

³⁷ Art. 2 nr 16 RUFADAA.

³⁸ Art. 2 nr 10 RUFADAA.

³⁹ Art. 2 nr 4 RUFADAA.

⁴⁰ Art. 2 nr 6 RUFADAA.

ტექსტი, რომელიც უნდა შეიცვალოს განსხვავებული ტერმინოლოგიით, მოთავსებულია ფრჩხილებში, მისი მნიშვნელობა კი შემდგომ შენიშვნებში იქნა განმარტებული. ეს ეხება ტერმინებს: კურატორი (*conservator*),⁴¹ დაცული პირი (*protected person*),⁴² აგრეთვე მეურვეობა (*conservatorship*)⁴³ და დოკუმენტი, რომელიც ქონების ადმინისტრატორს უფლებას აძლევს, მართოს გარდაცვლილის სამკვიდრო.⁴⁴ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დოკუმენტის ავტორიზაციის სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ პრაქტიკასთან.⁴⁵ ამავე დროს, უზრუნველყოფილი იქნა დარჩენილი ლექსიკის შესაბამისობა შტატების სამართლებრივ აქტებთან და მიღებულ საკანონმდებლო პრაქტიკასთან.⁴⁶ უფრო მეტიც, საკანონმდებლო შენიშვნებში მითითებულია, თუ სად და რამდენად არის საჭირო პირდაპირ შტატის სამართლის მითითება ან მისი იურისპრუდენციის მიღწევების გათვალისწინება.⁴⁷ RUFADAA-მ შტატის კანონმდებელს ასევე დაუტოვა გადანყვეტილების მიღება, რომ მოდელური აქტის შინაარსთან დაკავშირებულ სა-

⁴¹ Art. 2 nr 5 RUFADAA; იხ. ამ ცნების გამოყენება art. 2 nr 14, art. 2 nr 21, art. 14 RUFADAA, ასევე საკანონმდებლო შენიშვნა art. 14 RUFADAA.

⁴² Art. 2 nr 21 RUFADAA; იხ. ამ ცნების გამოყენება art. 14, 15, 16 RUFADAA, ასევე საკანონმდებლო შენიშვნები ამ მუხლების შესახებ.

⁴³ Art. 3 (a) (3) RUFADAA.

⁴⁴ მე-3 წინადადება საკანონმდებლო შენიშვნის art. 7 და art. 8 RUFADAA.

⁴⁵ Art. 7 (2), (3) RUFADAA; art. 8 (2), (3) RUFADAA; art. 15 (g) RUFADAA; იხ. art. 7 i art. 8 RUFADAA საკანონმდებლო შენიშვნების წინადადება 1 და 2 და art. 15 RUFADAA საკანონმდებლო შენიშვნის წინადადება 2 და 3.

⁴⁶ RUFADAA იმპლემენტაციისას საშტატო იურისდიქციის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებული იყო ზოგიერთი ცნების გამოტოვება; განსაკუთრებით შეეხება იურისდიქციას, სადაც კონსტიტუცია ან სხვა სამართლის აქტი არ უშვებს ცნებას „ცვლილებებით“, და ფედერალური კანონები შტატების სამართალში იქნა შეტანილი; იხ. art. 2 nr 12 და nr 23, art. 7 (5) (C) (ii), art. 16 (b) RUFADAA; საკანონმდებლო შენიშვნები art. 2 (წინადადება 3), art. 7 (წინადადება 4), art. 16 (წინადადება 1).

⁴⁷ საკანონმდებლო შენიშვნა art. 15 (წინადადება 1) და art. 19.

კითხვებში⁴⁸ არსებითი იურისდიქციის მქონე სამართლო დანიშნოს.

როგორც ტერმინოლოგიურ, ისე საკანონმდებლო საკითხებზე კომენტარები შედარებით სამართლებრივი ანალიზის შედეგია, რომელიც, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ შტატთა რეგულაციების ანალიზით. სხვა ქვეყნებში არსებული გადანყვეტილებები იშვიათად განიხილება ULC-ს შეხვედრების დროს. ეს განპირობებულია ამ ორგანოს მუშაობის სპეციფიკიდან, მოცულობიდან და მიზნიდან, მისი შემადგენლობიდან, აგრეთვე მეთოდოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე.

V. ციფრული აქტივი

რა თქმა უნდა, „ციფრული აქტივის“ კონცეფციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ეს ტერმინი დიდი ხანია არსებობს. მიღებულია, რომ იგი 1990-იან წლებში შეიქმნა და შემდეგ სავაჭრო საიდუმლოებებისა და ინტელექტუალური საკუთრებისთვის ციფრული ფორმით გამოიყენებოდა.⁴⁹ ბოლო დრომდე ის კვლავ უცხო იყო მემკვიდრეობის სამართლისთვის;⁵⁰ ასევე არ არსებობდა საყოველთაოდ აღიარებული განმარტება,⁵¹ თუმცა მისი შემუშავების მც-

დელობები განხორციელდა როგორც დოქტრინაში,⁵² ისე კანონმდებლობაში,⁵³ ასევე ექსტრა-იურიდიულ სივრცეშიც.⁵⁴ თუმცა შემოთავაზებულ განმარტებებს მრავალი უარყოფითი მხარე ჰქონდა, რაც დაკავშირებული იყო სამეცნიერო დისკურსის საკმაოდ ზედაპირულობასთან. ამის შედეგად იქმნებოდა არასრული და შემთხვევითი განმარტებები, რომლებიც დაფუძნებუ-

„Columbia Business Law Review“ [CBLR] 2015, nr 2, s. 660; M. Perrone, *What Happens When We Die: Estate Planning of Digital Assets*, „CommLaw Conspectus“ [CLC] 2012, vol. 21, s. 188; G.W. Beyer, *Web Meets the Will: Estate Planning for Digital Assets*, „Journal of Estate & Tax Planning“ [NAEPC] 2015, vol. 42, no 3, s. 28; R. Pinch, *Protecting*, s. 547.

⁵² მაგალითად: L. McCarthy, *Digital Assets and Intestacy*, „Boston University Journal of Science and Technology Law“ [BUJSTL] 2015, vol. 21, s. 385; J.P. Hopkins, *Afterlife in the Cloud: Managing a Digital Estate*, „Hastings Science and Technology Law Journal“ 2013, vol. 5:2, s. 211–212; J.P. Hopkins, I.A. Lipin, *Viable Solutions to the Digital Estate Planning Dilemma*, „Iowa Law Review Bulletin“ [ILRB] 2014, vol. 99, s. 63–64; G.W. Beyer, K.M. Griffin, *Estate Planning for Digital Assets*, „Estate Planning Studies“ [EPS] 7/2011, s. 1.

⁵³ მაგალითად, დეფინიცია *digital assets* მოცემულია art. 1 (14) სენატის პროექტში (Senate Bill – SB) ორეგონის შტატი nr 54, საკანონმდებლო სესია nr 77/2013 r.: „ციფრული აქტივები“ მოიცავს, მათ შორის, ტექსტს, სურათებს, მულტიმედია ინფორმაციას ან სხვა საკუთრებას შენახულს ციფრულ ფორმატში, სერვერზე, კომპიუტერში ან სხვა ფიზიკურ მონოპოლიზაზე ან ელექტრონულ მატარებელზე, მიუხედავად ამ მონოპოლიზების საკუთრებისა. „ციფრული აქტივები“ მოიცავს მათ შორის, სივრცებს, ნიშნებს, კოდებს ან სახელმეკრულებო უფლებებს, რომელიც ციფრულ აქტივებზე წვდომის მოპოვებისთვისაა საჭირო; <https://olis.oregonlegislature.gov/liz/2013R1/Downloads/MeasureDocument/SB54/Introduced> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020); ამ დეფინიციას ეყრდნობა M.D. Glennon, *A Call*, s. 53–54; tak też G.W. Beyer, *Web Meets*, s. 28.

⁵⁴ მაგალითად: J. Romano, *A Working Definition of Digital Assets*, (1.09.2011), <http://www.thedigitalbeyond.com/2011/09/a-working-definition-of-digital-assets/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020); E. Carroll, *Digital Assets: A Clearer Definition*, (30.01.2012), <http://www.thedigitalbeyond.com/2012/01/digital-assets-a-clearer-definition/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

⁴⁸ მე-2 საკანონმდებლო შენიშვნის art. 2 RUFADAA art. 2 nr 7 RUFADAA-სთან დაკავშირებით.

⁴⁹ R. Pinch, *Protecting Digital Assets after Death: Issues to Consider in Planning for Your Digital Estate*, „Wayne Law Review“ [WLR] 2014 vol. 60, s. 547; J.T. Soma, Ch.P. Henderson, *Encryption, Key Recovery, and Commercial Trade Secret Assets: A Proposed Legislative Model*, „Rutgers Computer & Technology Law Journal“ 1999, vol. 25, nr 1, s. 97.

⁵⁰ J. Conner 2011 წ. მიუთითებდა მსგავსი დეფინიციის არარსებობაზე Webster's Dictionary თუ Black's Law Dictionary-ში; ამავდროულად გამოკვეთდა ასეთი დეფინიციის უპირატესობებს უსაფრთხოებისთვის, მოსამართლეთა და ადვოკატების მუშაობისთვის; J. Conner, *Digital Life after Death: The Issue of Planning for a Person's Digital Assets after Death*, „Estate Planning and Community Property Law Journal“ [EPCPL] 2011, vol. 3, s. 303.

⁵¹ S.B. Walsh, *Coming Soon to a Legislature Near You: Comprehensive State Law Governing Fiduciary Access to Digital Assets*, „Charleston Law Review“ [CLR] 2014, vol. 8, s. 431; J. Lee, *Death and Live Feeds: Privacy Protection in Fiduciary Access to Digital Assets*,

ლი იყო მაგალითებზე,⁵⁵ რომელთა მიზანი იყო თემის⁵⁶ ან, უმეტეს შემთხვევაში, კვლევის სფეროს გამოქვეყნება და არა ცნებების უნივერსალური კონცეფციის შემუშავება.

მემკვიდრეობის რეგულაციების მომზადებისას ითვლებოდა, რომ ციფრული აქტივი არის ნებისმიერი აქტივი, რომელიც არსებობს მხოლოდ ორობითი ფორმით.⁵⁷ გამოხატული რიცხვითი კოდირება. ითვლებოდა, რომ ეს არის ტექსტის ან მედიის ნებისმიერი ელემენტი, რომელიც არის ორობითი ფორმატით და შეიცავს მის გამოყენების უფლებას.⁵⁸ არსებობს მოსაზრებები, რომ ციფრული აქტივი არის ნებისმიერი სახის ორობითი მონაცემების ქონება, რომელიც ინახება კომპიუტერში ან ღრუბელში.⁵⁹ ეს ტერმინი ასევე გაიგივებულია ციფრულ საკუთრებასთან.⁶⁰ მას უნდა მოეცვა ციფრული ფორმით შექმნილი ყველა ინფორმაცია, როგორც ონლაინ, ისე ელექტრონული მეხსიერების მოწყობილობაზე, მათ შორის მათი მიღებისთვის აუცილებელი ინფორმაცია.⁶¹ ამავდროულად, იგი არაზუსტად გამოიყენებოდა ვებსაიტების, დომეინის სახელების, ფოტოების, ინტერნეტ ანგარიშებისა და მხოლოდ ციფრული სახით არსებული სხვა აქტივების⁶² აღსაწერად. ციფრულ აქტივად ითვლებოდა როგორც კომპიუტერში შენახული ფაილი, ასევე ანგარიში ან ინტერნეტ პორტალების წევრობა.⁶³ ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო შინაარსი, რომელიც ინახება

ციფრული ფორმით ან იდენტიფიცირებულია ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ონლაინ ანგარიშთან.⁶⁴ ამ დეფინიციის გაფართოებისას, დაშვებულია, რომ „ციფრულ აქტივებად ჩაითვალოს ასევე ფაილები ან შესადარებელი კოლექციები, რომლებიც ახლა არსებობს ან შეიძლება მომავალში გამოჩნდეს ტექნოლოგიის განვითარების დროს, კერძოდ, ელექტრონული ფოსტა (e-mail), დოკუმენტები, სურათები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ციფრული ფაილები, რომელიც ინახება ციფრულ მოწყობილობებზე, მათ შორის, სტაციონალურ კომპიუტერებზე, ლეპტოპებზე, ტაბლეტებზე, პერიფერიულ მოწყობილობებზე, მასობრივი შენახვის მოწყობილობებზე, მობილურ ტელეფონებზე, სმარტფონებზე, აგრეთვე ანალოგიურ არსებულ ან მომავალში შესაძლო ციფრულ მოწყობილობებზე, მოწყობილობის საკუთრების მიუხედავად, რომელშიც ციფრული აქტივი ინახება“.⁶⁵

როგორც ჩანს, ციფრული აქტივის სწორი განმარტება არ არის მარტივი ამოცანა და ასევე არც თუ ისე პატარა გამოწვევას წარმოადგენს კანონმდებლისთვის.⁶⁶ RUFADAA ცდილობს მას ამ გზით გაუმკლავდეს და შეამციროს და გაარკვიოს მისი გამოყენების სფერო. იგი ციფრულ აქტივს განსაზღვრავს, როგორც ელექტრონულ ჩანაწერს, რომელზეც ფიზიკურ პირს აქვს უფლება ან სამართლებრივი ინტერესი.⁶⁷ განმარტებაში, უპირველეს ყოვლისა, ჩანს მნიშვნელოვანი სუბიექტური შეზღუდვა, ანუ ელექტრონული ჩანაწერების გამორიცხვა, რომელიც ეკუთვნის ეკონომიკურ სუბიექტებს. ამასთან, ასეთი გამოსავალი ეწინააღმდეგება

⁵⁵ G.W. Beyer, K. M. Griffin, *Estate*, s. 1–2.

⁵⁶ Zob. przykładowo J. Conner, *Digital Life*, s. 303; D. Martin, *Dispersing the Cloud: Reaffirming the Right to Destroy in a New Era of Digital Property*, „Washington and Lee Law Review” [WLLR] 2017, vol. 74, s. 489.

⁵⁷ J.P. Hopkins, I.A. Lipin, *Viable*, s. 63; J. P. Hopkins, *Afterlife*, s. 211.

⁵⁸ E. Sy, *The Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act: Has the Law Caught up with Technology*, „Touro Law Review” 2016, vol. 32, s. 650; A. Toygar, C.E. Taipei Rohm, J. Zhu, *A New Asset Type: Digital Assets*, „Journal of International Technology and Information Management” [JITIM] 2013, vol. 22, issue 4, s. 113.

⁵⁹ A. Toygar, C.E. Taipei Rohm, J. Zhu, *A New*, s. 113.

⁶⁰ D. Martin, *Dispersing*, s. 489.

⁶¹ E. Sy, *The Revised*, s. 650.

⁶² R. Pinch, *Protecting*, s. 548.

⁶³ J. Conner, *Digital Life*, s. 303.

⁶⁴ J. Romano, *A Working Definition* (1.09.2011).

⁶⁵ E. Carroll, *Digital Assets: A Clearer Definition*, (30.01.2012).

⁶⁶ თუმცა ციფრული აქტივი არ არის პირველი მატერიალური სიკეთე, რომელსაც ფედერალური კანონმდებელი დაუპირისპირდა. ადრეულ და უდავოდ უმნიშვნელოვანესს უნდა მიეკუთვნოს ინტელექტუალური საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული საავტორო უფლებების მემკვიდრეობის საკითხი.; N. Cahn, *Probate Law Meets the Digital Age*, „Vanderbilt Law Review” [VLR] 2014, vol. 67, s. 1703.

⁶⁷ Art. 2 nr 10 წინადადება 1 RUFADAA.

პირის ნორმატიულ განმარტებას, რომელიც, ფიზიკური პირის გარდა, ასევე მოიცავს ორგანიზაციულ ერთეულს, ეკონომიკურ ან არაკომერციულ პირს, საზოგადოებრივ კომპანიას, მთავრობას ან სამთავრობო განყოფილებას, სააგენტოს ან დანესებულელებს ან სამართლის სხვა სუბიექტს.⁶⁸ გაურკვეველია ამგვარი შევინროების მიზანი. მითითებული შეუსაბამოები არ აიხსნება აქტის დასაბუთებაში.⁶⁹

განმარტება ასევე გამორიცხავს აქტივებს, რომლებზეც მომხმარებელს არ აქვს უფლება, კერძოდ, ესენია: უკანონოდ შექმნილი ან კანონის დარღვევით შეგროვებული აქტივები.⁷⁰ უფრო მეტიც, იგი არ მოიცავს აქტივებსა და ძირითად ვალდებულებებს,⁷¹ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი თავად ელექტრონული ჩანაწერებია.⁷² ასე რომ, ეს არის აქტივები, რომლებიც მხოლოდ ელექტრონული ფორმით არსებობს. ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, მაგალითად, ციფრული ვალუტა.⁷³ ეს ასევე შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა ტიპის შეღავათებს (ფასდაკლებებს), რომლებსაც მომხმარებლები მიიღებენ კონკრეტული კომპანიის მომსახურებით მუდმივი სარგებლობისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ციფრული ფორმაა. ეს შეღავათები ღებულობენ სამსახურის სფეროსათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ განსაზღვრებებს (ერთგული ქულები, ავიაკომპანიების ფასდაკლებები, სასტუმროს ქულები და ა.შ.). ამასთან, ასეთი კვალიფიკაცია პრობლემურია, რადგან ფასდაკლება ჩვეულებრივ ექვემდებარება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეზღუდვებს, რაც გამორიცხავს მათი გაყიდვის ან მემკვიდრეობის უფლებას.⁷⁴

ამ კონცეფციის ფარგლებიდან გამორიცხული იქნა ინტერნეტ ბანკის ანგარიშზე შენახული თანხები, რადგან ისინი არსებობენ როგორც ელექტრონული, ისე ქალაქის ფორმით.⁷⁵ განმარტება ითვალისწინებს ელექტრონული ფორმით შენახულ ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას, როგორც ფიზიკურ დისკზე (კომპიუტერი, ლეპტოპი ან სმარტფონი), ასევე ღრუბელში.⁷⁶ კანონიდან გამომდინარე ციფრული აქტივია, განსაკუთრებით, ვებსაიტებზე განთავსებული შინაარსი და ასევე კატალოგისა და თვით ელექტრონული წერილის შინაარსი.⁷⁷ მაგალითად, აქ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ელფოსტის, ბლოგების და სოციალური ქსელის საიტების (Facebook, Instagram, Twitter, LinkedIn, Google+ და ა.შ.), მუსიკალური ანგარიშების (YouTube, iTunes, Pandora და ა.შ.) ან ონლაინ თამაშების შინაარსი.⁷⁸

ამიტომ ციფრული აქტივის ნორმატიული განმარტება ინარჩუნებს მის ზოგად და ღია ხასიათს, რომელიც, მიუხედავად უზუსტობებისა და ამის შედეგად წარმოქმნილი სირთულეებისა, ამ დროისთვის ერთადერთი გამოსავალია, რომელიც შეიძლება გაუმკლავდეს ჩვენი ცხოვრების მუდმივად ცვალებადი ვირტუალური ნაწილის გამოწვევებს და ციფრული აქტივების ახალი ფორმების გაჩენას.⁷⁹ ამით, რა თქმა უნდა, არ მთავრდება ამ მხრივ საკითხის მეცნიერული განხილვა. განმარტების დაზუსტება აუცილებელია და, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ

⁶⁸ Art. 2 nr 17 RUFADAA.

⁶⁹ M.D. Walker, *The New Uniform Digital Assets Law: Estate Planning and Administration in the Information Age*, „Real Property, Trust and Estate Law Journal” [RPTL] 2017, vol. 52, nr 1, s. 53.

⁷⁰ S.B. Walsh, *Coming*, s. 444–445.

⁷¹ აქტივები და ვალდებულებები, რომლებსაც ელექტრონული ჩანაწერი ეხება.

⁷² Art. 2 nr 10 წინადადება 2 RUFADAA.

⁷³ S.B. Walsh, *Coming*, s. 444; M.D. Walker, *The New*, s. 54.

⁷⁴ Por. M.D. Walker, *The New*, s. 54.

⁷⁵ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, s. 6; tak tež M.D. Glennon, *A Call*, s. 69.

⁷⁶ Por. J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital Death Conundrum: How Federal and State Laws Prevent Fiduciaries from Managing Digital Property*, „University of Miami Law Review” [UMLR] 2014 vol. 68, s. 388; Hopkins, *Afterlife*, s. 212.

⁷⁷ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, s. 6; M.D. Walker, *The New*, s. 53–54.

⁷⁸ J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital*, s. 388; იხ. სხვა ციფრული აქტივების მაგალითები: L. McCarthy, *Digital Assets*, s. 385; J.P. Hopkins, *Afterlife*, s. 211; J.P. Hopkins, I.A. Lipin, *Viable*, s. 63–64; M. Perrone, *What Happens*, s. 185–186, 188; G.W. Beyer, K. M. Griffin, *Estate*, s. 1–2; J. Conner, *Digital Life*, s. 303–304.

⁷⁹ იხ. M.D. Glennon, M.D. Glennon, *A Call*, s. 68.

დროის საკითხს წარმოადგენს. გადამწყვეტი როლი აქ სამართლებრივ გადაწყვეტილებას აქვს, თუმცა საბოლოო შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ცხოვრების დიგიტალიზაციის ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

VI. ციფრული აქტივების კლასიფიკაცია

არანაკლებ პრობლემურია ციფრული აქტივების კლასიფიკაციის მცდელობები. ამერიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა დაყოფა არსებობს. მათ შორის, გამოირჩევა პირადი, ფინანსური, საქმიანი და სოციალური მედიის აქტივები.⁸⁰ მათი საერთო მახასიათებელია ფიზიკური ფორმის არარსებობა; ამიტომ ისინი ინერება, გროვდება და ინახება კომპიუტერში ან სხვა ელექტრონულ მონოპოლიზაციაზე, ვებსაიტზე ან ვირტუალურ ღრუბელში.⁸¹ პირადი აქტივების მაგალითებია: ფოტოები, მუსიკა, ვიდეო და ელექტრონული მიმოწერა (e-mail).⁸² ფინანსურ აქტივებში შედის ონლაინ საბანკო ანგარიშები, რომლებიც მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში არსებობს, გადახდის სისტემები და ანგარიშსწორების ქვითრები, რომლებიც იხსნება და ინახება ონლაინ რეჟიმში.⁸³ ბიზნეს აქტივებში მოიაზრება დოკუმენტები, რომლებიც ეხება პროფესიულ საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს, მაგა-

ლითად, კომერციული დოკუმენტაცია (ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, მისი პრეფერენციები ან შეკვეთების შესრულება), ასევე სამართლებრივი ან ეკონომიკური ანალიზი; ამ კატეგორიაში აგრეთვე შედის ბლოგი და ინტერნეტ დომენის სახელი.⁸⁴ სოციალური მედიის დამახასიათებელი ნიშანია მათი ინტერნეტ აქტიურობა, ქსელური სოციალური ურთიერთობების შექმნა და განვითარება, კომუნიკაციისთვისა და სხვა ციფრული აქტივების შესანახად გამოყენება.⁸⁵ სოციალური მედიის ღირებულება, რომელიც მას განასხვავებს სხვა ციფრული აქტივებისგან, ჩანს მომხმარებლის სხვა ანგარიშებთან კავშირში, რომლებიც ზოგჯერ სხვა ონლაინ პლატფორმებზეც იმყოფება, ფიზიკური შემცვლელის გარეშე.⁸⁶ მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ ქსელში ყოფნა საშუალებას იძლევა სხვა ადამიანების ციფრული აქტივების, მათ შორის, კერძო აქტივების წვდომაზე.⁸⁷

ამასთან, აღწერილი კრიტერიუმები არ არის მკაცრი და, შესაბამისად, დაყოფა არც ამომწურავია და არც არაერთგვაროვანი. შესაბამისად, ადვილია ციფრული აქტივების პოვნა, რომელთა გადანაწილება შესაძლებელია რამდენიმე კატეგორიაში.⁸⁸ გარდა ამისა, მითითებული კატეგორიები მხოლოდ მაგალითებია და ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად გაფართოვდება.⁸⁹ ამ ფორმით კლასიფიკაციას ძალზე შეზღუდული სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, მართებულად ეთმობა ყურადღება შესაბამისი ტერმინოლოგიისა და კლასიფიკაციის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც იქნება უნივერსალური და მუდმივი და, ამასთანავე, გაუძლებს მუდმივ ტექნოლოგიურ ცვლილებებს. ეს განსაკუთრებით გა-

⁸⁰ N. Cahn, *Postmortem Life On-line*, Public Law and Legal Theory Paper No. 2012-25, „Probate & Property” 2011, vol. 25, nr 4, s. 36–37; J. Lee, *Death*, s. 660–661; M. Perrone, *What Happens*, s. 188–189; G.W. Beyer, N. Cahn, *Digital Planning: the Future of Elder Law*, „National Academy of Elder Law Attorneys Journal” [NAELA] 2013, vol. 9, nr 1, s. 137–138; Beyer დამატებით ჩამოთვლის ბლოგებს, დომენებს, და ასევე ერთგულების პროგრამებს, ამ ჩამონათვალის ღიად დატოვებით; G.W. Beyer, *Web Meets*, s. 28–29; E. Sy გამოარჩევს 5 კატეგორიას: (1) ელექტრონული საბუთები (2) სოციალური მედია საშუალებები, (3) ფინანსური აქტივები, (4) ბიზნეს აქტივები ასევე (5) სხვა აქტივები; E. Sy, *The Revised*, s. 650; ციფრული აქტივების სხვა დაჯგუფებისთვის იხ. R. Pinch, *Protecting*, s. 548–550.

⁸¹ ვირტუალური ღრუბელის შესახებ D. Martin, *Dispersing*, s. 490 in.

⁸² N. Cahn, *Postmortem*, s. 36; J. Lee, *Death*, s. 660.

⁸³ მაგალითად Paypal, Amazon ან ebay; N. Cahn, *Postmortem*, s. 37; J. Lee, *Death*, s. 661.

⁸⁴ N. Cahn, *Postmortem*, s. 37; ; J. Lee, *Death*, s. 661; სხვანაირად G.W. Beyer, *Web Meets*, s. 29.

⁸⁵ N. Cahn, *Postmortem*, s. 37; J. Lee, *Death*, s. 660–661.

⁸⁶ J. Lee, *Death*, s. 662.

⁸⁷ J. Lee, *Death*, s. 662.

⁸⁸ მაგალითად, სამედიცინო დოკუმენტაცია შეიძლება ჩაითვალოს როგორც პირადი, ისე ბიზნეს აქტივებად. ინტერნეტკორესპონდენცია, როგორც კომუნიკაციის ფორმა, დამატებით შეიძლება სოციალური მედიის ნაწილად იქნეს აღიარებული.

⁸⁹ J. Lee, *Death*, s. 662.

მოსადეგი იქნებოდა კანონმდებლობისა და სამართალწარმოების პროცესში.⁹⁰

VII. ონლაინ ინსტრუმენტი

RUFADAA-ს შემოაქვს ონლაინ ინსტრუმენტი (**online tool**), როგორც ციფრული აქტივების მართვის ახალი საშუალება. ეს არის ადმინისტრატორის მიერ მონოდედებული ელექტრონული სერვისი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მისცეს ადმინისტრატორს ინსტრუქციები მის ანგარიშზე შენახული ციფრული აქტივების შესახებ. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით მას შეუძლია გამოხატოს სურვილი ციფრული აქტივების, მათი ნაწილის და ასევე ელექტრონული კომუნიკაციების შინაარსის გამჟღავნების ან გაუმჟღავნებლობის შესახებ.⁹¹ თუ მომხმარებელი გადაწყვეტს ციფრული აქტივების გამჟღავნებას, იგი ნიშნავს პირს, რომელსაც მისი მართვის უფლება ექნება (დასახელებულია მიმღები).⁹² მომსახურება ხორციელდება ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე (**online tool agreement**), რომელიც განსხვავდება ადმინისტრატორსა და მომხმარებელს შორის დადებული მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებისაგან.⁹³

ამასთან, პრაქტიკაში, ციფრული აქტივების მართვის ამ ახალი მეთოდის გამოყენება საკმაოდ რთულია. ონლაინ ინსტრუმენტი მიმაგრებულია კონკრეტულ ანგარიშზე. ეს ნიშნავს, რომ ერთ ანგარიშში შენახული ციფრული აქტივების განკარგვა გავლენას არ ახდენს სხვა ანგარიშზე შენახულ ციფრულ აქტივებზე. ასე რომ, თუ მომხმარებელს გააჩნია რამდენიმე ანგარიში, მან თითოეულ მათგანზე ცალკე მითითებები უნდა გასცეს. ასევე, აქამდე არ მომხდარა პროცედურის ერთიანი მოდელის შემუშავება,

რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა გამოყენებული. ქსელის ადმინისტრატორების მიერ შემოთავაზებული ონლაინ ინსტრუმენტები განსხვავებულად არის სტრუქტურირებული და მოქმედების სხვა სფერო აქვთ. ზოგიერთ მათგანს შეუძლია უზრუნველყოს ციფრული აქტივის წვდომა, ზოგს - გადაცემა და ზოგს კი მხოლოდ მასზე წვდომის პროცედურის გააქტიურება შეუძლია.⁹⁴ ინსტრუმენტების მრავალფეროვნება ართულებს პრაქტიკაში მათ სრულად და ეფექტიანად გამოყენებას მომხმარებლების მიერ, რომელთა ციფრული აქტივები მიმოფანტულია და განლაგებულია სხვადასხვა ადმინისტრატორებთან. ეს ეხება, თუნდაც მთლიანი ქონების განკარგვის დაგეგმვასა და კონტროლს.⁹⁵ მაგალითად, სირთულეები შეიძლება წარმოიშვას რეგულაციების შინაარსის შესწორების უეცარი აუცილებლობის დროს.

RUFADAA არ განსაზღვრავს ამ ინსტრუმენტის ფუნქციონირების ბევრ მნიშვნელოვან დეტალს და მისი ფორმის ჩამოყალიბების თავისუფლებას ადმინისტრატორს უტოვებს, რაც, სამწუხაროდ, არ აუმჯობესებს მის ეფექტიანობას. კერძოდ, გაუგებარია, ვის როდის და როგორ შეუძლია განსაზღვროს მომხმარებლის მიერ ონლაინ ინსტრუმენტის საშუალებით გაცემული ინსტრუქციების შინაარსი. ამასთან, ეს გადამწყვეტია ამ ინსტრუმენტის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მითითებულ ადრესატს სწრაფად მიენოდოს მისი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ერთ-ერთი შესაძლო გადამწყვეტილებაა პრაქტიკაში გამოყენებული ავტომატური შეტყობინების გაგზავნა უფლებამოსილი პირის ელექტრონულ მისამართზე.

მაგალითად, Google ამ მიზნით 2003 წლიდან⁹⁶ არააქტიური ანგარიშის მენეჯერის ფუნქციას იყენებს (**Inactive Account Manager**).⁹⁷ თუმცა ის არ იძლევა ანგარიშზე სრულ წვდომას, ის მხოლოდ მომხმარებლის მიერ მითითებულ

⁹⁰ არგუმენტები M.D. Glennon, მაგალითად მოყავს სოციალური მედია საშუალებები; M.D. Glennon, *A Call*, s. 71.

⁹¹ Art. 4 (a) წინ. 1 RUFADAA.

⁹² მითითებული მიმღები (**designated recipient**) არის მომხმარებლის მიერ ონლაინ ინსტრუმენტის დახმარებით ციფრული აქტივების მართვისთვის არჩეული პირი (art. 2 nr 9 RUFADAA).

⁹³ დეფინიცია **online tool** იხ. art. 2 nr 16 RUFADAA.

⁹⁴ J.H. Brown, *Online Tools under RUFADAA: The Next Evolution in Estate Planning Or a Flash in the Pan?*, „Probate & Property” 2019, vol. 33, nr 2, s. 62.

⁹⁵ J.H. Brown, *Online*, s. 63.

⁹⁶ S.B. Walsh, *Coming*, s. 439–440.

⁹⁷ Google-ის არააქტიური ანგარიშის მენეჯერი.

პირს აძლევს საშუალებას გადმოწეროს გარკვეული ინფორმაცია. ანგარიშის გარკვეული დროით უმოქმედობის შემთხვევაში, რაც შეიძლება სამიდან თვრამეტ თვემდე გრძელდებოდეს, Google აცნობებს დასახელებულ პირს, რომ მომხმარებლის ანგარიში უმოქმედო გახდა. თუმცა, ასეთი მექანიზმი პრაქტიკაში ყოველთვის არ იმუშავებს. ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით გაცემული ინსტრუქციების მიუხედავად, მომხმარებლები ხშირად აწვდიან წვდომის მონაცემებს თავიანთ ნათესავებს, რითაც მათ თავიანთი სიკვდილის შემდეგ პრაქტიკულად შეუზღუდავ წვდომას აძლევენ ანგარიშზე. ამგვარი მოქმედების კანონიერების შეფასების გვერდის ავლის გარდა, თითოეული შესვლა წყვეტს ანგარიშის უმოქმედობის პერიოდს და ხელს უშლის უფლებამოსილი პირის შეტყობინებას. უფრო მეტიც, ამ დროის განმავლობაში ანგარიშის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს გარდაცვლილი მომხმარებლის ნების საწინააღმდეგოდ. მაგალითად, ციფრული აქტივების ნაშლით ან გადაადგილებით.⁹⁸

ფეისბუქი, გარდა ანგარიშის დახურვისა, იძლევა დამახსოვრების ე.წ. *in memoriam*⁹⁹ სტატუსის დაყენებისა და ასევე, იმ ადამიანის შერჩევის საშუალებას, რომელიც ანგარიშს ზედამხედველობას გაუწევს მომხმარებლის სიკვდილის შემდეგ (ანგარიშის ზედამხედველი). ზედამხედველი მართავს ანგარიშს; თუმცა მას არ შეუძლია ანგარიშში შესვლა, მომხმარებლის შეტყობინებების წაკითხვა, მეგობრების ნაშლა ან მეგობრების წრეში ახალი ხალხის მოწვევა.¹⁰⁰ Facebook ზედამხედველს მხოლოდ სტატუსის *in memoriam*-ად შეცვლის შემდეგ უგზავნის ელ. წერილს, სადაც ახსნილია მისი ფუნქციები და უფლებების სფერო. ამასთან, ასეთი გარდაქმნისთვის საჭიროა მომხმარებლის გარდაცვალების დოკუმენტირება. ასე რომ, სანამ Facebook-ს ამის შესახებ სათანადოდ არ ეცნო-

ბება, გარდაცვლილი მომხმარებლის ანგარიში კვლავ აქტიური იქნება. ამასთან, გარდაცვლილის ანგარიშის სამართავად დანიშნული პირი მასზე წვდომას ვერ მიიღებს. ამრიგად, Facebook-ის გამოსავალსაც იგივე უარყოფითი მხარეები აქვს, რაც Google-ის ინსტრუმენტს, ესაა - ყველა ციფრულ აქტივზე წვდომის და ანგარიშზე უფლებამოსილი პირისთვის წვდომის გადაცემის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა.

ასეთ ვითარებაში ამ ინსტრუმენტის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები. თუმცა, ერთიანი უნივერსალური ონლაინ ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც პრაქტიკაში იმუშავებს, ადვილი ამოცანა არ არის. ადმინისტრატორებს აქვთ ციფრული აქტივების შენახვის, კონტროლისა და გაზიარების საკუთარი, ხშირად განსხვავებული გზები და შესაძლებლობები. ასე რომ, გარდაცვალების შემთხვევაში, მომხმარებელს მოუწევს, გააგრძელოს თითოეულ ანგარიშზე ცალკე შესვლა და ინსტრუქციების გაცემა.¹⁰¹

მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუმენტმა აქამდე ვერ გაამართლა მოლოდინები, გარდაცვალების შემთხვევისთვის საკუთრების შესახებ გადაწყვეტილების გეგმის შედგენისას მისი გამოყენება მაინც უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, ეს დამატებით პრობლემას ქმნის. არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შეიზღუდება ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად ასეთი გეგმის მომზადების შემდეგ. აქ არსებითად შეზღუდულია ადვოკატის მოვალეობის სფერო. ადვოკატის მიერ ამ ცვლილებების მონიტორინგი, თუმცა პრინციპში სასურველია, პრაქტიკაში შეუძლებელია.¹⁰² მას არ შეუძლია მისი კლიენტის ყველა ანგარიშზე ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენების რეგულარული გადამოწმება. მისი პროფესიული ვალდებულება შეიძლება იყოს კლიენტის ინფორმირება შესაძლო სამართლებრივი შედეგების დადგომის შესახებ, რაც კლიენტის ინტერესშიც უნდა შედიოდეს.

⁹⁸ J.H. Brown, *Online*, s. 62–63.
⁹⁹ ანგარიშები სტატუსით *in memoriam* იხ. <https://www.facebook.com/help/103897939701143> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020)
¹⁰⁰ მეურვის უფლებები იხ. <https://www.facebook.com/help/1568013990080948> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹⁰¹ J.H. Brown, *Online*, s. 62.
¹⁰² J.H. Brown, *Online*, s. 63.

VIII. წვდომის უფლებების იერარქია

ონლაინ საშუალებები არის დამატებითი, მაგრამ არა ერთადერთი გზა ციფრული აქტივების წვდომაზე უფლებამოსილი პირის მითითებისთვის. ინსტრუქცია შეიძლება ასევე მომსახურების ხელშეკრულებაში, მინდობის ხელშეკრულებაში, მინდობილობაში, ანდერძში და სხვა დოკუმენტში იყოს მითითებული.¹⁰³ ამან შეიძლება გამოიწვიოს უფლებამოსილებების კონფლიქტი. ეს განსაკუთრებით სავარაუდოა, როდესაც მომხმარებელს გააჩნია მრავალი ანგარიში და ინსტრუქციები ხშირად იცვლებოდა ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა სხვადასხვა ინსტრუმენტი. ამასთან დაკავშირებულ კონფლიქტებს რომ გაუმკლავდეს, RUFADAA-ს შემოაქვს უფლებების სამსაფეხურიანი იერარქია.¹⁰⁴ პირველ რიგში, იგი უპირატესობას ანიჭებს ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით გაცემულ ინსტრუქციას. თუმცა, ეს ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია ინსტრუქციის შეცვლა ან წაშლა.¹⁰⁵ თუ ადმინისტრატორმა არ გახადა ასეთი ინსტრუმენტი ხელმისაწვდომი ან მომხმარებელმა იგი არ გამოიყენა, წვდომას განსაზღვრავს ანდერძის შინაარსი, მინდობის ხელშეკრულება, მინდობილობა ან სხვა დოკუმენტი.¹⁰⁶ მხოლოდ ასეთი რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება ხდება მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების ზოგადი პირობებით, რაც არ საჭიროებს მომხმარებლის ცალკე თანხმობას.¹⁰⁷ *A contrario*, ამიტომ, მოდელური აქტი არ

გამორიცხავს ადმინისტრატორსა და მომხმარებელს შორის დამატებითი ინდივიდუალური ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას სიკვდილის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში ციფრულ აქტივებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ეს არის მომხმარებლის გამოხატული, ცალკეული თანხმობა, რაც არ ნიშნავს იმავე მომსახურების პირობების მიღებას.¹⁰⁸ ამასთან, უფლებების იერარქიაში მოდელური აქტი ანგარიშის წვდომაზე არ აყენებს რაიმე წინაპირობას ასეთი ინდივიდუალური ხელშეკრულების დადების დროს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არის აქტივი მოხსენიებული „სხვა დოკუმენტი“, ისევე გაურკვეველია რეგულაციების თანმიმდევრობა აქტივში ჩამოთვლილ დოკუმენტებს შორის (ანდერძი, მინდობის ხელშეკრულება, მინდობილობა, სხვა დოკუმენტი).

მოდელურ აქტივში მიღებული გადაწყვეტილება გვიჩვენებს, რომ პრიორიტეტულობა დამოკიდებულია არა დროზე, არამედ განცხადების წარდგენის წესზე. ონლაინ მითითებების აბსოლუტური პრიორიტეტულობა ნიშნავს ყველა სხვა რეგულაციის არაეფექტიანობას, მათ შორის, იმ რეგულაციების, რომლებიც შემდგომ იქნა შედგენილი და რომლებიც სპეციფიკურ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას ითვალისწინებენ. ეს არის ატიპური გადაწყვეტა, რომელიც სცდება სამემკვიდრო სამართალში მიღებულ სტანდარტებს, სადაც რეგულაციების კოლიზიის შემთხვევაში გამამწყვეტი მნიშვნელობა დეკლარაციის წარდგენის (ანდერძის შედგენის) დროს აქვს. ამავე დროს, აშშ-ის სამართალში მემკვიდრეობის რეგულაციების ეფექტიანობის განსაზღვრისას, და განსაკუთრებით, როდესაც მათი შეცვლა საჭირო, მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მემკვიდრეობაზე გავლენას ახდენს.¹⁰⁹ ამავდროულად,

¹⁰³ ანდერძის ეფექტიან გამოყენებასა და ციფრული აქტივების მინდობით მართვის პრობლემებზე მიუთითებენ J.P. Hopkins, I.A. Lipin, *Viable*, s. 68–70; zob. też G.W. Beyer, K.M. Griffin, *Estate*, s. 4–5; G.W. Beyer, N. Cahn, *Digital*, s. 150 i n.; J. Conner, *Digital Life*, s. 320–321.

¹⁰⁴ § 4(a)–(c) RUFADAA; J. Ronderos, *Is Access Enough?: Addressing Inheritability of Digital Assets Using the Three-Tier System Under the Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act*, „Transactions: The Tennessee Journal of Business Law” [TJBL] 2017, vol. 18, s. 1038–1040; E. Sy, *The Revised*, s. 672–673.

¹⁰⁵ Art. 4 (a) zd. 2 RUFADAA.

¹⁰⁶ Art. 4 (b) RUFADAA.

¹⁰⁷ Art. 4 (c) RUFADAA.

¹⁰⁸ Art. 4 (c) RUFADAA *a contrario*.

¹⁰⁹ ლიტერატურაში მაგალითად გამოიყენება წესები ანდერძში არმოხსენიებული ბავშვის მემკვიდრედ ყოფნის შესახებ. (art. 2-302 UPC) ასევე განქორწინებული მეუღლის შემთხვევა (art. 2-804 UPC). პირველ შემთხვევაში არის ბავშვი, რომელიც ანდერძის შედგენის შემდეგ გაჩნდა ან იქნა აყვანილი (art. 2-302 (a) UPC); რა თქმა უნდა, ბავშვის გამოტოვება ანდერძში განზრახ არ უნდა მომხდარიყო (art. 2-302 (b) UPC). მეორე შემთხვევა ეხება

RUFADAA არ ითვალისწინებს ონლაინ ინსტრუქციის გაცემასა და მომხმარებლის სიკვდილს შორის არსებულ გარემოებებს და დამატებით ანგარიშზე წვდომის უფლებების შეცვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივი ფორმალური შეზღუდვები შემოაქვს. მომხმარებელს არ შეუძლია ეფექტიანად გააუქმოს თავის ანდერძში მითითება, რომელიც მან ადრე ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით წარადგინა; სამაგიეროდ, მას შეუძლია შეცვალოს ანდერძის განკარგულება ციფრული შინაარსის ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით ხელმისაწვდომობის შესახებ. ამგვარი გამოსავალი ინვესტს ეჭვს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო გადაწყვეტილებები მომხმარებლის რეალურ ნება-სურვილთან,¹¹⁰ რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეცვალა ონლაინ მითითება ან შეცვალა სხვა ფორმით. ეს ასევე ეწინააღმდეგება მინდობის ხელშეკრულებისა და მემკვიდრეობის შესახებ კანონით მიღებულ ტრადიციულ რეგულაციებს, სადაც მოანდერძის ნება გამოხატულია ანდერძში, დამატებითი მტკიცებულებები კი მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინტერპრეტაციის პრობლემები არსებობს.¹¹¹ ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით გაცემული მითითების აბსოლუტურმა უპირატესობამ სხვა ჩანაწერებთან შედარებით, მათ შორის, ანდერძის შინაარსთან, შესაძლოა გამოიწვიოს, რომ გარდაცვლილი მომხმარებლის ნების „ციფრული შემსრულებლები“¹¹² ეფექტიანად ჩამოართმევენ მემკვიდრეს ციფრულ აქტივებზე წვდომის საშუალებას. უფრო მეტიც, მათაც შეიძლება ასევე ეფექტიანად ჩამოერთვათ ანგარიშზე წვდომა, როგორც ეს ადრე აღინიშნა. დაბოლოს, მოდელური აქტი არ არეგული-

რებს არასრულწლოვნის ონლაინ მითითების ეფექტიანობას, რომელსაც არ აქვს ტესტირების შესაძლებლობა. ის სულ სხვა რეალობაში შეიქმნა და არ არის მორგებული ამჟამინდელ სოციალურ საჭიროებებს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სრულფასოვანი ქმედუნარიანობის მოსაპოვებლად პიროვნებამ ასაკობრივ ზღვარს უნდა გადააჭარბოს, რომელიც შეერთებულ შტატებში 18 წელს შეადგენს.¹¹³

IX. მინდობა

ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის კონცეფცია მკაფიოდ ჩამოყალიბდა თავად აქტის სახელწოდებაში და დაემყარა მინდობას. RUFADAA, მინდობილის განსაზღვრისას,¹¹⁴ გამოყოფს ოთხ სახეობას: (1) სამკვიდროს მმართველი, (2) კურატორი, (3) აგენტი და (4) მინდობილი. პირები, რომლებიც არ შედიან ამ ჩარჩოებში, არ არიან RUFADAA-ს ადრესატები და ამ რეგულაციის შესაბამისად ვერ შეიძლება ციფრულ აქტივებზე წვდომა. ამ მხრივ, აქტის თავდაპირველ ვერსიაში - UFADAA-ში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მოდელური აქტი არ შეიცავს დეტალურ რეგულაციებს ამ ინსტიტუტების იურიდიული ხასიათის შესახებ და შემოიფარგლება მხოლოდ მათი ზოგადი განმარტებით. სამკვიდროს განმკარგველი¹¹⁵ არის ტერმინი, რომელიც მოიცავს შემსრულებელს, ქონების განმკარგველს, სპეციალურ ადმინისტრატორს ან პიროვნებას, რომელიც სახელმწიფო კანონის შესაბამისად ასრულებს RUFADAA-ს განმხორციელებელი კანონისგან განსხვავებულ, იმავე ან მსგავს ფუნქციას. კურატორი¹¹⁶ განიხილება, როგორც სასამართლოს მიერ ცოცხალი ფიზიკური პირის (დაცული პირის¹¹⁷) აქტივების სამართავად

განქორწინების გავლენას ადრე შედგენილი ანდერძის შინაარსზე; ამერიკის სამართალი აქ გამოწვევისად უშვებს ანდერძის იმ ნაწილის გაბათილებას, რომელიც განქორწინებული მეუღლის (სამკვიდროს გახსნის მომენტში) სასარგებლოდ იყო შედგენილი (art. 2-508 UPC w zw. z art. 2-804 UPC); Y. Mandel, *Facilitating the Intent of Deceased Social Media Users*, „Cardozo Law Review” [CLR] 2018, vol. 39, s. 1937–1938.

¹¹⁰ Y. Mandel, *Facilitating*, s. 1936–1937.

¹¹¹ Y. Mandel, *Facilitating*, s. 1937.

¹¹² J.H. Brown, *Online*, s. 63.

¹¹³ ანალიზი იხ. N.M. Banta, *Minors and Digital Asset Succession*, „Iowa Law Review” 2019, vol. 104, s. 1699–1746.

¹¹⁴ Art. 2 nr 14 RUFADAA.

¹¹⁵ Art. 2 nr 18 RUFADAA.

¹¹⁶ Art. 2 nr 5 RUFADAA.

¹¹⁷ დაცული პირი არის ადამიანი, რომელსაც კანონით კურატორი/მეურვე დაენიშნა. ეს ცნება მოიცავს ასევე პირს, რომელისთვისაც მეურვის დანიშნის

დანიშნული პირი. ეს კონცეფცია მოიცავს აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მეურვეს, რომელთა განვითარების დარღვევებიც ზღუდავენ მათ ფუნქციონირებას საზოგადოებაში. აგენტის ცნება¹¹⁸ იგივეა, რაც რწმუნებულის უფლებამოსილება იმოქმედოს მინდობილობის საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი ან შეზღუდული (*durable or nondurable power of attorney*). მუდმივი მინდობილობა ძალაში რჩება ძირითადი მარწმუნებლის ქმედუუნაროდ გამოცხადების შემთხვევაში, ხოლო შეზღუდული მინდობილობა, როგორც წესი, კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად გაიცემა და მთავრდება მარწმუნებლის ქმედუუნაროდ გამოცხადებით. მინდობილი¹¹⁹ ნიშნავს მინდობილ პირს რომელსაც ქონებაზე ხელშეკრულების ან დეკლარაციის საფუძველზე უფლება გააჩნია და რომელიც ადგენს უფლებათა ჯგუფს სხვა პირის სასარგებლოდ. ტერმინი ასევე მოიცავს მიმდობის მემკვიდრეს.

კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც მოითხოვს ამ პირების უფრო დეტალურ აღწერას და დანიშვნის, გათავისუფლების, უფლებების სფეროების, ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის მეთოდს ეხება, სხვა სამართლებრივ აქტებში უნდა მოიძებნოს.¹²⁰ ეს ძირითადად ეხება ULC-ს მიერ შემუშავებულ ისეთ მოდელურ რეგულაციებს, როგორებიცაა: მინდობილობის - (*Uniform Power of Attorney Act – UPOAA*¹²¹) 2006 წლის აქტი, 1997 წლის კანონი ზრუნვისა და დამცავი სამართალწარმოების შესახებ (*Uniform Guardianship and Protective*

*Proceedings Act*¹²²), რომლითაც 2017 წელს მეურვეობისა და სხვა დამცავი ღონისძიებების შესახებ კანონი შეიცვალა (*Guardianship, Conservatorship, and Other Protective Arrangements Act*¹²³), 2010 წლის მემკვიდრეობითი სამართლის კოდექსი, ახლა კი მისი 2019 წლის ახალი ვერსია (*Probate Code*¹²⁴), რომელიც ჯერ არ ყოფილა შტატების კანონმდებლობაში იმპლემენტირებული, აგრეთვე 2000 წლის მინდობის შესახებ კანონი (*Uniform Trust Code – UTC*¹²⁵). მასში არსებული გადაწყვეტილებები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს RUFADAA-ს გამოყენებისას.¹²⁶ ამასთან, ამ კვლევის ფარგლებში RUFADAA-ში მითითებული ციფრული აქტივების ამ ობიექტების ხელმისაწვდომობის მხოლოდ¹²⁷ წესების ანალიზის საშუალებას იძლევა.

X. ციფრული აქტივების გამჟღავნების წესები

RUFADAA არ შეიცავს ყველა ციფრულ აქტივებზე ხელმისაწვდომობის ერთგვაროვან წესს. ამასთან ფუნდამენტურ როლს ასრულებს კატალოგისა და ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის განსხვავება. კატალოგი შეი-

სამართალწარმოება მიმდინარეობს; Art. 2 nr 21 RUFADAA.

¹¹⁸ Art. 2 nr 2 RUFADAA.

¹¹⁹ Art. 2 nr 25 RUFADAA.

¹²⁰ J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital*, s. 391 i n.

¹²¹ Uniform Law Commission, <https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=b1975254-8370-4a7c-947f-e5af0d6cb07c#:~:text=The%20Uniform%20Power%20of%20Attorney,manage%20the%20principal%27s%20financial%20assets.&text=While%20the%20UPOAA%20is%20chiefly,deter%20and%20detect%20financial%20abuse> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹²² Uniform Law Commission, <https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=d716e47d-f50b-4b68-9e25-dd0af47a13b7> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹²³ Uniform Law Commission, <https://my.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=2eba8654-8871-4905-ad38-aabbd573911c&CLK=d654559b-a809-4e99-b530-5e1639fe715f> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹²⁴ Uniform Law Commission, <https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=35a4e3e3-de91-4527-aeec-26b1fc41b1c3> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹²⁵ Uniform Law Commission, <https://my.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=193ff839-7955-4846-8f3c-ce74ac23938d> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

¹²⁶ RUFADAA-ზე მუშაობის დასრულების შესახებ J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital*, s. 397 i n.

¹²⁷ ფლორიდის შტატის მაგალითზე მინდობის 4 სახის ზოგადი დახასიათება. იხ. J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital*, s. 391–397.

ცავს ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრავს თითოეულ პირს, რომელთანაც მომხმარებელმა გაცვალა ელექტრონული შეტყობინება, მიუთითებს ამ პირის ელფოსტის მისამართს და მოიცავს შეტყობინების დროსა და თარიღს.¹²⁸ მეორე მხრივ, ელექტრონული შეტყობინების შინაარსი ნიშნავს ინფორმაციას წერილის შინაარსის ან მნიშვნელობის შესახებ. ეს შეეხება როგორც მომხმარებლის მიერ გაგზავნილს, ასევე მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ელექტრონულად ინახება ადმინისტრატორთან და საზოგადოებისთვის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს,¹²⁹ რაც საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი.¹³⁰

მთავარი განსხვავება UFADAA-ს შემადგენელ გადაწყვეტასთან მიმართებაში არის მომხმარებლის თანხმობის პრეზუმფციიდან გასვლა ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გასაჯაროებაზე. RUFADAA¹³¹ აცხადებს, რომ ელექტრონული შეტყობინებების შინაარსი (როგორც გაგზავნილი, ისე მიღებული) ადმინისტრატორის მიერ შეიძლება იქნეს გამჟღავნებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (1) მომხმარებელმა თანხმობა განაცხადა მასზე ან (2) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არსებობს ამის ვალდებულება. ადმინისტრატორი ზომებს იღებს მემკვიდრეობის ადმინისტრატორის განცხადების საფუძველზე, რომლის წარდგენა შესაძლებელია როგორც ტრადიციული (ქალაქის), ისე ელექტრონული ფორმით,¹³² მაგალითად ელექტრონული ფოსტით. თუმცა ეს არ ნიშნავს, ფორმის სრულ თავისუფლებას. განაცხადის წარდგენა შეუძლებელია, კერძოდ, ვიდეოს, ტვიტერის ან ინტერნეტ პორტალის საშუალებით გაგზავნილი ე.წ. მყისიერი შეტყობინებით (*instant message*).¹³³ განაცხადს უნდა ახლდეს მომხმარებლის გარდაცვალების დამადასტურებელი მოწმობის დამონმებული ას-

ლი,¹³⁴ და აგრეთვე აქტში მითითებული სხვა დოკუმენტები.¹³⁵

თუ მომხმარებელმა არ გასცა ინსტრუქცია ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით, საჭიროა ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გასაჯაროებაზე მისი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ასეთი თანხმობა შეიძლება შედიოდეს ანდერძში, მინდობის ხელშეკრულება ან მინდობილობაში, ასევე სხვა დოკუმენტშიც.¹³⁶ აქტში არ არის მითითებული, თუ რომელი სხვა სახის დოკუმენტია მოაზრებული, ის მხოლოდ დამონმებული ასლის წარდგენას მოითხოვს. ღია ფორმულა ნიშნავს, რომ თანხმობის გაცემა დასაშვებია ნებისმიერ დოკუმენტში, ასევე ელექტრონული ფორმით.

ადმინისტრატორს ასევე შეუძლია ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნება დამოკიდებული გახადოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენაზე.¹³⁷ ქონების განმკარგველს შეიძლება სთხოვონ ამოიცნოს მომხმარებლის ანგარიში ადმინისტრატორის მიერ მინიჭებული ნომრის, სახელის, მისამართის ან სხვა ინდივიდუალური იდენტიფიკატორის მითითებით,¹³⁸ და დაამტკიცოს, რომ ანგარიში გარდაცვლილი მომხმარებლის საკუთრება იყო (მტკიცებულებები, რომლებიც ანგარიშს მომხმარებელთან აკავშირებენ).¹³⁹ ადმინისტრატორს ასევე შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს გადაწყვეტილება,¹⁴⁰ რომლითაც დასტურდება რომ (1) მომხმარებელს აქვს სპეციალური

¹³⁴ Art. 7 nr 2 RUFADAA.

¹³⁵ Art. 7 nr 3 RUFADAA; ეხება სასამართლოს გადაწყვეტილების ან ქონების მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილების დამონმებულ ასლს ან წერილობით განცხადებას მცირედი ქონების მიღების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მოწმის თანდასწრებით (*ang. small-estate affidavit*). ეხება გამარტივებულ მემკვიდრეობის პროცედურას, რომელიც სასამართლოს გარეშე მიმდინარეობს. ამ ფორმის გამოყენება შეიძლება თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 100–150 ათას აშშ დოლარს, (შტატიდან გამომდინარე) და თუ სამკვიდროში არ შედის უძრავი ქონება და არაა დაწყებული სამართალწარმოება.

¹³⁶ Art. 7 nr 4 RUFADAA.

¹³⁷ Art. 7 nr 5 RUFADAA.

¹³⁸ Art. 7 nr 5 (A) RUFADAA.

¹³⁹ Art. 7 nr 5 (B) RUFADAA.

¹⁴⁰ Art. 7 nr 5 (C) RUFADAA.

¹²⁸ Art. 2 nr 4 RUFADAA.

¹²⁹ დეფინიცია art. 2 nr 6 (B) RUFADAA მოიცავს ასევე მონაცემთა შენახვის ადმინისტრატორის მიერ გაგზავნილ ან შენახულ ინფორმაციას.

¹³⁰ Art. 2 nr 6 RUFADAA.

¹³¹ Art. 7 RUFADAA.

¹³² Art. 7 nr 1 RUFADAA.

¹³³ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 7, s. 15.

ანგარიში ადმინისტრატორთან, (2) მისი ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნება არ არღვევს ფედერალურ კანონს,¹⁴¹ (3) მომხმარებელმა გასცა თანხმობა¹⁴² ან (4) ის აუცილებელია მისი ქონების განკარგვისთვის. ამ ფართო უფლებების გამოყენების პრაქტიკა შეიძლება განსხვავდებოდეს და ეს დამოკიდებულია ადმინისტრატორის მიერ მიღებული შიდა პროცედურების სპეციფიკაზე.¹⁴³

სრულიად განსხვავებული მიდგომა არის მიღებული სხვა ციფრული აქტივებისა და ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის, მათ შორის ელექტრონული შეტყობინებების კატალოგის, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. RUFADAA აქ ეფუძნება მომხმარებელთა თანხმობის პრეზუმფციას. ამიტომ, თუ მომხმარებელმა პირდაპირ არ გამოიხატა მათზე წვდომა და სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება არ მიუღია, ადმინისტრატორი ამ ციფრულ აქტივებს უმხელს ქონების განმკარგველს, რა თქმა უნდა, შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემდეგ.¹⁴⁴ ფორმალური მოთხოვნები (გარდა მომხმარებლის თანხმობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა¹⁴⁵) იგივეა, რაც მოთხოვნები ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გასაჯაროების მოთხოვნის დროს.¹⁴⁶ ამასთან, ადმინისტრატორს შეუძლია მოითხოვოს წერილობითი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მომხმარებლის ციფრული შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია გარდაცვლილი პირის ქონების მართვისთვის.¹⁴⁷

ანალოგიურად, ამ ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოდელური აქტი განსაზღვრავს აგენტისთვის¹⁴⁸ ციფრული აქტივების გამჟღავნების წესებს. გადამწყვეტი მნიშვნე-

ლობა აქვს მინდობილობის ფარგლებს, რომელშიც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს აგენტის უფლებები დამკვეთის მიერ გაგზავნილი ან მიღებული ელექტრონული შეტყობინებების შინაარსზე.¹⁴⁹ ზოგადი მინდობილობის საფუძველზე, აგენტს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ელექტრონული შეტყობინებების კატალოგზე წვდომა.¹⁵⁰

სამაგიეროდ, ფიდუციარული ურთიერთობები ნაწილობრივ განსხვავებულია მინდობის ხელშეკრულებაში.¹⁵¹ თუ მინდობილი არის ასევე ანგარიშის საწყისი მომხმარებელი, რა თქმა უნდა, ადმინისტრატორმა უნდა მიაწოდოს მას ყველა ციფრული აქტივი, მათ შორის კატალოგი და ელექტრონული შეტყობინებების შინაარსი, თუ მინდობის ხელშეკრულებით და სასამართლოს ბრძანებით სხვა რამ არ არის მითითებული.¹⁵² ამასთან, მიმდობის მიერ ციფრული აქტივის ნდობით გადაცემის შემთხვევაში, მინდობილი ხდება მემკვიდრე მომხმარებელი. ასევე იმ შემთხვევაში, თუ მინდობილი არ არის თავდაპირველი მომხმარებელი, ეჭვგარეშეა, რომ მან მიიღო ციფრულ შინაარსზე წვდომის მიღების უფლებამოსილება.¹⁵³ მისი მოქმედების სფერო შეიძლება განსხვავებულად იყოს ჩამოყალიბებული ნდობის ინსტრუმენტში.¹⁵⁴ სრული წვდომის მისაღებად, იგი უნდა მოიცავდეს თანხმობას ციფრული აქტივების შინაარსის გამჟღავნებაზე.¹⁵⁵ წვდომის მიღებამდე მინდობილმა ისევე, როგორც აგენტმა,¹⁵⁶ უნდა დააკმაყოფილოს ფორმალური პირობები, კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისგებლობაზე განმარტების მიღების შემდგომ დაადასტუროს, რომ მინდობილობა არ ამონურულა და რომ იგი ამჟამად ასრულებს მისთვის მინდობილ ფიდუციარულ მოვალეობებს.¹⁵⁷

¹⁴¹ art. 2701 i n. U.S.C. oraz art. 222 U.S.C.; NCCUSL, Revised Uniform Fiduciary Access, art. 7, s. 15; იხ. A. Wudarski, Kształtowanie, s. 13–14.

¹⁴² Chyba że wydał on dyspozycję za pomocą narzędzia online.

¹⁴³ NCCUSL, Revised Uniform Fiduciary Access, art. 7, s. 15.

¹⁴⁴ Art. 8 RUFADAA.

¹⁴⁵ Art. 7 nr 4 oraz nr 5 (C) (ii) (iii) RUFADAA.

¹⁴⁶ Por. art. 7 RUFADAA.

¹⁴⁷ Art. 8 nr 4 (C) RUFADAA.

¹⁴⁸ Art. 9 – art. 10 RUFADAA.

¹⁴⁹ Art. 9 nr 2 RUFADAA.

¹⁵⁰ Art. 10 RUFADAA.

¹⁵¹ Art. 11 – art. 13 RUFADAA.

¹⁵² Art. 11 RUFADAA.

¹⁵³ NCCUSL, Revised Uniform Fiduciary Access, art. 12, s. 20.

¹⁵⁴ იხ. art. 12 nr 2 z art. 13 nr 2 RUFADAA.

¹⁵⁵ Art. 12 nr 2 *in fine* RUFADAA.

¹⁵⁶ Art. 9 nr 3 RUFADAA.

¹⁵⁷ Art. 12 nr 3; art. 13 nr 3 RUFADAA.

მეურვისთვის¹⁵⁸ ციფრული აქტივების გამჟღავნების პრინციპების დადგენისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული იქნა ამ ინსტიტუტის მიზნები და ფუნქციები. მეურვეს უფლება აქვს დაცული პირის ციფრულ აქტივებზე წვდომა მხოლოდ სასამართლოს თანხმობით მიიღოს.¹⁵⁹ მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილება არ არის საკმარისი. დაცული პირი ინარჩუნებს უფლებას, საკუთარი პირადი ინფორმაცია დაიცვას ელექტრონულ კომუნიკაციაში.¹⁶⁰ შტატების სამართალი¹⁶¹ არეგულირებს მეურვის უფლებამოსილების მინიჭების კრიტერიუმებს. მეორე მხრივ, კურატორს, რომელსაც გააჩნია დაცული პირის აქტივების მართვის ზოგადი უფლებამოსილება, შეუძლია მიმართოს ადმინისტრატორს ანგარიშის შეჩერების ან დახურვის განცხადებით, თუ ამას დასაბუთებული მიზეზები ახლავს. ასეთ ვითარებაში განცხადებას უნდა დაერთოს სასამართლოს გადაწყვეტილების დამონმებული ასლი, რომლის მიხედვითაც მეურვე უფლებამოსილია მართოს დაცული პირის ქონება.¹⁶² ციფრულ აქტივებზე სასამართლო მინდობილობის ნებართვის მოთხოვნა არ ზღუდავს მინდობილის უფლებას ფუძემდებლურ აქტივებზე, როგორცაა საბანკო ანგარიშზე განთავსებული სახსრები.¹⁶³

XI. ციფრული აქტივების გამჟღავნების პროცედურა

RUFADAA ადმინისტრატორს დიდ თავისუფლებას უტოვებს ციფრული აქტივების გამჟღავნების მეთოდის არჩევაში. ამგვარი მოქნილობა მიზნად ისახავს საკუთარი ბიზნესის უპირა-

ტესობის დაკმაყოფილებას.¹⁶⁴ ადმინისტრატორს შეუძლია აირჩიოს სამი ვარიანტი:¹⁶⁵ მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ (1) მიანიჭოს მინდობილს ან დანიშნულ ადრესატს ანგარიშზე სრული წვდომა, (2) მისცეს მხოლოდ ნაწილობრივი წვდომა, რაც საკმარისია იმ ამოცანების შესასრულებლად, რისთვისაც ისინი დაინიშნენ,¹⁶⁶ ან (3) შეზღუდოს ციფრული აქტივის გამჟღავნება, კერძოდ, დატოვოს მხოლოდ მისი ასლის გაცემის შესაძლებლობა და წვდომა იმ ფარგლებში, როგორც მომხმარებელს ექნებოდა ცოცხალი რომ ყოფილიყო და ჰქონოდა სრული უფლებათნარიანობა და ანგარიშზე წვდომა.¹⁶⁷ ადმინისტრატორს ასევე შეუძლია დაადგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული საფასური ციფრული აქტივების გამჟღავნებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.¹⁶⁸ ცხადია, საფასურის გადახდა დამატებითი შემოსავლის წყარო არ უნდა იყოს, არამედ მხოლოდ განეული ხარჯების კომპენსაციისთვის უნდა იქნეს განკუთვნილი. მათი ოდენობის დასადგენ კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებული იქნეს კომპანიების მიერ დაწესებული მსგავსი მოსაკრებლები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ასრულებენ მათთვის მინდობილ ადმინისტრაციულ დავალებებს, რომლებიც სცილდება მათი საქმიანობის ჩვეულებრივ ფარგლებს.¹⁶⁹ ადმინისტრატორი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მომხმარებლის მიერ ნაშლილი ციფრული აქტივები.¹⁷⁰ ეს ეხება ასევე იმ აქტივებს, რომელთა ტექნიკურად აღდგენის შესაძლებლობა არსებობს. ივარაუდება, რომ მომხმარებელმა ციფრული აქტივების ამოღე-

¹⁵⁸ Art. 14 RUFADAA.
¹⁵⁹ Art. 14 (a) RUFADAA.
¹⁶⁰ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 14, s. 23.
¹⁶¹ მაგალითები იხ. NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 14, s. 23.
¹⁶² Art. 14 (c) RUFADAA.
¹⁶³ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 14, s. 23.

¹⁶⁴ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 6, s. 13.
¹⁶⁵ E. Sy, *The Revised*, s. 675.
¹⁶⁶ Art. 6 (a) (1)–(2) RUFADAA.
¹⁶⁷ ითვლება დღე, როდესაც ადმინისტრატორი ციფრული აქტივების გამჟღავნების შესახებ განცხადებას მიიღებს; Art. 6 (a) (3) RUFADAA.
¹⁶⁸ Art. 6 (b) RUFADAA.
¹⁶⁹ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 6, s. 13.
¹⁷⁰ Art. 6 (c) RUFADAA.

ბით გამოსატყობი მათი გაუმჟღავნებლობის სურვილი.¹⁷¹

განცხადება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული აქტივების გამჟღავნებას შეეხებოდეს. ასეთი შეზღუდვა შესაძლოა მომხმარებლის მითითებიდან გამომდინარეობდეს, ასევე ეს შეიძლება იყოს მინდობილის სუვერენული გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ დაგროვილი აქტივების ნაწილითაა დაინტერესებული. თუმცა, ადმინისტრატორი არ არის ვალდებული, ისინი დაანაწევროს, თუ ეს მისთვის გადაჭარბებული ტვირთი იქნება.¹⁷² ამგვარი მოთხოვნის შესრულებაზე უარი მიზნად ისახავს ადმინისტრატორის დაცვას შრომის ინტენსიური დავალებების შესრულებისგან, რაც დაკავშირებულია განმცხადებლის მიერ ციფრული შინაარსის მითითებული დეტალური ინფორმაციის ძიებასთან. შესაძლო დავებს წყვეტს სასამართლო,¹⁷³ რომელიც უფლებამოსილია,¹⁷⁴ განსაზღვროს (1) ციფრული შინაარსის სრულიად ან (2) ნაწილობრივად გამჟღავნება; (3) აკრძალოს მათი გამჟღავნება, ასევე (4) მოითხოვოს სასამართლოს დახურულ სხდომაზე თვითშეფასებისათვის ყველა აქტივის სასამართლოსთვის გადაცემა.

ლიტერატურაში¹⁷⁵ ნათქვამია, რომ ადმინისტრატორისთვის მინიჭებულმა ზედმეტად დიდმა აღიარებამ შეიძლება გამოიწვიოს კონტრპროდუქტიული ეფექტი და უფრო მეტი სასამართლო დავა. სხვა საკითხებთან ერთად, კრიტიკულად შეფასდა ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის წესების ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობა მომსახურების მინოდების ხელშეკრულების ზოგადი პირობებით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრატორებს ამ გზით ენდომებათ ციფრულ აქტივებზე ნვდომის შეზღუდვა ან გამორთვა კი. ძნელია ისეთი დებულებების შედეგების პროგნოზირება, რომლებიც სხვა ინსტრუქციების არარსებობის შემთხვევაში სავალდებულო გახდება. იმავდროულად, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც

ონლაინ საშუალებები არც გვთავაზობენ და არც იყენებენ, ხოლო მომხმარებლებმა სხვა წესით არ შექმნეს შესაბამისი რეგულაციები.¹⁷⁶

ციფრული აქტივების გაზიარების მოცულობისა და ფორმის გადასაწყვეტად ფორმალურად დიდი თავისუფლების მიუხედავად, ადმინისტრატორს არ შეუძლია მისი თავისუფლად გამოყენება. აქტის განმარტებით, მემორანდუმში მოცემული დეფინიციების მიუხედავად, აქ გადამწყვეტი ფაქტორი არ შეიძლება იყოს¹⁷⁷ მისი საკუთარი ბიზნეს უპირატესობები. ადმინისტრატორმა უნდა იხელმძღვანელოს რეგულაციის მიზნით და ზუსტად დააბალანსოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. უნდა გვახსოვდეს, რომ RUFADAA კომპრომისის შედეგია, რომლის ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, არის დავა გარდაცვლილი მომხმარებლის ციფრული შინაარსის კონფიდენციალურობის დაცვაზე.¹⁷⁸ შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ მინდობილს ან დანიშნულ ადრესატს უფლება აქვს, გაამჟღავნოს მხოლოდ ის, რაც აუცილებლად არის საჭირო მისი მოვალეობების შესასრულებლად. პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, საკმარისია თუ არა ნაწილობრივი ნვდომა.¹⁷⁹ გაუგებარი რჩება კრიტერიუმი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ანგარიშზე სრული ნვდომის მინიჭების ან მასზე მხოლოდ ციფრული აქტივების ასლების არსებობის არჩევისას. ასლის მომზადებამ შეიძლება შეაჩეროს ნვდომა და ხელი შეუშალოს ეფექტიან განკარგვას.¹⁸⁰ ნებისმიერ შემთხვევაში, კანონის ტექსტში ამ ბუნდოვანების გარკვევა გააუმჯობესებდა გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობდა პოტენციური დავების რაოდენობის შემცირებას.

¹⁷⁶ caring.com-ის გამოკვლევიდან გამომდინარე 2017 წელს ამერიკელების 42%-მა შეადგინა ანდერძი ან სხვა დოკუმენტი გარდაცვალების შემთხვევაში მითითებების შესახებ. 2020 წელს მხოლოდ 32%-მა. 20%-იანი კლებაა <https://www.caring.com/caregivers/estate-planning/wills-survey/2017-survey/>;

<https://www.caring.com/caregivers/estate-planning/wills-survey> (უკანასკნელად ნანახია: 30.5.2020).

¹⁷⁷ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 6, s. 13.

¹⁷⁸ A. Wudarski, *Kształowanie*, s. 14.

¹⁷⁹ E. Sy, *The Revised*, s. 675.

¹⁸⁰ E. Sy, *The Revised*, s. 675–676.

¹⁷¹ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 6, s. 13.

¹⁷² Art. 6 (d) RUFADAA.

¹⁷³ ადმინისტრატორის ან მინდობილის განცხადებით.

¹⁷⁴ Art. 6 (d) (1) – (4) RUFADAA.

¹⁷⁵ Y. Mandel, *Facilitating*, s. 1938–1939.

XII. მინდობილის უფლებები და მოვალეობები

RUFADAA განსაზღვრავს ასევე მინდობილის საქმიანობის პრინციპებს, უფლებებისა და მოვალეობების სფეროს.¹⁸¹ ციფრული ქონებრივი სიკეთის მართვასთან დაკავშირებული მისი მოვალეობები იგივეა, რაც მატერიალური ქონებრივი სიკეთის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები. მინდობილმა პირმა თავისი დავალებების შესრულებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიჩინოს სათანადო გულმოდგინება, იხელმძღვანელოს ერთგულების პრინციპით და პატივი სცეს ინფორმაციის კონფიდენციალურობას.¹⁸² ამასთან, მან უნდა იმოქმედოს საშტატო და ფედერალური სამართლის ნორმებით და, შესაბამისად, ამ ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის აგოს პასუხი.

უფლებამოსილებები თანამიმართებაშია მოვალეობებთან.¹⁸³ მინდობილს შეუძლია მხოლოდ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებზეც მომხმარებელი იყო უფლებამოსილი. ამის ფარგლებში, მას შეუძლია, მაგალითად, გაასაჩივროს მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების პირობები,¹⁸⁴ ასევე წერილობით მოსთხოვოს ადმინისტრატორს ანგარიშის დახურვა,¹⁸⁵ თუ ეს არ ეწინააღმდეგე-

ბა მის ვალდებულებებს.¹⁸⁶ მას არ შეუძლია ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც კანონით დაცულ ქონებრივ სიკეთეს დაარღვევს.¹⁸⁷

როგორც წესი, მინდობილ პირზე გადადის უფლებები, რომლებიც მომხმარებელს ჰქონდა გარდაცვალების დროს. ეს განსაკუთრებით ეხება ციფრულ აქტივებზე წვდომას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მომხმარებლის მიერ ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით აშკარად შეიზღუდა ან გამოირიცხა.¹⁸⁸ მათ წარმოშობას მნიშვნელობა არ აქვს. მინდობილს აქვს ციფრულ შინაარსზე წვდომის უფლება მაშინაც კი, თუ გარდაცვლილი მომხმარებელი მას უკანონოდ დაეუფლა. ასეთ სიტუაციაში მინდობილს დასჭირდება ციფრულ აქტივებზე წვდომა, მათი სწორად წარმართვის მიზნით; მაგალითად, ის შეიძლება ვალდებული იყოს, მათ შესახებ კომპიუტერულ ორგანოს მოახსენოს ან გადასახადი გადაიხადოს.¹⁸⁹ მისი საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრება, განსაკუთრებით, საავტორო უფლებებითა¹⁹⁰ და მომსახურების განწვევის პირობებით.¹⁹¹ ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მინდობილი არ არის ინტერნეტ ანგარიშის მომხმარებელი და ასეთად თავს ვერ წარმოადგენს უფლებების განხორციელებისას.¹⁹²

RUFADAA ასევე წყვეტს, რომ მინდობილი, რომელიც მოქმედებს თავისი მოვალეობების ფარგლებში, კომპიუტერული თაღლითობის და კომპიუტერზე უნებართვო შესვლის ნესებიდან გამომდინარე, მათ შორის, შტეტების კანონ-

¹⁸¹ Art. 15 RUFADAA.

¹⁸² Art. 15 (a) (1)–(3) RUFADAA.

¹⁸³ Art. 15 (b) (3) RUFADAA.

¹⁸⁴ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 26.

¹⁸⁵ Art. 15 (g) (1) – (2) RUFADAA-ს მიხედვით განცხადებას უნდა დაერთოს: (1) [დამონმებული] გარდაცვალების მოწმობის ასლი, თუ მომხმარებელი ცოცხალი არ არის (2) ქონების მიღების შესახებ წერილობით განცხადების [დამონმებული] ასლი, რომელიც გაკეთებულია მოწმის თანდასწრებით (*ang. small-estate affidavit*) და ა.შ. დამატებით ადმინისტრატორმა შეიძლება მოითხოვოს: (A) ნომრის, მომხმარებლის სახელის, მისამართის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი საშუალების ნარდგენა ანგარიშის ვერიფიკაციისთვის, (B) მტკიცებულების, რომ ანგარიში მომხმარებელთანაა დაკავშირებული; ან (C) სასამართლო გადაწყვეტილების, რომელიც ადგენს, რომ მომხმარებელს ადმინისტრატორთან

გააჩნდა აღნიშნული ანგარიში, რომლის იდენტიფიკაციაც შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის საშუალებით pkt. (A); იხ. art. 15 (g) (3) RUFADAA.

¹⁸⁶ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 26.

¹⁸⁷ მაგალითად ანგარიშის ნაშლა; NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 26.

¹⁸⁸ იხ. art. 4 RUFADAA.

¹⁸⁹ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 26.

¹⁹⁰ Art. 15 (b) (2) RUFADAA.

¹⁹¹ გარდა *online* ინსტრუმენტით გაცემული მითითებისა; იხ. art. 15 (b) (1) art. 4 RUFADAA.

¹⁹² Art. 15 (b) (4) RUFADAA.

ნით,¹⁹³ არის გარდაცვლილის ქონების უფლებამოსილი მომხმარებელი.¹⁹⁴ მიუხედავად იმისა, რომ საშტატო სამართალი რეგულაციის დეტალებითა და ფარგლებით განსხვავდება, კომპიუტერზე უნებართვო წვდომის კრიმინალიზაცია ეჭვს არ იწვევს.¹⁹⁵ ფედერალურმა სასამართლოებმა შეიძლება გაითვალისწინონ საშტატო რეგულაციები ფედერალური კანონების ინტერპრეტაციისას, განსაკუთრებით ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალურობის აქტის (ECPA)¹⁹⁶ და კომპიუტერული თაღლითობისა და ბოროტად გამოყენების კანონის (CFAA)¹⁹⁷ დებულებების განმარტებისას. თუმცა, შტატების კანონები არ არის იმის განმსაზღვრელი, თუ რამდენად არღვევს მომხმარებლის ანგარიშზე შესვლა ფედერალური სისხლის სამართლის ნორმებს.¹⁹⁸

მინდობილს, რომელსაც ასევე აქვს გარდაცვლილის ქონების განკარგვის უფლებამოსილება, აქვს წვდომა ნებისმიერ ციფრულ აქტივზე, რომელზეც უფლება ან ინტერესი გააჩნდა გარდაცვლილს,¹⁹⁹ მათ შორის, იმაზეც, რასაც ადმინისტრატორი არ ინახავს და არ ექვემდებარება მომსახურების ხელშეკრულებას.²⁰⁰ მინდობილი, განსაკუთრებით უფლებამოსილია გარდაცვლილის საკუთრებაში არსებულ მატერი-

ალურ საშუალებებზე შენახული ციფრული აქტივების წვდომაზე;²⁰¹ ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მოძრავი ნივთი, როგორებიცაა კომპიუტერი, ლეპტოპი ან მობილური ტელეფონი.²⁰²

იმ შემთხვევაში,²⁰³ თუ მოანდერძე არ ტოვებს რაიმე განკარგულებას ციფრული აქტივების შესახებ, ქონების განმკარგველის უფლებამოსილების ფარგლები განსხვავდება და დამოკიდებულია აქტივის სახეობაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ელექტრონული შეტყობინებების (ელფოსტის) სხვა ციფრული აქტივებისგან გარჩევა. ECPA მხოლოდ ელექტრონული შეტყობინებების კატალოგის გაზიარების საშუალებას იძლევა. ელექტრონული კომუნიკაციების შინაარსის გასაჯაროებისთვის საჭიროა მომხმარებლის თანხმობა.²⁰⁴ მეორე მხრივ, ქონების განმკარგველს უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ ციფრული ფორმით შენახულ სხვა აქტივებზე, როგორებიცაა, მაგალითად, საბანკო ამონაწერი, ფოტოები, ვიდეოები, თამაშები, აგრეთვე სხვა მასალები და დოკუმენტები, რომლებიც „ღრუბელშია“ შეგროვებული.²⁰⁵ ამიტომ ამგვარი აქტივების ადმინისტრატორებმა (ბანკები, ინტერნეტქსელის ოპერატორები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები) ქონების განმკარგველს უნდა მიაწოდონ მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ანგარიშზე შესასვლელად. ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილის ამ სხვა ციფრული აქტივების გამჟღავნება ხდება განმკარგველის მოთხოვნით.²⁰⁶ თუ გარდაცვლილ მომხმარებელს შეეძლო მათი ელექტრონულად გადაცემა, კერძოდ, მომსახურების მიწოდების ზოგადი პირობები არ ეწინააღმდეგებოდა ასეთ გადაცემას, ქონების განმკარგველსაც ასევე შეუძლია გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.²⁰⁷ ზემოთ აღნიშ-

¹⁹³ Art. 15 (d) RUFADAA; Art. 15 (e) (2) RUFADAA.

¹⁹⁴ Art. 15 (d) RUFADAA.

¹⁹⁵ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 26 in fine.

¹⁹⁶ Ustawa z 21.10.1986 r. — *Electronic Communications Privacy Act* (ECPA), H.R. 4952 (99th), <https://www.govtrack.us/congress/bills/99/hr4952/text> (უკანასკნელად ნანახია: 31.5.2020); ECPA იმპლემენტირებულ იქნა სათაურში 18 U.S.C. თავი 121 — *Stored Wire and Electronic Communications and Transactional Records Access*, § 2701 – § 2710; zob. A. Wudarski, *Kształowanie*, s. 13–14.

¹⁹⁷ Ustawa z 16.10.1986 r. — *The Computer Fraud and Abuse Act* (CFAA), H.R. 4718 (99th), <https://www.congress.gov/bill/99th-congress/house-bill/4718> (უკანასკნელად ნანახია: 31.5.2020); CFAA იმპლემენტირებულ იქნა სათაურში 18 U.S.C. თავი 47 — *Fraud and related activity in connection with computers*. § 1030.

¹⁹⁸ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 27.

¹⁹⁹ შეეხება ასევე დაცული პირის ან მიმდობის უფლებას.

²⁰⁰ Art. 15 (c) RUFADAA.

²⁰¹ Art. 15 (e) (1) RUFADAA.

²⁰² NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 27.

²⁰³ იხ. მაგალითი nr 1 w NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 27.

²⁰⁴ Art. 7 RUFADAA.

²⁰⁵ თუ შეესაბამება „ციფრული აქტივის“ დეფინიციას art. 2 nr 10 RUFADAA.

²⁰⁶ Art. 8 RUFADAA-ის მიხედვით.

²⁰⁷ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 27.

ნული ECPA-ს შეზღუდვები არ ეხება ბანკებს. ამიტომ, მათ შეუძლიათ გამოავლინონ როგორც კატალოგი, ასევე ელექტრონული შეტყობინებების შინაარსი, თუ ისინი არიან მათი გამომგზავნები ან ადრესატები.²⁰⁸ ასევე, გარდაცვლილი მომხმარებლის ანგარიშის ადმინისტრატორს შეუძლია მინდობილს გააცნოს მათში მოცემული ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ეს საჭიროა ანგარიშის დასახურად, რომელიც გამოიყენება იმ ციფრულ აქტივებზე წვდომისთვის, რომელსაც მომხმარებელი ლიცენზიის შესაბამისად იყენებდა.²⁰⁹

XIII. განსხვავებები მასაჩუსეტში

მიუხედავად განხილული საკითხების სფეროში სამართლებრივი გადაწყვეტილებების ფართო მასშტაბის ჰარმონიზაციისა, ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთ შტატში არსებულ განსხვავებულ რეგულაციებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მასაჩუსეტის შტატის უმაღლესი სასამართლოს (*the Supreme Judicial Court of Massachusetts*) 2017 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ajemian vs. Yahoo! Inc.*²¹⁰ განჩინება მიღებულ იქნა საკმაოდ გავრცელებული ფაქტის ფონზე, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა ნორფოლკში. მომხმარებელი (ჯონ აჯემიანი) გარდაიცვალა 2006 წელს. მან არ დატოვა არც პაროლი²¹¹ და

არც რაიმე მითითება მისი ელექტრონული ფოსტის ანგარიშის შინაარსის წვდომაზე. შედეგად, ანგარიშის ადმინისტრატორმა (**Yahoo!**) გაზიარებაზე უარი განუცხადა გარდაცვლილის მემკვიდრეებს (დაძმა რობერტ და მარია-ნა), რომელთაც ამ გზით სურდათ თავიანთი მეგობრებისთვის ეუწყებინათ ძმის გარდაცვალების შესახებ. შემდეგ, უკვე როგორც სასამართლოს მიერ დანიშნული ქონების განმკარგველებს, ციფრული აქტივის იდენტიფიცირებისა და მთელი ქონების ეფექტიანად მართვისთვის მათ დასჭირდათ ანგარიშზე წვდომა. **Yahoo!**-მ უარი ფედერალური კანონის შედეგად მიღებულ შეზღუდვებზე მითითებით გაამართლა.²¹² ამ პოზიციას დამატებით მხარს უჭერდა მომსახურების ზოგადი პირობები,²¹³ რომლებიც მომხმარებლის მიერ იყო მიღებული და მხარეებს შორის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

გარდაცვლილი მომხმარებლის ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნების შუამდგომლობაზე უარის გამოტანისას პირველი ინსტანციის სასამართლომ (*Probate and Family Court*), **Yahoo!**-ს პოზიცია გაიზიარა. სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალური კანონით²¹⁴ გათვალისწინებული გამონაკლისები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გარკვეული სუბიექტებისთვის გამჟღავნება, არ განიმარტება ფართო მასშტაბით. ამრიგად, დეზულებსა,²¹⁵ რომელიც მხოლოდ აგენტს ასახელებს უფლებამოსილ პირად,²¹⁶ არ ვრცელდება სასამართლოს სახელით დანიშნულ და მოქმედ²¹⁷ ქონების მმართველზე. ასევე, ფედერალუ-

²⁰⁸ NCCUSL, *Revised Uniform Fiduciary Access*, art. 15, s. 27.

²⁰⁹ Art. 15 (f) RUFADAA.

²¹⁰ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017) s. 169–188; <http://masscases.com/cases/sjc/478/478mass169.html>; <https://www.mass.gov/files/documents/2017/10/16/12237.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²¹¹ მომხმარებელს რომც დაეტოვებინა მონაცემები შესასვლელად, მათი გამოყენება განმკარგველის მიერ მაინც იქნებოდა უკანონო; *Ajemian v. Yahoo! Inc.*, Massachusetts Supreme Judicial Court Holds that Personal Representatives May Provide Lawful Consent for Release of a Decedent’s Emails, „Harvard Law Review” 2018, vol. 131 (7) s. 2082, 11; <https://harvardlawreview.org/2018/05/ajemian-v-yahoo-inc/> (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020); იხ. ასევე N. Cahn, *The Digital Afterlife Is a Mess*, „Slate” 29

ნოემბერი 2017 წ.; <https://slate.com/technology/2017/11/the-digital-afterlife-is-a-mess.html> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²¹² განსაკუთრებით § 2702 U.S.C.

²¹³ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2082, 15; (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²¹⁴ § 2702 (b) – (c) U.S.C.

²¹⁵ § 2702 (b) (1) U.S.C.

²¹⁶ შეეხება აგენტს, რომელიც წარმოადგენს მიმღებს.

²¹⁷ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2083; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020); ასევე Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 176.

რი კანონით გათვალისწინებული კიდევ ერთი გამონაკლისი,²¹⁸ რომელიც გამგზავნის ან მიმღების თანხმობით ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნების საშუალებას იძლევა, არ წარმოადგენს გარდაცვლილი მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის კორესპონდენციის გამჟღავნების საფუძველს, თუ მას ამ საკითხზე მკაფიო მითითებები არ აქვს გაკეთებული.²¹⁹ სასამართლოს თანახმად, ამგვარი მიმოწერის შინაარსი გარდაცვლილის ქონების ნაწილია, მაგრამ ის შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ დაარღვევს ფედერალურ სამართალს.²²⁰

ამასობაში, მასაჩუსეტის უზენაესმა სასამართლომ საკმაოდ მოულოდნელად განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ მან გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ ფედერალურ კანონში მითითებული გამონაკლისები არ გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში,²²¹ მან ასევე აღნიშნა, რომ ქონების მმართველისთვის შეიძლება გამჟღავნებულ იქნას შეტყობინებების შინაარსი, მაშინაც კი, თუ არ არსებობს ამაზე გარდაცვლილის პირდაპირი თანხმობა. ასეთი ქმედება არ ეწინააღმდეგება ფედერალურ სამართალს და განსაკუთრებით არ არღვევს ელექტრონული შეტყობინებების შენახვის შესახებ კანონს (*Stored Communications Act – SCA*).²²² ამ პოზიციას მხარს უჭერს ტელელოგიური და ისტორიული განმარტება.²²³ *SCA* ძალაში შევიდა 1986 წელს, სულ სხვა რეალობაში, იმ დროს, როდესაც *Facebook*-ის შემქმნელი მარკ ცუკერ-

ბერგი 2 წლის იყო,²²⁴ ამ დროს შტატების უმეტესობის მემკვიდრეობითი სამართალი ქონების მმართველს საშუალებას აძლევდა, კონტროლი აეღო გარდაცვლილის ქონებაზე.²²⁵

შედეგად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ფედერალური კანონმდებელი, *SCA*-ს მიღებით, არ აპირებდა შტატის საკანონმდებლო ორგანოს უფლებებში ჩარევას და არ სურდა ცვლილებების შეტანა მემკვიდრეობის შესახებ კანონში,²²⁶ კერძოდ, მას არ სურდა ქონების მართვის წესების შეცვლა.²²⁷ მისი მიზანი იყო „მხოლოდ“ მომხმარებლის დაცვა ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის უნებართვო მოსმენისაგან,²²⁸ კომუნიკაციის დარღვევის თავიდან აცილებისა და მომხმარებლისთვის (აბონენტისთვის) ზიანის მიყენების მიზნით განხორციელებული სხვა მოქმედებების ჩათვლით.²²⁹ *SCA* იყო პასუხი ტექნოლოგიურ ცვლილებებზე და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა კონფიდენციალურობის დაცვას ინტერნეტ ჯაშუშობისგან,²³⁰ და არა ქონების განმკარგველის მიერ გარდაცვლილი მომხმარებლის ციფრულ აქტივებზე წვდომისაგან.²³¹ საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ჰაკერების, არამედ ყველა სუბიექტის, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას.²³² კონგრესმა აქ მოიხსენია აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება (15/12/1791), რო-

²¹⁸ § 2702 (b) (3) U.S.C.

²¹⁹ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2083; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²²⁰ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2083; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020); N. Cahn, *Probate*, s. 1706–1718.

²²¹ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 175 i n.

²²² ვრცლად *SCA*-ს შესახებ ციფრული აქტივების მემკვიდრეობის კონტექსტში N. Cahn, *Probate*, s. 1698 i n.

²²³ საკანონმდებლო პროცესის ისტორიის შესახებ: Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017) s. 182 i n.; zob. też N. Cahn, *Probate*, s. 1715 i n.

²²⁴ ყურადღებას ამახვილებს N. Cahn, *The Digital Afterlife*, (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²²⁵ იხ. Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 179, przypis 18.

²²⁶ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 178–179.

²²⁷ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2083–2084, 2088; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020); N. Cahn, *Probate*, s. 1701.

²²⁸ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 182–183; *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2084; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²²⁹ N. Cahn, *Probate*, s. 1710.

²³⁰ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017) s. 173–174, 182–183.

²³¹ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2088; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²³² N. Cahn, *Probate*, s. 1713.

მელიც იცავს მოქალაქეებს დაუსაბუთებელი სახელმწიფოებრივი ქმედებებისაგან, რომლებიც არღვევს კონფიდენციალურობას (პირადი, სახლის, დოკუმენტების და ქონების ხელშეუხებლობა).²³³

მასაჩუსეტის უზენაესმა სასამართლომ ერთდროულად ყურადღება გაამახვილა ცვლილებებზე, რომლებიც ინფორმაციის ფორმას, მოცულობასა და ხელმისაწვდომობას შეეხო. მათ გავლენა მოახდინეს *inter alia* ფინანსურ ინფორმაციაზე,²³⁴ რომელიც გადამწყვეტია უძრავი ქონების განმკარგველის საქმიანობისთვის. 1986 წელს, როდესაც SCA ამოქმედდა, ისინი, როგორც წესი, ქალაქის ფორმით იყო, ახლა კი მხოლოდ ციფრული ფორმით არის ხელმისაწვდომი.²³⁵

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფედერალური წესების სიტყვასიტყვით ფორმულირება არ განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ თანხმობის გამოხატვის ფორმას. კერძოდ, მათგან არ გამომდინარეობს გარდაცვლილის მკაფიო თანხმობის მოპოვების ვალდებულება მისი ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გასაჯაროებაზე.²³⁶ ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხმობა შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით,²³⁷ უფრო მეტიც, ელფოსტის შინაარსის გაზიარებაზე თანხმობა მომხმარებლის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით შეიძლება გამოთქვას ქონების განმკარგ-

ველმა.²³⁸ დოქტრინის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ დასაშვებია თანხმობის ვარაუდიც.²³⁹

ეს მოქნილი მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება თითქმის ყველა შტატში უკვე მიღებული გადაწყვეტილებისგან, რომელიც ემყარება RUFADAA-ს რეგულაციას, რომლის თანახმად, ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გასაჯაროებისთვის საჭირო არის მომხმარებლის მკაფიო თანხმობა.²⁴⁰ მისი არარსებობის შემთხვევაში, ვარაუდობენ, რომ მომხმარებელს არ სურდა თავისი ციფრული აქტივების გამჟღავნება.²⁴¹ ამასობაში, მასაჩუსეტის უზენაესი სასამართლო, ფედერალური კანონის განმარტებისას, ეჭვქვეშ აყენებს ამ მიდგომას. ეს ქმნის შესაძლებლობას ციფრული მემკვიდრეობის სტანდარტულ წესებზე განახლებული, სიღრმისეული დებატებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ციფრული მემკვიდრეობის ნორმატიული წესები უნდა ასახავდეს გარდაცვლილის სავარაუდო ნებას. ყოველივე ამის შემდეგ, მათ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ და, პრაქტიკულად, განსაზღვრავენ ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობას. ამერიკული საზოგადოების უმეტესობა არ ადგენს ანდერძს და, მით უფრო, ნაკლებად აკეთებს მითითებას სიკვდილის შემდეგ ელექტრონული ფოსტის ანგარიშებზე წვდომისთვის.

სადავო ინტერესების სათანადო ბალანსის ძიების დროს, ანუ გარდაცვლილი მომხმარებლის პირადი ცხოვრების დაცვასა და მისი მემკვიდრის ან ქონების განმკარგველის მის ციფრულ აქტივებზე წვდომის უფლებას შორის, დოქტრინა ყურადღებას ამახვილებს მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ტრადიციულ

²³³ N. Cahn, *Probate*, s. 1711.

²³⁴ მაგალითად, ინტერნეტ ბანკი 1995 წლამდე არ იყო ხელმისაწვდომი აშშ-ს მომხმარებლებისთვის; *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2088; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²³⁵ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 180; *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2084; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²³⁶ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2084; (უკანასკნელად ნანახია: 31.7.2020).

²³⁷ Rozważania dotyczące wykładni zwrotów: „actual consent”, „express consent” oraz „lawful consent” zob.: Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 180 i n.; w rezultacie Sąd Najwyższy Stanu Massachusetts podniósł, że intencjom Kongresu nie było ograniczenie możliwości wyrażenia zgody tylko przez osoby żyjące (s. 184).

²³⁸ Supreme Judicial Court of Massachusetts [SJC] sygn. akt 12237, „Massachusetts Reports” [MR] vol. 478 (2017), s. 184.

²³⁹ N. Cahn, თვლის, რომ ციფრული სიკეთე ისევე უნდა იქნეს განხილული, როგორც მატერიალური სიკეთე და ანდერძში უარის არარსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს, რომ გარდაცვლილმა თანხმობა გამოთქვა განმკარგველის მიერ მატერიალურ და ციფრულ აქტივებზე წვდომის შესახებ; N. Cahn, *Probate*, s. 1711; (*Explicit and Implicit Consent*, s. 1714 i n.).

²⁴⁰ Art. 7 (4) RUFADAA.

²⁴¹ 4 UFADAA; zob. A. Wudarski, *Kształtowanie*, s. 13 i in.

მეთოდთან მიმართებაში არსებულ განსხვავებებზე. ხაზგასმულია *inter alia* რომ ინფორმაციის მატარებლის ქალაქის (ფიზიკური) ფორმიდან ციფრულ ფორმაზე გადასვლა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოანდერძის კერძო სფეროში ჩარევის მასშტაბზე. ინფორმაცია ონლაინ ანგარიშებზე ხშირად ინახება მრავალი წლის განმავლობაში, იმ დროს, როდესაც, ტრადიციული მიმონერის ხელმისაწვდომობა, როგორც წესი, დროში შეზღუდულია.²⁴²

ამჟამად ძნელია იმის პროგნოზირება, თუ საბოლოოდ რა გზას აირჩევს მასაჩუსეტსის მოსახლეობა, ასევე მოახდენს თუ არა ეს გავლენას სხვა საშტატო იურისდიქციებზე და გამოიწვევს თუ არა RUFADAA-ს ცვლილებას.²⁴³ დოქტრინა ასევე ითვალისწინებს ფედერალურ კანონში ცვლილებების შეტანას, ინტერპრეტაციის დროს წარმოშობილი ეჭვების აღმოფხვრისა და 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურ გამოწვევებთან ადაპტაციის მიზნით.²⁴⁴ საბოლოო შედეგის მიუხედავად, მასაჩუსეტსის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოწვეულ დისკუსიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 26 მარტს²⁴⁵ უარყო საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნა,²⁴⁶ ხოლო მასაჩუსეტსის RUFADAA-ს იმპლემენტაციის პროცედურა არ იქნა დასრულებული.

XIV. გლობალური პერსპექტივა

ციფრული სამყარო ჩვენთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ციფრული საზოგადოების ხედვა ხომ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია

წარმოდგენილია. მაგალითად, ფ. ვ. ლანკასტერი²⁴⁷ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში წერდა მოსალოდნელი სამეცნიერო საკომუნიკაციო სისტემის შესახებ (*science communication system*);²⁴⁸ განმარტავდა, თუ რატომ არის ეს ჩვენი წებისა თუ განსჯისგან დამოუკიდებელი გარდაუვალი პროცესი,²⁴⁹ რომელიც დინამიკურად განვითარდება და რევოლუციას მოახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ციფრული ინფორმაციული სისტემის განვითარების კონცეფციის და საზოგადოებაში მისი როლის წარმოდგენისას²⁵⁰ ასევე აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს;²⁵¹ ის მაშინ უკვე ხედავდა მომავალი გამოწვევებისთვის მრავალგანზომილებიანი მომზადების საჭიროებას.²⁵² ასე რომ, მართალია, შედარებით დიდი დრო გვქონდა ახალ რეალობასთან შესაგუებლად, მაგრამ ის ეფექტიანად არ გამოგვიყენებია. რასაკვირველია, ციფრული პროცესი ახლა ლანკასტერის კვლევის ფარგლებს სცილდება, მან ამავდროულად მოიცვა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. ცოტა ვინმემ თუ იწინასწარმეტყველა ამ ფენომენის მასშტაბები. ამ პროცესის სიდიდემ და დინამიკამ გააკვირვა კანონმდებლებიც, რომლებიც ამ დრომდე ვერ პასუხობენ ციფრული საზოგადოების ყველა გამოწვევას, რომელსაც ლანკასტერი განსაზღვრავს, როგორც *paperless society*. ეს ეხება უმეტეს იურისდიქციებს, მათ შორის, ევროპის ქვეყნებსაც.

ციფრული აქტივების ნდობით წვდომის ამერიკული მოდელი არის ინტერნეტ ანგარიშის მომხმარებლის გარდაცვალებასთან ან ქმედუნარობასთან დაკავშირებული სოციალურად და იურიდიულად მნიშვნელოვანი საკითხების-

²⁴² *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2085–2086; (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²⁴³ *Ajemian v. Yahoo! Inc.*, s. 2088; (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²⁴⁴ N. Cahn, *Probate*, s. 1718 i n.

²⁴⁵ სრული დოკუმენტაცია <https://www.supremecourt.gov/docket/docketfiles/html/public/17-1005.html> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²⁴⁶ *Petition for a Writ of Certiorari, Oath Holdings, Inc. v. Ajemian*, No. 17-1005; https://www.supremecourt.gov/DocketPDF/17/17-1005/27935/20180116150035248_Oath%20Holdings%20Petition.pdf (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

²⁴⁷ F.W. Lancaster, *Toward Paperless Information Systems*, Academic Press, New York, San Francisco, London 1978, s. 1–166 *passim*.

²⁴⁸ იხ. მისი ხედვა ელექტრონული სამეცნიერო ინფორმაციის განვითარების შესახებ F.W. Lancaster, *Toward*, s. 105–121.

²⁴⁹ F.W. Lancaster, *Toward*, s. 161 i n.

²⁵⁰ F.W. Lancaster, *Toward*, s. 17–49.

²⁵¹ გამოკვეთდა 3 პრობლემურ სფეროს: (1) ტექნოლოგიურს, (2) ინტელექტუალურს, (3) სოციალურ-ფსიქოლოგიურს; F.W. Lancaster, *Toward Paperless Information Systems*, Academic Press, New York, San Francisco, London 1978, s. 141–151.

²⁵² F.W. Lancaster, *Toward*, s. 166.

თვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის პირველი მცდელობა. RUFADAA, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი აქტი და შემდგომ დახვეწას მოითხოვს. ზოგიერთ ხარვეზს უკვე ექცევა ყურადღება. ეს ეხება, მაგალითად, ციფრული აქტივების განსაზღვრისა და კლასიფიკაციის დაზუსტებას, ასევე დარჩენილი კონცეპტუალური აპარატის გაუმჯობესებას, ონლაინ ინსტრუმენტის ეფექტიან გამოყენებას, ანგარიშზე წვდომის უფლების იერარქიის უფრო სრულ ბალანსს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომხმარებლის რეალურ ნებასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები, არასრულწლოვნის იურიდიული მდგომარეობის გადამონმებას ონლაინ მითითების გაკეთებისას ან RUFADAA-ს შინაარსის სხვა იურიდიულ აქტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას; და მაინც აღნიშნული საკითხები უკვე გამოვლენილი არასრულყოფილების მაგალითებია. მიღებული იურიდიული კონცეფციების პრაქტიკაში გამოყენება მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ახალ მასალას დასაფიქრებლად, რაც ძირითადად შეეხება ციფრული აქტივების გამყდავენების პროცედურას და ადმინისტრატორებისა და მინდობილის მიერ მათი უფლებამოსილების გამოყენებას, მაგრამ ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს კანონთა კოლიზიის საკითხებს. უფრო მეტიც, შემდგომი ცვლილებები საჭიროა არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დოგმატურ დონეზე.

ცხადია, ეს არ ამცირებს RUFADAA-ს რანგსა და ინოვაციურ მნიშვნელობას. მისი შეფასებისას არ შეიძლება დავიწყებულ იქნას ის სოციალური და სამართლებრივი კონტექსტი, რომელშიც მოდელური აქტი შეიქმნა. მისი შინაარსი ხომ არა მხოლოდ კომპრომისის შედეგია, არამედ აქვს პიონერული, ნაწილობრივ ექსპერიმენტული ხასიათიც. ამასთან, RUFADAA გარდაცვლილის ან ქმედუუნარო მომხმარებლის ონლაინ ანგარიშის ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი წესების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპის მხოლოდ კულმინაციაა. ეს არ ამთავრებს დისკუსიას, ხოლო შემდგომი ცვლილებების მითითებები რჩე-

ბა ღია, რისი ნათელი დადასტურებაც მასაჩუსეტსის შემთხვევა.

ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ან მიზანშეწონილი არ არის RUFADAA-ს სრულად იმპლემენტირება სხვა ქვეყნებში. ამას მნიშვნელოვნად უშლის ხელს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, მოდელური აქტის ამერიკული *common law* სისტემის ტრადიციულ და სამართლებრივ კულტურაში ჩასმა. მინდობით ხელშეკრულება და მინდობის ინსტიტუტი არც თუ ისე ფართოდ არის გავრცელებული და ხშირად განსხვავებულად გამოიყენება კონტინენტური ევროპის იურისდიქციებში.

ამასთან, ეჭვს არ იწვევს, რომ ევროკავშირის ქვეყნებისათვის მოდელური გადაწყვეტილების შექმნა ძალზე სასურველია. ციფრული აქტივების ხელმისაწვდომობის პრობლემა არ შეიძლება ჩაიკეტოს სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებში. ეს არის გლობალური საკითხი, რომელიც თავისი ბუნებით არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნით. რეგულირების სფეროს გაფართოების განხილვაც კი ღირს, რაც შეიძლება მოიცავდეს არამხოლოდ გარდაცვლილი ან ქმედუუნარო მომხმარებლის ციფრულ აქტივებს. არანაკლებ რთული იქნება, ცოცხალი მომხმარებლის ციფრულ აქტივებზე წვდომა, მაგალითად, სააღსრულებო ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის განმავლობაში.²⁵³ სამომავლო სამუშაოების მოცულობისა და მიმართულების მიუხედავად, შეუძლებელია ამერიკული მოდელისა და გამოცდილების უგულვებლყოფა.

²⁵³ Por. *Case Studies grupy badawczej Access to Digital Assets* ევროპის სამართლის ინსტიტუტი, <https://www.europeanlawinstitute.eu/projects-publications/current-projects-feasibility-studies-and-other-activities/current-projects/access-to-digital-assets/access-to-digital-assets-case-studies/> (უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020).

მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი რეკლამა (საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში)

დავით გვენეტაძე

სამართლის მაგისტრი (თსუ), მაგისტრანტი (ბუცერიუსის სამართლის სკოლა), იურისტი-სტაჟიორი (გრაფ ფონ ვესტფალენი)

I. შესავალი

მომხმარებელთა ძირითად უფლებებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია უფლება ინფორმაციის მიღებაზე. ამ უფლების ჯეროვნად განუხორციელებლობა იწვევს მომხმარებელთა ფინანსური ან/და სხვა კანონიერი ინტერესების შელახვას და წარმოშობს თანმდევ შედეგებს (მაგ., მწარმოებლის/მიმწოდებლის რეპუტაციის შელახვა, უსამართლო კონკურენციის წახალისება, დავის წამოწყება და წარმოება, კომპენსაციის/ჯარიმის დაკისრება და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მომხმარებლებსთვის სრული, სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მომხმარებლების, ბიზნეს სექტორისა და სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას, მწარმოებლისა და მიმწოდებლისაგან, რაც გამომწვეულია სპეციალური რეგულაციის დიდი ხნის განმავლობაში არქონით,¹ საკანონმდებლო ხა-

ლიტიკის კომიტეტმა 2016 წელს წარადგინეს მრავალი შენიშვნა (3). კანონპროექტზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ბიზნეს ომბუდსმენისა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებმა (4). შესაბამისად, მომდევნო პერიოდში კანონპროექტი რამდენჯერმე არსებითად გადამუშავდა და უკვე 2019 წლის თებერვლისთვის მომზადდა მეოთხე შესწორებული ვარიანტი, რომელშიც ასახულია საქართველო-ევროკავშირის ასოციირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევრო დირექტივები (5), აღსანიშნავია, რომ სამართლის ექსპერტი, პროფესორი ჰანს მიცკლიტზი 2019 წლის თებერვალში აფიქსირებდა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, კანონპროექტს კვლავ სჭირდებოდა ნაწილობრივი გადამუშავება მის დამტკიცებამდე.

(6).

იხ. (1) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32974?publication=12>>, [25.04.2021];

(2) „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტი 23.02.2015, (№ 07-3/411/8, ინიცირებული ვარიანტი),

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/146828?>>, [25.04.2021];

(3) კანონპროექტების განხილვისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი 23.05.16, 1-13,

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120603?>>, [25.04.2021];

(4) დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დასკვნა №5793 – 23.05.16, 2, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120594?>>, [25.04.2021];

¹ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ 1996 წლის კანონის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 მუხლები არეგულირებდა მომხმარებელთა უფლებას ინფორმაციაზე, მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალსა და არასათანადო ინფორმაციისთვის პასუხისმგებლობას. ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წელს (1). 2015 წელს შემუშავდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი (2), რომელზეც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, ფინანსთა სამინისტრომ, ბიზნეს ომბუდსმენმა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პო-

რეგულირება და ხშირად მავნებლური სამეწარმეო პრაქტიკითაც. საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში განალიზებულია შეცდომაში შემყვანი რეკლამა, მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მარეგულირებელ ორგანოთა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, განხილულია პრობლემური საკითხები და წარმოდგენილია მათი გადაჭრის კონკრეტული საშუალებები.

II. შეცდომაში შემყვანი რეკლამა

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მიხედვით, იკრძალება კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით საქონლის შესახებ ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს.“² რეკლამას აწერიან აგრეთვე „რეკლამის შესახებ“ კანონი, რომლის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, შეცდომაში შემყვანია რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს განზრახ შეჰყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი და რომელ-

საც შეუძლია დააზიანოს კონკურენტი.³ რეკლამასვე ეხება „მაუნყებელთა ქცევის კოდექსი“, რომლის 57-ე მუხლის შესაბამისად, აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით მაუნყებელმა უნდა შეინარჩუნოს პროგრამის შინაარსზე სარედაქციო კონტროლის დამოუკიდებლობა..., რეკლამა მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პროგრამის ელემენტებისგან.⁴⁵

მომხმარებელთა მოტყუების ხერხია ყალბი რეკლამაც, რომელიც ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ). 201-ე მუხლის მიხედვით, ყალბი რეკლამა არის „რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის, ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“⁶ სსკ-ის 201-ე მუხლში გადამწყვეტია, თუ რა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად, რადგან მას მოჰყვება სუბიექტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, ან თავისუფლების აღკვეთა). ყალბი რეკლამის გამოყენებისას ზიანი შეიძლება მიადგეს საქონლისა და მომსახურების მომხმარებელს, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტებს, თუ ყალბი რეკლამის შედეგად დაზარალდა მათი საქმიანი რეპუტაცია, შემცირდა მოთხოვნილება მათ პროდუქციაზე, მომ-

(5) „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტი 01.02.2019, (№ 07-3/368/9, ინიცირებული ვარიანტი),

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224285?>>, [25.04.2021];

(6) მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტი (2019 წლის თებერვლის მდგომარეობით), პროფ. ჰანს ვ. მიცკლიტზ (Prof. Hans-W. Micklitz), ევროპული საუნივერსიტეტო ინსტიტუტი ფლორენცია იტალია, იურიდიული მოსაზრება მომზადებული Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH EU დაფინანსებული პროექტისათვის „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“, თებერვალი 2019, 19-20,

<<https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/18991?>>, [26.04.2021].

² „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, 25/05/2012, მუხლი 11³, მე-2 პუნქტი, ბ ქვეპუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>>, [12.04.2021].

³ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 11-12, 18/02/1998, მე-3 მუხლი, მე-6 პუნქტი,

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840>>, [17.04.2021].

⁴ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება „მაუნყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, მუხლი 57,

<https://comcom.ge/files/7060_7177_303673_Code%20of%20Conduct.pdf>, [21.04.2021].

⁵ „მაუნყებელთა ქცევის კოდექსის“ ფარგლებში მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისგან დაცვის შესახებ დამატებით იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს პუბლიკაცია „საქართველოს სარეკლამო ბაზარი 2016“, 12, 47, 48.

<https://img.marketer.ge/2016/12/sakartvelos_sareklam_o_bazari_2016.pdf>, [21.04.2021].

⁶ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს კანონი, სსმ, 41(48), 13/08/1999, მუხლი 201, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>>, [21.04.2021].

სახურებაზე და სხვ.⁷ თუმცა შეცდომაში შემყვანი რეკლამის გავრცელების შემთხვევაშიც დგება მსგავსი ზიანი. მეტიც, „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტიცა და სსკ-ს 201-ე მუხლიც განზრახ ქმედებებს ითვალისწინებენ, ამიტომ შეიძლება წარმოიშვას ამ ნორმათა შეფარდების პრობლემა, მითუმეტეს, რომ სასამართლოს სსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე საქმე საერთოდ არ განუხილავს.⁸ ანუ, არსებობს რისკი, რომ საერთოდ ვერ გაირკვეს ან რთულად დადგინდეს რეკლამის მეშვეობით მომხმარებელთა არაზუსტად ინფორმირება შეცდომაში შემყვან რეკლამად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ ყალბ რეკლამად; შესაბამისად, კანონდამრღვევს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სამოქალაქო-სამართლებრივი თუ სისხლისსამართლებრივი წესით. ამდენად, ხსენებული პრობლემის გადაწყვეტისათვის, მიზანშეწონილია სსკ-ის 201 მუხლში დაზუსტდეს მნიშვნელოვანი ზიანი და იგი განსხვავდეს „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ზიანისაგან. ბუნებრივია, ამას დასჭირდება შესაბამისი ჩანაწერი სსკ-ის 201-ე მუხლსა და „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში, რომელიც ნორმის შემფარდებელს შესაძლებლობას მისცემს მკვეთრი მიჯნა გაავლოს ხსენებულ მუხლებს შორის და კანონდამრღვევს ადეკვატური პასუხისმგებლობა დააკისროს. ამგვარად, პროდუქციის/სერვისის მწარმოებელი ან/და მიმწოდებელი უკეთ გაერკვევა, თუ რა რეაგირება მოჰყვება მცდარი რეკლამის განთავსებასა და მომხმარებლის არასწორ ინფორმირებას შედეგების სიმძიმის მიხედვით. შედეგად კი, მომხმარებელთა უფლება ინფორმირებაზე უკეთ იქნება დაცული.

შეცდომაში შემყვან რეკლამაზე მკაცრი რეაგირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომი-

სიის გადაწყვეტილებები; 2012 წელს კომისიას განცხადებით მიმართა შპს „გლობალ მედია ჯგუფმა“ შპს „მაგთიკომის“ მიერ გავრცელებულ „მაგთისატის“ სამაუწყებლო რეკლამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შპს „მაგთიკომის“ მიერ ტელევიზიით ვრცელდებოდა რეკლამა, სადაც კომპანია საკუთარ მომხმარებელს სთავაზობდა სპორტულ არხს „Setanta sports“, სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო და ჰოკეის ლიგის მატჩების 500-ზე მეტ რეპორტაჟს წელიწადში, მაღალპროფესიულ კომენტარისა და უმაღლესი ხარისხის გამოსახულებას. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ შპს „მაგთიკომის“ ეს რეკლამა ბუნდოვანი იყო და მასში შეგნებულად არ იქნა ნახსენები, თუ რა ენაზე შეეძლო მომხმარებელს პირდაპირი რეპორტაჟების ხილვა და „მაღალკვალიფიციური კომენტარების“ მოსმენა. მას შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებელი. ამიტომ, განმცხადებელი მოითხოვდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აეკრძალა შპს „მაგთიკომისათვის“ ამგვარი რეკლამის გავრცელება; დაევალებულიყვნა იგი სარეკლამო რგოლი კანონმდებლობისათვის შესაბამებინა და დაეკისრებინა სანქცია. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კომისიამ აღნიშნული რეკლამა არაკეთილსინდისიერ რეკლამად მიიჩნია და შპს „მაგთიკომი“ 90 000 ლარით დააჯარიმა.⁹ 2010 წელს ფულადი სანქცია დაეკისრა შპს „ჯეოსელსაც“, რომლის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების პირობები არ შეესაბამებოდა მის მიერ ტელევიზიით, რადიოთი და ინტერნეტით გავრცელებული რეკლამის პირობებს. კომისიამ დაადგინა, რომ ეს რეკლამა წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ, არასათანადო და შეცდომაში შემყვან რეკლამას, რის გამოც შპს „ჯეოსელი“ 30 000 ლარით დააჯარიმა.^{10,11} შეცდომაში შემ-

⁷ ლეკვეიშვილი, თოდუა, მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, 463.

⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობით, სსკ-ს 201-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოტანილი განაჩენები არ იძებნება. იხ. საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0172/13532; 13.05.2021.

⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქმე № 285/18 - 23.04.2012, <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2012-285-18.page>>, [25.04.2021].

¹⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქმე № 451/18 - 06.10.2010, <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2010-451-18.page>>, [25.04.2021].

ყვან რეკლამაზე იმსჯელა საქართველოს კონკურენციის სააგენტომაც, რომელსაც 2020 წელს საჩივრით მიმართა შპს „ჯი-თი მოტორს-მა“ შპს „ჯ.თ.მოტორსის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. მომჩივანი ქართულ ბაზარზე 2007 წლიდან საქმიანობდა, როგორც „ჯი-თი მოტორსი“, ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის, რეალიზაციის, სერვისული ტექნიკური მომსახურების და ავტოსათადარიგო დეტალების მიწოდების სფეროში. იგი სისტემატიურად მიმართავდა მარკეტინგული ხასიათის ლონისძიებებს ბილბორდების, ბანერების, მასობრივი მედიის საშუალებებისა და სოციალურ ქსელების გამოყენებით.

რაც შეეხება მოპასუხეს, შპს „ჯ.თ.მოტორსი“, იგი ბაზარზე 2017 წლიდან გამოჩნდა და ისიც ავტოტექნომომსახურებას, ავტოსათადარიგო ნაწილების იმპორტსა და რეალიზაციას ახორციელებდა. მომჩივანი მიუთითებდა, რომ შპს „ჯ.თ. მოტორსი“ ცდილობდა შპს „ჯი-თი მოტორსის“ ცნობადობით, იმიჯითა და ავტორიტეტით სარგებლობას და ამ გზით მომხმარებლების გარკვეული ნაწილი შეცდომაში შეჰყავდა; „ჯ.თ. მოტორსი“ ეწეოდა არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, უხეშად არღვევდა საქმიანი ეთიკის პრინციპებს, რითაც ილახებოდა შპს „ჯი-თი მოტორსის“ იმიჯი და ავტორიტეტი, ასევე მცირდებოდა პოტენციური მყიდველების (გაყიდვების) მოცულობა.¹¹ სააგენტომ მიიჩნია, რომ შპს „ჯ.თ. მოტორსის“ მიერ განხორციელებული სარეკლამო ქმედებები არ შეიცავდა საკმარის განმასხვავებელ ნიშნებს იმისათვის, რომ ამ ორი კომპანიის მსგავსების პირობებში, მომხმარებელს ცალსახად შეძლებოდა კომპანიების გამიჯვნა. საბოლოოდ, სააგენტომ დაადასტურა შპს „ჯ.თ. მოტორსის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ კანონის 11³ მუხ-

ლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი და მას დაავალა, რომ კომპანიის სარეკლამო პოლიტიკა იმგვარად ენარმოებინა, რომ თავიდან აეცილებინა მისი და მომჩივანი კომპანიის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი.¹³

მოცემული საქმეებიდან იკვეთება, რომ მომხმარებელთა ჯეროვანი ინფორმირებისთვის აუცილებელია კეთილსინდისიერება, მაღალი პასუხისმგებლობა და სამენარმეო საქმიანობის კანონმდებლობისა და საზოგადოებრივ მიზნებთან შესატყვისობა. ამასთან, მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა ზემოქმედებს როგორც მომხმარებლების ძირითად უფლებაზე, ასევე კონკურენტი კომპანიების კანონისმიერ ინტერესებზეც, ამცირებს კონკურენციას, რის გამოც ერთგვარად ზღუდავს ბაზარს. შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლის ინფორმირებაზე უფლების დაცვა, არამხოლოდ სახელმწიფოსა და მომხმარებლების, არამედ უშუალოდ კონკურენტი მწარმოებლების ინტერესიც არის, რომლის უზრუნველყოფითაც, ისინი იცავენ მომხმარებელთა უსაფრთხოებას, სამართლიან კონკურენციას, სტაბილურ ეკონომიკურ ურთიერთობებს და გარკვეულწილად, ქართული ბიზნესის თვითკონტროლსაც ახორციელებენ.

III. დასკვნა

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოში მომხმარებელთა ინფორმირების უფლების სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭიროა საკანონმდებლო ხარვეზებისა და დამკვიდრებული არასწორი კომერციული პრაქტიკის აღმოფხვრა. უპირველეს ყოვლისა, შეძლებისდაგვარად, აღსრულების ნაწილში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ“ ახლადმიღებული კანონის ეფექტურად ამოქმედებას,¹⁴ რომელიც 26-ე და

¹¹ ასევე, იხილეთ კომისიის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: № 354/18 – 09.08.2010; №299/18 – 13.07.2015, <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions>>, [25.04.2021].

¹² საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება №04/130 – 14.09.2020, გვ. 3, 4, <<https://admin.competition.ge/uploads/7fc710dbab6140159df828745fd84ccd.pdf>>, [27.04.2021].

¹³ იქვე, 24.

¹⁴ „მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ“ (№ 07-3/368/9, 12-06-2019), მიღებულია მესამე მოსმენით, საქართველოს პარლამენტი,

29-ე მუხლებში ითვალისწინებს მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი რეკლამისაგან დაცვის მექანიზმებს. აგრეთვე, აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე და „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსობრივი გამიჯვნა, რათა კანონშემფარდებელს, მენარმეებსა და მომხმარებლებებს შეეძლოთ ამ მუხლების არაორაზროვნად აღქმა და განმარტება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვას. ბუნებრივია, შეცდომაში შემყვანი რეკლამისაგან ეფექტურად დაცვისათვის მხოლოდ ნორმატიული ცვლილებები არ იკმარებს და აუცილებელია მომხმარებელთა ცნო-

ბადობის ამაღლება სახელმწიფო უწყებების, შესაბამისი პროფილის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების,¹⁵ და ტელე-, რადიო-, ინტერნეტ-, თუ სხვა სახის მედიასაშუალებების მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ასევე საყურადღებოა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და კონკურენციის სააგენტოს მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების არსებობის მიუხედავად, დამატებით საჭიროა სწორი სამოსამართლო პრაქტიკის შექმნა-განვითარებასაც, რასაც, ვფიქრობ, მეტად მასშტაბური და შემაკავებელი ეფექტი ექნება და ამდენად, უკეთ უზრუნველყოფს სოციალურ მშვიდობას.

<https://parliament.ge/legislation/voting-results/sessions/22384>, [04.04.2022].

¹⁵ მათ შორის და არამარტო, სახალხო დამცველისა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩართულობით. იხ. <https://ombudsman.ge/geo>; <http://pdcg.ge/geo>, [27.04.2021].

პროფესორი პეტერ მანკოვსკი - ჩემი მასწავლებელი და მეგობარი* (1966 წლის 11 ოქტომბერი – 2022 წლის 10 თებერვალი)

არკადიუმ ვუდარსკი

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტისა და ზიელონა გორას უნივერსიტეტის პროფესორი

*„Śpieszmy się kochać ludzi tak szybko odchodzą
zostaną po nich buty i telefon głuchy
tylko co nieważne jak krowa się wlecze
najważniejsze tak prędkie że nagle się staje
potem cisza normalna więc całkiem nieznośna
jak czystość urodzona najprościej z rozpaczy
kiedy myślimy o kimś zostając bez niego“*

„Śpieszmy się“, Jan Twardowski“

იურიდიული საზოგადოება გლოვობს მსოფლიოში საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის, პროფესორის და დოქტორის პეტერ მანკოვსკის გარდაცვალებას, რომელმაც სულ რაღაც 55 წლის ასაკში დაგვტოვა. ჩემთვის ის იყო ბევრად მეტი, ვიდრე „უბრალოდ“ ბრწყინვალე მეცნიერი, ჩემი სადოქტორო და საჰაბილიტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და მენტორი; ის იყო ჩემი ძალიან ახლო მეგობარი და მიმაჩნდა ოჯახის წევრად, შეუცვლელ ადამიანად, რომელსაც ყოველთვის შეგეძლო დაყრდნობოდი და იდეები გაგენდო.

მისი სიკვდილით ჩემი ნაწილი გარდაიცვალა და ეპოქა დასრულდა. მე მქონდა დიდი პრივილეგია, მემუშავა მასთან ერთად 20 წლის განმავლობაში. და ეს ყველაფერი ძალიან ბანალურად - ჩვენს გვარებში არსებული საერთო სუფიქსით დაიწყო, რამაც შთამაგონა და ამავედროულად ნამახალისა 2002 წელს მას დაეკავშირებოდი. „-ski“ ჩემთვის ისევე ჯადოსნური აღმოჩნდა, როგორც დიდი საგანძურის გასაღები, როგორც ჩემთვის იყო, არის და დარჩება პეტერ მანკოვსკი. ისევე, როგორც ვენაში ჩემი სტუდენტობის პერიოდში ძალიან ახლოს ვიყავი ფრანც ბილინსკისთან, პეტერ მანკოვსკიმ ჰამბურგში დოქტორანტურის დროს თავის ფრთის ქვეშ მიმიღო. ილბალმა ისევე გამიღიმა, მაგრამ რამდენად დიდად, მაშინ ვერ ვხვდებოდი, ასევე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ეს შეხვედრა წლების განმავლობაში ჩამოაყალიბებდა ჩემს ცხოვრებას. იმ დროს პეტერ მანკოვსკი უკვე იყო გერმანული საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერების ბრწყინვალე ვარსკვლავი.

მანკოვსკის იურიდიულმა გენიამ დიდხანს არ დააყოვნა. ჯერ კიდევ ჰამბურგში სამართალს სწავლობდა (1985–1990), როდესაც გა-

* პროფ. მანკოვსკის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი შეგიძლიათ ასევე იხილოთ GPR - Zeitschrift für das Privatrecht der Europäischen Union-ში.

** „ვიჩქაროთ ადამიანების სიყვარული, ისინი ისე სწრაფად გვტოვებენ, მათგან რჩება ფეხსაცმელი და ჩუმი ტელეფონი, მხოლოდ ის, რაც უმნიშვნელოა, მიიზღაზნება როგორც ძროხა, ხოლო რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისეთი ნაჩქარევია, რომ სრულიად მოულოდნელად ხდება, შემდეგ სიჩუმე, როგორც წესი, თითქმის აუტანელი, როგორც სინმინდის უმარტივესი შვილი სასონარკვეთიდან, როცა ვინმეზე ვფიქრობთ და მის გარეშე ვრჩებით.“ „Śpieszmy się“, იან ტვარდოვსკი.

მოაქვეყნა ნარკვევი თემაზე „მეზღვაურთა შრომითი ხელშეკრულებები გერმანულ საერთაშორისო კერძო სამართალში“ (*Rabelszeitschrift* 53 [1989], 487–525). ცოტა ხნის შემდეგ ჰამბურგის (მაშინ ჯერ კიდევ უცნობი) სტუდენტი მრავალჯერ აცხადებდა ფედერალურმა შრომის სასამართლომ (*BAG* 24. August 1989, 2 AZR 3/89, NZA 1990, 841). შრომის ფედერალურმა სასამართლომ გამოიყენა მისი მოსაზრებები გადანყვეტილების დასაბუთებაში, კერძოდ კოლიზიურ-სამართლებრივი მითითება გარემოებების ერთობლიობიდან გამომდინარე (გვ. 843). ფედერალური შრომის სასამართლო ასევე დარწმუნდა „მანკოვსკის მიერ შეთავაზებულ დასაბუთებაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საზღვაო სამართლის კანონის პირველი პარაგრაფის, როგორც სპეციალური კოლიზიის ნორმის შემდგომ გამოყენებას, *EGBGB*-ის ახალი რედაქციის 30 II მუხლის პარალელურად“ (გვ. 845). ამით სტუდენტმა მანკოვსკიმ მიაღწია რაღაც უჩვეულოს, კერძოდ, გავლენა მოახდინა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე. სტუდენტის მოსაზრების მოხმობა სასამართლოს გადანყვეტილებაში (რომ აღარაფერი ვთქვათ ფედერალურ სასამართლოებზე) თითქმის გაუგონარია.

მანკოვსკის დისერტაცია ასევე მიეძღვნა საერთაშორისო კერძო სამართალში საზღვაო სამართლის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. მისი ნაშრომი, რომელსაც ჰამბურგის სამეცნიერო ფონდის მიერ *Kurt-Hartwig-Siemers*-ის პრემია მიენიჭა, დაწერა როლფ ჰერბერთან ჰამბურგში და 1994 წლის აპრილში *summa cum laude* შეფასებით დაიცვა.

მან თავისი კვლევა განაგრძო ოსნაბრიუკის უნივერსიტეტში (1994-2000), სადაც მანკოვსკი 1994-1998 წლებში მუშაობდა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად. მისი გამორჩეული სამეცნიერო მიღწევების აღიარების და შემდგომი კვლევითი სამუშაოს სტიმულირების მიზნით 1997 წელს, ე.ი. მისი აკადემიური კარიერის სანაყის ეტაპზე, მიენიჭა ცნობილი *Heinz-Maier-Leibnitz*-ის პრემია გერმანიის კვლევის ფონდისა და განათლების, მეცნიერებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს მიერ.

ოსნაბრიუკში მისი სამეცნიერო მუშაობის კულმინაციას წარმოადგენდა საჰაბილიტაციო ნაშრომი „პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლებები - შეცილება, გამოხმობა და მასთან მომიჯნავე ინსტიტუტები“,¹ რომელიც მანკოვსკიმ დაწერა კრისტიან ფონ ბარის ხელმძღვანელობის ქვეშ საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი სამართლის ინსტიტუტში. 1338 გვერდიან ამ არაჩვეულებრივ ნაშრომში, რომლისთვისაც კარლ-ჰაინც გურსკიმ და რაინერ ჰუტემანმა ასევე დაწერეს საექსპერტო მოსაზრებები, მანკოვსკი იკვლევდა საკითხს, თუ რა სამართლებრივი შესაძლებლობები არსებობს გაცემული შეპირებისგან თავის დასაღწევად. მათი საზღვრების შესწავლისას მანკოვსკი ახალიზებს დამკვიდრებულ იურიდიულ ინსტრუმენტებს სრულიად ახალი პერსპექტივიდან და მხარს უჭერს იმ აზრს, რომ „ზოგადი ნაწილის წლობით ნაწრთობი წესები სხვა საკითხებთან ერთად ეკონომიკური ანალიზის იდეებთან ერთად განხილულიყო“.² 2000 წლის მარტში ოსნაბრიუკის ფაკულტეტმა მას მიანიჭა სამოქალაქო სამართლის, საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი სამართლის, სამოქალაქო საპროცესო სამართლის, სავაჭრო და ბიზნეს სამართლისთვის *venia legendi*-ს ნოდება.

2000/2001 წლის ზამთრის სემესტრში ბილგელდის უნივერსიტეტის კათედრის ხანმოკლე წარმომადგენლობის შემდეგ, მანკოვსკი დაბრუნდა საყვარელ მშობლიურ ქალაქში, სადაც უკვე 34 წლის ასაკში დაინიშნა უნივერსიტეტის პროფესორად. 2001 წლის 1 აპრილიდან ეკავა ჰამბურგის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის, შედარებითი სამართლისა და საერთაშორისო კერძო და საპროცესო სამართლის კათედრა. იყო ჰამბურგის უნივერსიტეტის საზოგადოების ეკონომიკისა და სამართლის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი (2001-2008) და მაქს პლანკის საერთაშორისო საზღვაო კვლევითი სკოლის დირექტორთა საბჭოს წევრი (2001-2015), ჰამბურგის იურისტთა საზოგადოების აღმასრულებელი საბჭოს წევრი (2002 წლიდან) და ჰამბურგის უნივერსიტეტის საზო-

¹ Mohr Siebeck Verlag, *Jus Privatum* 81, Tübingen 2003.

² წინასიტყვაობა გვ. VI.

გადოების მრჩეველთა საბჭოს წევრი (2003-2011).

ჰამბურგი იყო დედამინაზე მისი ადგილი, რომლის ერთგული დარჩა უდროო გარდაცვალებამდე. ამ ქალაქში იყო მისი ფესვები და ცხოვრობდნენ მშობლები, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მასთან და რომელთა წინაშეც გრძნობდა პასუხისმგებლობას. მას არასოდეს მიუმართავს რომელიმე სხვა უნივერსიტეტში პროფესორობისთვის, თუმცა უდავოა, რომ ნებისმიერ უნივერსიტეტში შეეძლო ემუშავა.

მანკოვსკის მეორე საყრდენი ყოველთვის იყო ჰამბურგის მაქს პლანკის ინსტიტუტი. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ინსტიტუტი მისთვის, ამას თავადაც საუკეთესოდ აღწერს მისი ბოლო მონოგრაფიის „სამართლებრივი კულტურის“ წინასიტყვაობაში: „[...] თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ერთ ინსტიტუტს: ჰამბურგში არსებული მაქს პლანკის უცხოური და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და მისი ჭეშმარიტად ამოუწურავი საგანძურის გარეშე ეს წიგნი და განსაკუთრებით მისი სქოლიოები ვერასოდეს შეიქმნებოდა. მე კიდევ უფრო მადლიერი ვარ ინსტიტუტის დირექტორების, იურგენ ბაზედოვის, ჰოლგერ ფლაიშერის და უპირველეს ყოვლისა რაინჰარდ ციმერმანის, რომლებმაც ამ წიგნს ინსტიტუტის „დიდ სერიაში“ გამოჩენის საშუალება მისცეს. ჰამბურგი, 2016 წლის 6 ივნისი [...]“.

სხვათა შორის, „სამართლებრივი კულტურა“, რომელიც მან საკუთარ თავს 50 წლის იუბილეზე აჩუქა, არის მხოლოდ მისი შედარებით-სამართლებრივი და ტრანსნაციონალური კვლევითი ინტერესის ნაყოფი, რომელიც სცილდება ეროვნულ და საერთაშორისო კერძო და საპროცესო კანონმდებლობას. 2018 წელს ამ სამუშაოსთვის მას გადაეცა უნივერსიტეტის საზოგადოებისა და ბერენბერგ ბანკის ფონდის აკადემიური ენის პრემია. თავის დასაბუთებაში ჟიურიმ განმარტა: „[...] ჟიურიმ მიანიჭა პრიზი ამ ნაშრომს, რადგან პროფესორმა მანკოვსკიმ შთაბეჭდავად მოახერხა იურიდიული კულტურის აბსტრაქტული საგანი მკაფიო და ელეგანტური ენით, მრავალი კულტურიდან და ქვეყნე-

ბიდან შერჩეული მაგალითების გამოყენებით კონკრეტული და გასაგები გახდაა [...]“³. მისი (არა მხოლოდ იურიდიული) გამოხატვის ფორმა მართლაც უნიკალური იყო, ხოლო მისი ლექსიკა არაჩვეულებრივად მდიდარი, მაგრამ ამავე დროს გასაგები და ზუსტი, საიდანაც მეც დიდი სარგებლობა მივიღე. „სამართლებრივი კულტურა“ ასევე აჩვენებს მის დოგმატურ პერფექციონიზმსა და მეთოდოლოგიურ ოსტატობას და სრულყოფილად ამტკიცებს, რომ შედარებითი სამართალი და ინტერდისციპლინურობა მისი სამეცნიერო ინსტრუმენტის განუყოფელი ნაწილებია.

პეტერ მანკოვსკიმ თავისი გატაცება პროფესიად აქცია და მთელი ცხოვრება სამართალს მიუძღვნა. ამ ცნობიერმა გადაწყვეტილებამ გამოიღო ნაყოფი, რომლის გადაჭარბება შეუძლებელია. მას ჰქონდა ენერჯია, რომლის მსგავსის მოძებნაც რთულია. მისი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერება ნამდვილად ვერ იქნება გადაჭარბებული. მისი პუბლიკაციები იქნებოდა სრულიად საკმარისი რამდენიმე კათედრისთვის. მისი პუბლიკაციების წარმოუდგენელი რაოდენობა მოიცავს 13 მონოგრაფიას (ნაწილობრივ თანაავტორობით), 59 კომენტარს, 340 სტატიას, 37 საიუბილეო კრებულის სტატიას, 105 პუბლიკაციას კრებულებში, 2 სტატიას საგანმანათლებლო ლიტერატურაში, 607 გადაწყვეტილების შენიშვნას, 233 წიგნის მიმოხილვას, 3 გამოქვეყნებულ სასამართლო საექსპერტო დასკვნას და 33 საკონფერენციო ნაშრომს, წინასიტყვაობებს, ედიტორიალებს, მილოცვებს, ნეკროლოგებს და ა.შ. თუმცა, პუბლიკაციების ეს სია, რომელიც სულ 1432 ნაშრომს მოიცავს, არ არის სრული და ითვალისწინებს 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სიტუაციას. გამოუცნობია, თუ როგორ ჰქონდა დრო, ყოფილიყო როგორც მრავალი ჟურნალის და პუბლიკაციების სერიის⁴ სა-

³ საიტი: <https://www.jura.uni-hamburg.de/die-fakultaet/aktuelle-meldungen/2018-11-14.html>

[უკანასკნელად ნანახია 27 თებერვალი, 2022].

⁴ Hamburg Studies on Maritime Affairs, Studien zum Internationalen Privat- und Verfahrensrecht, European Commentaries on Private International Law, Internationalrechtliche Studien, IHR, Cuadernos de derecho transnacional, ZVglRWiss, European Journal of Com-

მეცნიერო მრჩეველთა საბჭოს თანარედაქტორი და აქტიური წევრი, ასევე მუდმივი წევრი⁵.

მისი ნამუშევრები განასახიერებენ ბრწყინვალე ცოდნას, დეტალებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და გამორჩეულ დოგმატურ უნარს, აჩვენებენ ამოუწურავ ცნობისმოყვარეობას და ეკონომიკური ურთიერთკავშირების აღქმას, ასევე პრაქტიკული საკითხებისადმი ინტუიციას. პეტერ მანკოვსკიმ ეს ყველაფერი შეუთავსა წარმოდგენელ მოკრძალებას. ის არასდროს მუშაობდა ჯილდოების, გრანტების ან თანამდებობებისთვის. როგორც სულით და ხორციით მეცნიერს, მას ჰქონდა სრულიად განსხვავებული პრიორიტეტები და გამოწვევები. თავის თავს ირონიულად უწოდებდა მეცნიერ ხელოსანს. და ეს არის ზუსტად იმ დიდი პიროვნებებისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომლებიც არ ცდილობენ მოექცნენ ყურადღების ცენტრში, თუმცა მათი ნამდვილი ღირებულებები აისახება მათ ნამუშევრებში. იმის გააზრება, თუ ვინ დავკარგეთ სინამდვილეში, ძალიან ხშირად გვიან ხდება.

მისი კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება უდავოდ საერთაშორისო კერძო და საპროცესო სამართალი იყო. მანკოვსკიმ აქ იპოვა თავისი აკადემიური სახლი. მან განიხილა კოლიზიურ-სამართლებრივი თემების წარმოდგენელი სპექტრი, მათ შორის გადახდისუუნარობის სამართლის ასპექტები.⁶ თითქმის შეუძლებელია იპოვოთ საერთაშორისო კერძო სამართლის თემები, რომლებსაც მანკოვსკი არ შეხებია. უთვალავ პუბლიკაციებს შორის, საერთაშორისო კერძო სამართლისა⁷ და საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის⁸ დიდი სახელმძღვანელო მხოლოდ მაგალითის სახით

შეიძლება მოვიყვანოთ. სხვა მრავალთა შორის უნდა აღინიშნოს მისი ვრცელი მოსაზრებები ქორწინებისა და ალიმენტის საერთაშორისო სამართალსა⁹ და ჰააგის ალიმენტის პროტოკოლთან¹⁰ მიმართებით, Staudinger-ის კომენტარში, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა¹¹ და საერთაშორისო კონკურენციისა და კონკურენციის საპროცესო სამართალთან¹² მიმართებით მიუნხენის კომენტარში, რომელიც დაწერილია შეუდარებელი სიზუსტით. მისი თერთმეტი თანარედაქტორობის უმეტესობა ეხებოდა ევროპულ დირექტივებს (Brussels I, Ibis, Ibis, Rom I, Rom II)¹³ და იყო მის ჰამბურგელ მეგობარ ულრიხ მაგნუსთან მრავალი წლის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგი. ეს ინგლისურენოვანი საერთაშორისო კერძო სამართლის ნამუშევრები ცნობილია მთელ მსოფლიოში და დიდი მონონებით სარგებლობს როგორც სამართლის მეცნიერებს, ასევე სამართლის პრაქტიკოსებს შორის.

მაგრამ მანკოვსკის კვლევითი ინტერესები ბევრად სცილდებოდა აღნიშნულს. იგი იკვლევდა სახელშეკრულებო სამართლის, მომხმარებელთა დაცვის სამართლის, უსამართლო კონ-

mercial Contract Law, ZIAS, CYIL, Studien zum Europäischen Privatrecht und zur Rechtsvergleichung, Beiträge zum UN-Kaufrecht.

⁵ RIW, EWIR und WuB.

⁶ Peter Mankowski, Michael Müller, Jessica Schmidt, *Europäische Insolvenzverordnung 2015*, C.H. Beck Verlag, München 2016, XXIII, 834 S.

⁷ Peter Mankowski, begründet von Christian von Bar, *Internationales Privatrecht II: Besonderer Teil*, 2. Auflage, C.H. Beck Verlag, München 2019, LX, 1097 S.

⁸ Franco Ferrari, Eva-Maria Kieninger, Peter Mankowski, Karsten Otte, Götz Schulze, Ingo Saenger, Ansgar Staudinger, *Internationales Vertragsrecht*, 3. Auflage, C.H. Beck Verlag, München 2018, XLII, 1730 S.

⁹ Art. 18 EGBGB; Anhang I und II zu Art. 18 EGBGB (Haager Unterhaltsübereinkommen), Sellier/de Gruyter, Berlin 2003, 1-220; Artt. 13-17b EGBGB; Anhang zu Art. 13 EGBGB (Internationales Eherecht), Sellier/de Gruyter, Berlin 2011, 918 S. und Haager Unterhaltsprotokoll (HUP), Otto Schmidt/De Gruyter, Berlin 2021, 321 S.

Haager Unterhaltsprotokoll, in: *Julius von Staudinger* (Begr.), *Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen*, Haager Unterhaltsprotokoll (HUP) Internationales Unterhaltsrecht, C.H. Beck Verlag, Berlin 2021, VII, 321 S.

¹¹ Artt. 71-77; 79; 80; 85-88 CISG, in: *Karsten Schmidt/Barbara Grunewald* (Hrsg.), *Münchener Kommentar zum HGB VI: §§ 343-406 HGB; CISG*, C.H. Beck Verlag, München 2007

¹² Internationales Wettbewerbs- und Wettbewerbsverfahrensrecht (Teil II), in: *Peter Heermann/Günter Hirsch* (Hrsg.), *Münchener Kommentar zum Lauterkeitsrecht*, C.H. Beck Verlag, München 2006, 127-312.

¹³ Brussels I Regulation (München 2007) XXVIII, 852 S.; Brussels I Regulation (2. Auflage, München 2012) XXVII, 972 S.; Brussels Ibis Regulation (München 2012) XXXVIII, 506 S.; Brussels Ibis Regulation (Köln 2016) XXXIV, 1163 S.; Rome I Regulation (Köln 2017) XXVI, 902 S.; Brussels Ibis Regulation (2. Auflage, Köln 2017) XX, 540 S.; Rome II Regulation (Köln 2019) XXXVII, 724 S.

კურენციის სამართლისა და საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლის სფეროებს. შთამბეჭდავი იყო იმის ხილვა, თუ როგორ აერთიანებს მისთვის დამახასიათებელი სტილით ერთი შეხედვით უცნობ თემებს და შემდეგ სრული სიზუსტით მსჯელობს იმ იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც ადრე არ იყო მისი კვლევის ინტერესებში. მაგალითად, მე მოვახერხე მისი დაყოლიება სანივთო სამართალზე. წამიერი ყოყმანის შემდეგ, მან სწრაფად აღმოაჩინა საერთაშორისო კერძო სამართლის ახალი ასპექტები უძრავი ქონების შეფასების დროს¹⁴ ან მინის რეესტრის კანონში¹⁵ და შეავსო სამეცნიერო ხარვეზები თავისი ნაშრომებით. სხვათა შორის, არც თუ ისე იშვიათი იყო მისი მხრიდან ისეთი სფეროების განავითარება ინოვაციური იდეებით, რომლებიც სცდებოდა მის სფეროს. ახალ ტერიტორიაზე შესვლა რეალურად მისი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო.

მანკოვსკის ნამუშევრებმა არამხოლოდ გერმანიაში დატოვა ნარუშლელი კვალი. მათი მნიშვნელობა ბევრად სცილდება ეროვნულ და წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს. მანკოვსკი რეგულარულად არის ციტირებული ევროპული სასამართლოს გენერალური ადვოკატების მოსაზრებებში.¹⁶ თავისი მეცნიერული ბრწყინვალეობით იგი ეხმარება ევროპული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

მეცნიერის სურათს სრულყოფს თავისი ეპოქის მიღმა დიდი რაოდენობით ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადამწყვეტილებების შენიშვნები და კომენტარები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს არაერთ

ქვეყანაში - ჩინეთში, აშშ-ში, საქართველოში, რუსეთში, იაპონიაში, კორეაში თუ სხვ. - არასოდეს შემხვედრია საერთაშორისო კერძო სამართლის შემხებლობაში მყოფი პირი, რომლისთვისაც პეტერ მანკოვსკი უცნობია. ჩემს სამშობლოში, პოლონეთში, მას განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა. მისმა სალექციო მოგზაურობებმა (ჩესტოხოვა, კატოვიცე, ზიელონა გორა), პროექტებში, პუბლიკაციებსა და საიუბილეო კრებულებში მონაწილეობამ - რისთვისაც ყოველთვის პოულობდა დროს მიუხედავად სხვადასხვა გამოწვევისა - დაახლოვა იგი პოლონურ სამართალთან. სხვათა შორის, მისი ნარკვევები იბეჭდებოდა არა მხოლოდ პოლონურად,¹⁷ არამედ ქართულადაც.¹⁸

პეტერ მანკოვსკის მუდმივად ჰქონდა მრავალი ახალი გეგმა, იდეა, გამოწვევა და შეხვედრები, რომლებიც დაგეგმილი იყო მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ის რომ გასულიყო რეგულარულ პენსიაზე, იქნებოდა ჰამბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე ყველაზე დიდი ხნის პროფესორი. პირად საუბრებში მას განსაკუთრებით ესიამოვნა ეს პერსპექტივა და ხუმრობდა, რომ მის ორ სტუდენტს ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა საიუბილეო კრებულზე ფიქრისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ შევძელით. მისი გარდაცვალების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ჩვენი ერთობლივი ნარკვევი „ბავშვის საუკეთესო ინტერესები, როგორც სახელმწიფოს ჩარევის ლეგიტიმაცია საერთაშორისო კერძო და საპროცესო სამართალში“, რომელიც მიმდინარე კვლევითი პროექტის ფარგლებში შეიქმნა, გამოქვეყნდება *post mortem*. მისი გენიისა და მიღწევების დაფასება მხოლოდ დროის საკითხია.

მთელი ამ წლების განმავლობაში, პეტერ მანკოვსკის ყოველთვის მეგობრულ და ოპტიმისტ, მაგრამ ამავე დროს ძალიან რეალისტ

¹⁴ Peter Mankowski, *Der Immobilienbewertungsvertrag im europäischen Internationalen Privat- und Prozessrecht*, in: Magdalena Habdas, Arkadiusz Wudarski (Hrsg.), FS Stanisława Kalus – *Ius est ars aequi et boni*, Peter Lang Verlag 2010, 287–315.

¹⁵ Peter Mankowski, *Das Grundbuch im Internationalen Privat- und Verfahrensrecht*, in: Arkadiusz Wudarski (Hrsg.), *Das Grundbuch im Europa des 21. Jahrhunderts*, Duncker & Humblot Verlag 2016, 83–100.

¹⁶ Statt vieler siehe Schlussanträge des Generalanwalts Maciej Szpunar vom 7. April 2016, Rechtssache C-222/15, Hőszig kft gegen Alstom Power Thermal Services; Schlussanträge des Generalanwalts Henrik Saugmandsgaard Øe vom 5. September 2019, Rechtssache C-272/18, Verein für Konsumenteninformation gegen TVP Treuhand- und Verwaltungsgesellschaft für Publikumsfonds mbH & Co. KG.

¹⁷ Peter Mankowski, Beata Schneider, Arkadiusz Wudarski, *Wybrane problemy prawa sprzedaży towarów konsumpcyjnych*, Rejent 8/2004, 72–98.

¹⁸ პეტერ მანკოვსკი, არკადიუმ ვუდარსკი, ლადო სირდაძე, გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობა გერმანულ, პოლონურ, ქართულ და ევროპულ კერძო სამართალში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“ 3/2020, 1–31.

ადამიანად ვთვლიდი. ის საკუთარ თავს არასდროს იცოდებდა და საოცარი იუმორის გრძნობა და თვით ირონიის უნარი ჰქონდა. ის ახლოს იყო ადამინებთან და ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა სხვების პრობლემები. ამ გულუხვი და შთამაგონებელი ადამიანის ძალიან მაღლიერი ვარ, როგორც პროფესიულად, ასევე პირადადაც. მის დახმარებას საზღვრები არ ჰქონდა. მასთან საათობით საუბარი ყოველთვის იყო ენერგიული, ნდობით სავსე, შთამაგონებელი და გამამხნეველი. ჩემთვის ეს იყო შუქურა, რომელიც ნებისმიერ გაურკვევლობას ნათელს ჰფენდა, ქარიშხალს და ქარს უძლებდა და გზას აჩვენებდა.

პეტერ მანკოვსკის ნაადრევმა გარდაცვალებამ ყველანი მეცნიერულად ობლად დაგვტოვა. ის იყო წამყვანი ხმა საერთაშორისო კერძო სამართლის ფერხულში; ბრწყინვალე ვირტუოზი,

რომელიც აერთიანებდა უპრეცედენტო თავისუფლებას, მეცნიერულ ბრწყინვალეობას, ინტელექტუალურ გამჭრიახობას, დაულალავ ენერგიას და საუცხოო ორგანიზაციულ ნიჭს; გენიოსი, რომელმაც ჩამოაყალიბა ტონი და მიმართულება საერთაშორისო კერძო სამართლის კვლევის ორკესტრში. ჩვენ იმდენად მივეჩვიეთ მისი სამეცნიერო ნაშრომების უპრეცედენტო მასშტაბებს, რომ ჩვენთვის მისი გამოქვეყნების გარეშე ერთი თვე არარეალური და შემაშფოთებელი ჩანდა. ეს მტკივნეული სიცარიელე ძნელად შეივსება. მისი მემკვიდრეობა უდავოდ გააგრძელებს იურისპრუდენციის ფორმირებას და შთაგონებას. ოჯახისთვის და მეგობრებისთვის სიცარიელე სამუდამოდ დარჩება, ჩვენ დავკარგეთ ყველაზე ძვირფასი განძი. ის ცოცხლობს ჩვენს გულებში და ყოველთვის ჩვენთან იქნება ჩვენს ფიქრებში.

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 2/2022

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გაჟღერებული განცხადების აზრად მიჩნევა

მოსამართლეზე გამოთქმული განცხადების აზრად მიჩნევას მხარს შეიძლება უჭერდეს ის გარემოება, რომ მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები საზოგადოებრივი ინტერესით დატვირთული საკითხია. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-591-591-2018

სკ-ის მე-18 მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მორალური ზიანის დაკისრებისა და იმის დადგენის მოთხოვნით, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობები: „მოსამართლე არის კორუმპირებული მოსამართლე, მოსამართლემ გადაწყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო, მოსამართლის მიერ კომპანიები უხეშად იქნენ მოტყუებულნი და დაშანტაჟებული“, არ შეესაბამება სინამდვილეს, ასევე, ცნობების გამავრცელებლის დავალდებულება, რიგ გადაცემებში გამოექვეყნებინა ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მას სადავოდ არ გაუხდია განცხადების საჯაროდ გავრცელების ფაქტი, არამედ, შეედავა თავად განცხადების შინაარსს - განცხადებებში გადმოცემული მსჯელობა წარმოადგენდა არა ფაქტებს, არამედ, განვითარებულ

მოვლენებთან დაკავშირებით მის შეფასებით მსჯელობას, მოპასუხის აზრს, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არ ექვემდებარება შეზღუდვას.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და შეამცირა მოთხოვილი მორალური ზიანის ოდენობა. მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შეიცვალა გადაცემებში გამოქვეყნებული ცნობის შინაარსი, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სასაკასაციო სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის მიერ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის, არამედ, ზოგადად სასამართლოს ავტორიტეტის საკითხი. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისად, ლეგიტიმურია, რომ ეს საკითხები ჟურნალისტიკა და სხვა პირებმა განიხილონ საჯარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გადმოცემული ფრაზები ჩანდა მკაცრი და მწვავე, ამგვარი გაზვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჯარო დებატებში დასაშვებია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

მე-10 მუხლით. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ განხილულ საქმეებთან მიმართებაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა მედიასაშუალებებით და საქმეთა რეზონანსულობიდან გამომდინარე, არაერთი საჯარო დებატი მიეძღვნა მათ. აღნიშნული გარემოება, სასამართლო რეფორმის საკითხთან ერთად, მიანიშნებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასა და საჯარო დებატებზე, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოება. სადავო განცხადებების შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი განმცხადებლის აზრს წარმოადგენენ, რადგანაც განცხადებათა მთლიანი კონტექსტი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ასევე, ამ გადაწყვეტილებათა შინაარსზე სხვა, მისთვის ავტორიტეტული პირების მიერ გამოთქმული აზრიდან გამომდინარე, აყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას მოვლენის მიმართ და გულის ტკივილს გამოთქვამს სასამართლო სისტემაში არსებული დეგომარეობის გამო. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სასამართლომ შეაფასა აზრად.

ნინი ბერულავა

► 2 – 2/2022

შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ

1. არასრულწლოვნის ოჯახში მიღება და მშვილბელის მიერ მის სიცოცხლეში შვილად აყვანის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა წარმოადგენს შვილად აყვანის დადასტურების ორ ალტერნატიულ შემადგენლობას.

2. სკ-ის 1240 მუხლის 1 ვარ. წინაპირობას არ წარმოადგენს მოსარჩელის სრულწლოვანება, გადამწყვეტია, რომ ოჯახში მიღების შემადგენლობა შესრულებული იყოს მოსარჩელის არასრულწლოვანების პერიოდში.

3. თუკი მშვილბელი პირის შვილად აყვანის დადასტურების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის შემდგომ გარდაიცვლება, იმ პირს, ვისი შვილების დადასტურებასაც აღნიშნული განცხადება ეხებოდა, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განმცხადებლის უფლებამონაცვლედ ჩართვა.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-486-486-2018

სკ-ის 1240-ე მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: სრულწლოვანმა მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელით მოითხოვა აღმზრდელი მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება და მოსარჩელის დაბადების მონუმბაში, მშობლების გრაფაში მამად - აღმზრდელი მამის, ხოლო დედად - აღმზრდელი დედის ჩანერა. სარჩელის თანახმად, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესია აღმზრდელის სახელზე არსებული ქონების მემკვიდრეობით მიღება. მოპასუხის წარმომადგენელმა არ ცნო სარჩელი.

სასამართლო მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ის აღმზრდელი დედის ოჯახში შვილად იყო მიღებული. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისთვის 2 პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს: 1) არასრულწლოვანი ოჯახში შვილად უნდა იყოს მიღებული და 2) მშვილბელს სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს შეტანილი განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ, აღმზრდელი მშობლები კი ისე გარდაიცვალნენ, რომ მათ მსგავსი განცხადებით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და აღნიშნა, რომ სააპელაციო ინსტანციამ არასწორად განმარტა სკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსი და ხაზი გაუსვა მოსარჩელის სრულწლოვანებაზე - იგი შვილად იყო მიღებული არასრულწლოვნების პერიოდში და შემდგომ აღმზრდელი დედ-მამის ოჯახში მიაღწია სრულწლოვანებას. სსკ-ის 1240 მუხლის 1 ვარ. არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე არასრულწლოვანი აღმზრდელის გარდაცვალების დროისათვის უნდა ყოფილიყო: მთავარია, სუბიექტი არასრულწლოვნების პერიოდში იყოს ოჯახში შვილად მიღებული. თავის მხრივ, სსკ-ის 1240 მუხლის 2 ვარ., რომელიც მოთხოვნის სუბიექტად სრულწლოვანს მოიხსენიებს, ალტერნატიულ შემადგენლობას წარმოადგენს და სამართლებრივი შედეგის დასაყენებლად სკ-ის 1240 მუხლის 1 და 2 ვარ. ერთდროულად არსებობა სავალდებულო არ არის. მოსარჩელესა და აღმზრდელს შორის არსებობდა შვილისა და მშობლის ურთიერთობა, აღნიშნული ურთიერთობის დაკანონებას ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ აღმზრდელს გარდაცვალებამდე განცხადება არ ჰქონდათ შეტანილი სასამართლოში. თუ ასეთი განცხადება იქნებოდა შეტა-

ნილი სასამართლოში, მაშინ მოსარჩელე აღიარებითი სარჩელით არ მიმართავდა სასამართლოს, არამედ - უფლებამონაცვლის ჩართვით გაგრძელებოდა საქმის წარმოება სასამართლოში საერთო წესით. სიცოცხლეში აღმზრდელის ნება კონკრეტული პირის შვილად აყვანის შესახებ შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ ერთ შემთხვევაში, მან არასრულწლოვანი შვილად მიიღო ოჯახში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, - მშვილებელმა განცხადება შეიტანა სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. აღმზრდელის ნების გამოხატვის ორივე ფორმის ერთდროულად არსებობის აუცილებლობა, როდესაც თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე ისედაც მკაფიოდ ჩანს მისი განზრახვა კონკრეტული პირის შვილებაზე, ორი შემადგენლობის კუმულატიურ წინაპირობებად მიჩნევით მტკიცების ტვირთი იმდენად დამძიმდება, რომ სამართლებრივი შედეგის დაყენება თითქმის შეუძლებელი გახდება. რაც შეეხება სრულწლოვანებას, სასამართლოს განმარტებით, შვილად ასაყვანი პირის სრულწლოვანება არ წარმოადგენს ამ ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებას.

ნინი ბერულავა